პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— უნგრეთის ყოფ. სახალხო კომისრების გაქცევა ავსტრიიდან.
— გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარედ არჩეულია ლებე.
— პოლონეთის სეიმმა მიიღო ბიუჯეტის პროექტი. მზადდება ახალი კონფლიქტი მთავრობასა და სეიმს შორის.
— საფრანგეთის პარლამენტმა უარყო წინადადება დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ.
— ინგლისის ფლოტის მანევრები ბალტიის ზღვაში.
— კულიჯმა უარი სთქვა თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე საპრეზიდენტო არჩევნებში.
— სამხედრო აეროპლანის დაღუპვა საფრანგეთში.

შაბათი, 16 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 138 (2181)

თვითკრიტიკის პლენუმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად დასრულებული პლენუმი თავის მნიშვნელობით უთუოდ განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ჩვენს პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში. პლენუმი წარმოადგენდა მთელი ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურულ-იდეოლოგიური მუშაობის ყველა მნიშვნელოვან დარგების გენერალურ შემოწმებას. ამან გამოხატულება ჰპოვა როგორც ამხ. კახიანის ვრცელ საანგარიშო მოხსენებაში, ისე ამ მოხსენების გარშემო გამართულ ცხოველ კამათში.

ეს იყო ბოლშევიკური დაუზოგავი, საქმიანი თვითკრიტიკა. პლენუმმა განზრახ გვერდი აუხვია იმ მთელ რიგ მიღწევებს, რომელიც ჩვენ უდავოდ გვაქვს აღმშენებლობის ყველა დარგში და რომელთა მნიშვნელობასაც ვერ უარყოფს ვერავინ. პლენუმმა სრული შეგნებით თითქმის მთელი თავისი ყურადღება ჩვენი დეფექტების აღნუსხვაზე და მათ გამოსწორების საკითხებზე შეაჩერა.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმ საერთო ხაზმა რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ხაზმა სისტემატიურ და საქმიან თვითკრიტიკის შესახებ.

ეს ლოზუნგი შემთხვევით არ წამოჭრილა ჩვენს წინაშე. ძალა-უფლების მონოპოლიის პირობებში, როგორსაც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მეთერთმეტე წელში, როცა, შედარებით წინანდელთან, ჩვენ განვმტკიცდით და მნიშვნელოვნად გავიზარდეთ, ჩვენი აპარატის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ზოგიერთ უჯრედებში ფეხი მოიკიდა ერთგვარ „განცხრომის", თვითკმაყოფილების განწყობილებამ, არსებულ მიღწევათა გამო ჩვენ წინ მდგომ მორიგ და ხშირად უდიდეს სიძნელეების არა საკმაოდ შეფასებამ.

ამგვარ განწყობილების საფარ ქვეშ ბევრგან ფრთებს ისხამს ყველა სახის ანტი-საბჭოთა ელემენტები.

ასეთ პირობებშივე ნიადაგს პოულობს აგრეთვე სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული, ყოფა-ცხოვრების დამახინჯება და იდეური გადაგვარებაც კი.

აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილ შახტის „ისტორიამ" ეს ყველასათვის ცხადჰყო. ის შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს. შახტის გაკვეთილი ჩვენ უქმად არ უნდა ჩავატაროთ. საჭიროა მეტი წინდახედულობა მუშაობაში, მეტი თაოსნობა და იმის მტკიცედ ცოდნა, რას აკეთებ, ვისი დახმარებით და საშუალებით აკეთებ, როგორ აკეთებ და რამდენად მართლდება შენი მუშაობა.

რომ შახტის შეთქმულება, როგორც ჩვენი აპარატის ზოგიერთ ნაწილების დაავადების სიგნალიზატორი განსაკუთრებით დამახასიათებელია. ამას მოწმობს საბჭოთა და პარტიულ აპარატში აღმოჩენილი მთელი რიგი სხვა უმზგავსობათა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ბათომის საბაჟოში მომხდარი ბოროტმოქმედებანი და საზიანო მუშაობა ტყიბულში.

აქედან უნდა გავაკეთოთ სათანადო პრაქტიკული დასკვნა: საჭიროა უკვე დაწყებულ საქმიანი, ბოლშევიკური თვითკრიტიკის შემდგომი გაღრმავება-გაძლიერება. საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი თავის რეზოლიუციაში მიგვითითებს იმ მთავარ საერთო ნაკლოვანებებზე, რომელთა გამოსწორებისაკენაც უნდა იქნას მიმართული მთელი ჩვენი ძალღონე.

„... პლენუმი—ნათქვამია რეზოლიუციაში—ჩვენი პარტიული, პროფესიონალური, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი:

1. სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის და სოფლის ფენებად დაყოფის შესწავლის ნელი ტემპი;
2. ცალკე პარტორგანიზაციებში კულაკზე შემცდარი შეხედულება, კულაკის ხელის არასაკმაოდ შეფასების მხრივ და ამასთანავე ერთად სუსტი მუშაობა ღარიბ გლეხობას შორის;
3. არასაკმაო ბრძოლა უგეგმობასთან ადგილობრივ მშენებლობაში;
4. პროდუქციის თვითღირებულების და საამშენებლო მასალების ღირებულების არასაკმაო შემცირება, და დაბოლოს,
5. მასიური მუშაობის სისუსტე ყველა დარგებში, განსაკუთრებით პროფესიონალური ხაზით".

პლენუმის მიერ დასახულ მთავარ დეფექტების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ სისტემატიური, მასიური და დაუნდობელი კრიტიკა. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენი საკონტროლო ორგანოები, პრესა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად გამოეხმაურა თვითკრიტიკის ლოზუნგს. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მუშაობის უფრო ფართედ გაშლა, საჭიროა კრიტიკა კონკრეტული, კრიტიკა „პიროვნების მიუხედავად" ყველგან მტკიცედ ტარდებოდეს. ამასთანავე აქ უნდა მტკიცედ დავიხსომოთ ერთი რამ. ჩვენ არ გვესაჭიროება კრიტიკა-კრიტიკისათვის. რომ თვითკრიტიკის ლოზუნგმა არ მიიღოს ამგვარი მავნე განხრა, საჭიროა იმის სისტემატიურად შემოწმება, თუ **რა პრაქტიკულ ნაყოფს** იძლევა ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება. არ კმარა მარტო დეფექტების გამოაშკარავება-გამომჟღავნება. მარტო ამით რომ დავკმაყოფილდეთ, ჩვენს კრიტიკას არავითარი ღირებულება არ ექნებოდა. საჭირო და აუცილებელია ზომების მიღება იმისათვის, რომ **ნამდვილად** გამოსწორებულ იქნას შემჩნეული ნაკლოვანებები, რომ გადადგმულ იქნას ნაბიჯები გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზების აღმოსაფხვრელად. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰპოებს გამართლებას თვითკრიტიკის დიდმნიშვნელოვანი და უაღრესად პრაქტიკული ლოზუნგი.

თავის მხრივ ჩვენი გაზეთი ყოველ ზომებს იხმარს იმისათვის, რომ თვითკრიტიკას მისცეს სწორედ ასეთი მიმართულება. ამ მიზნით უახლოესი დროის განმავლობაში ჩვენ დავსვამთ საკითხს ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე, იმის შესახებ თუ რა გააკეთეს მათ ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რა პრაქტიკული ღონისძიებებია მიღებული ამ მხრივ.

საქართველოს ცეკას ახლად დასრულებული პლენუმი თავის მუშაობით და დადგენილებებით ერთხელ კიდევ მოუწოდებს პარტიის წევრებსა და მუშებს თვითკრიტიკის ლოზუნგის მტკიცედ გატარებისაკენ. ცეკამ სთქვა თავისი სიტყვა, საჭიროა ამ მოწოდებამ სათანადო გამოძახილი ჰპოვოს ქვედა ფენებში. პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა სახის მასიურ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ამისათვის.

ჯოინსონ ხიკსის პროვოკაციის დამარცხება

„აყროლებული პეტარდა დინამიტიან ბომბის მაგიერ"

ხიკსი აღიარებს, რომ საბჭ. ბანკების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არ დადასტურდა

ხიკსის „მხილება" *)

ლონდონი, 14 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„11 ივნისს თემთა პალატის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრს **ჯოინსონ ხიკსს** მისცეს შეკითხვები იმ წყაროების შესახებ, რომლიდანაც საბჭოთა ხელისუფლება ფინანსებს სდებს ამბოხების გამომწვევ პროპაგანდისა და პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის ინგლისში. ხიკსს ეკითხებოდნენ, შეუძლია თუ არა მას მიაწოდოს თემთა პალატას, რაიმე ახალი ცნობები რუსეთის ბანკების მიერ ინგლისის კომუნისტებისათვის ფულის გადაგზავნის შესახებ, მიიღო თუ არა მან უკვე ამომწურავი ინფორმაცია იმ საბანკო ბილეთების შესახებ, რომლებიც აღმოაჩინდა იარაღის უკანონოთ ტარებისათვის დაპატიმრებულ ირლანდიელს, აქვს თუ არა მას დამამტკიცებელი საბუთები იმის, რომ ეს ბანკნოტები ამ პირების ხელში მოხვდა უშუალოდ რუსეთის ბანკებიდან და არა ჩვეულებრივი წესით და შეუძლია თუ არა მას დაამტკიცოს, რომ ბანკები მოქმედებდენ საბჭოთა ხელისუფლების აგენტურის სახით და ფულების გაცემა ხდებოდა ხელისუფლების დავალებით?

ხიკსმა უპასუხა შემდეგი:

„თვით კომპარტიის ანგარიშების მიხედვით მისი არსებობის ორი წლის განმავლობაში, დაწყებული 1920 წლიდან, მან უცხოეთის წყაროებიდან მიიღო 61.500 გირ. სტერლინგი, ხოლო საწევრო გადასახადიდან 699 გირ. სტერ. 1925 წელს მე მივიღე ცნობა, რომ კომინტერნმა ინგლისის კომპარტიისათვის გადასდო 16000 გირ. სტერლინგი და რომ შემდგომამდე ამ თანხიდან უკვე მიღებულ იქნა 14.600 გირ. სტ. ამ და აგრეთვე სხვა ცნობებმა განამტკიცა ჩემი ეჭვები, რომ ყოველ შემთხვევაში, იმ ფულის ნაწილი, რომელსაც ხარჯავენ ინგლისის კომუნისტური ორგანიზაციები, მიღებულია რუსეთის წყაროებიდან. უკანასკნელი 6-8 თვის განმავლობაში პოლიციის რწმუნებული ჩემი ხელმძღვანელობით აწარმოებდა გამოძიებას, რომლის შედეგად პოლიციამ მომაწოდა მე ინფორმაცია, რომლიდგანაც ნათლად სჩანდა, რომ მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება წარმოადგენდა იმ არხს, რომლითაც უკანასკნელი 6—8 თვის განმავლობაში მოდიოდა მნიშვნელოვანი თანხები კომუნისტური ორგანიზაციებისათვის.

19 აპრილს პალატის წევრი **კინდერსლი** შემეკითხა, განზრახული მაქვს თუ არა მე მოვახდინო გამოძიება იმის გამოსარკვევად, ხომ ხდება თუ არა ინგლისში არსებულ სავაჭრო ორგანიზაციების თანხები ინგლისში რევოლიუციონურ მოძრაობის გამოწვევის და მოწყობის ცდას, რადგან, დაპატიმრებულ ირლანდიელებს აღმოაჩნდა ბანკნოტი, რომლებიც კვალი მიდიოდა რუსეთის საბანკო დაწესებულებებში. მე უპასუხე, რომ რუსეთის ფული სწორედ იმ საქმეს ხმარდება, რომლის შესახებაც ლაპარაკია შეკითხვაში, რამდენათაც საქმე ეხება რუსეთის სავაჭრო ბანკს, მხედველობაშია მხოლოდ ინგლისის ბანკის ორი ათგირვანქიანი ბანკნოტი, რომლებიც 1928 წ. 17 მარტს დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა მაკლბერკს. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ ეს ბანკნოტები გატარდა რუსეთის სავაჭრო ბანკში, ბანკი კი აღნიშნავს, რომ 1927 წლ. 9 ნოემბერს ეს ბანკნოტები სხვებთან ერთად გაიგზავნა „გარანტი უნდა კრედიტ ბანკ"-ის მისამართით. ამ ბანკნოტების შემდგომი მოძრაობა ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული. 1928 წელს 19 აპრილს მოსკოვის სახალხო ბანკმა მომმართა მე წერილით, რომელშიაც კატეგორიულად აცხადებს, რომ ბანკი მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ საბანკო ოპერაციებს აწარმოებს, რომ მას არავითარი საქმე არ ჰქონია ირლანდიელებთან და რომ ბანკი მზადაა დაუყოვნებლივ მისცეს ყოველივე შესაძლებლობა პირველხარისხოვან საბუხჰალტერო ფირმას გამოარკვიოს, რა პირობებში და ვის მისცა ბანკმა თანხები, რათა ფირმა დარწმუნდეს, რომ ბანკმა არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ სად მიდის ბანკნოტები მათი გაცემის შემდეგ.

ჩემის დავალებით ბანკს უპასუხეს, რომ მინისტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს წინადადებას მისცემს გამოარკვიონ ზოგიერთი კერძო მხარეები ადგილობრივად ბანკში. ბანკი დაგვეთანხმა და მე გამოვყავი ორი პირი გამოძიების მოსახდენად იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ, თუ რა გზით მოხვდა ბანკში გატარებული ზოგიერთი სახაზინო ნიშნები სხვადასხვა კომუნისტური ორგანიზაციების ხელში. ჩემმა წარმომადგენლებმა ბანკში იკითხეს, რომელი წყაროებიდან ღებულობდა ბანკი სახაზინო ნიშნებს.

მე დამარწმუნეს, რომ ყველა სახაზინო 1 გირვ. სტერლინგიანი ნიშნები, რომლებსაც ბანკი იძენდა, მიღებულ იქნა ბანკ „ლოიდს ბენკ ხაი ხოლბორნის" ჩეკების მაგივრად. მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ 17.000 გირ. სტერ. ნიშნები მიღებულ იქნა ბანკის შიკრიკების საშუალებით, რომლებიც ბანკნოტებს ახურდავებენ ინგლისის ბანკში, „ლოიდს ბენკ ხაი ხოლბორნის" ბანკში და „მიდლენდ ბანკ"-ის საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში. გამოძიებამ გამოაშკარავა აგრეთვე, რომ 1927 წ. 4 მარტს მოლარეს არ აღურიცხავს ინგლისის ბანკის ბანკნოტების რიცხვი, გარდა ახალი ბანკნოტებისა, რომლებიც „ლოიდს ბანკ"-ში იქნა მიღებული. მოხერხდა ოპერაციების ორი სერიის გამორკვევა, რომლებიც უეჭველია წარმოადგენდნენ არხებს, რომელთა საშუალებითაც ფული მიდიოდა კომუნისტურ ორგანიზაციებში.

ამ ოპერაციებს ატარებდა **დუნკანი**, უცხოეთის ვალიუტის განყოფილების მუშაკი. ზოგიერთი ამ ოპერაციების შესახებ 20 აპრილს იცოდნენ დირექტორებმა, ვინაიდან მათ მიერ გამოკვლევისათვის დანიშნული კომისიის მუშაობის შემდეგ იმ დღეს დუნკანი დაითხოვეს ბანკიდან. მაგრამ ეს ფაქტი ჩემს წარმომადგენლებს არ აცნობა მათი პირველი ვიზიტის დროს ბანკში 27 აპრილს და მხოლოდ 30 აპრილს—შეკითხვაზე—დუნკანისათვის მიცემულ იმ თანხის შესახებ, რომელიც ჩაწერილი იყო სალაროს წიგნში, მათ უპასუხეს, რომ დუნკანი დაითხოვეს ერთი კვირის წინად. ოპერაცია, რომელსაც აწარმოებდა დუნკანი, მდგომარეობდა შემდეგში: ის დიდი რაოდენობით ჰყიდდა დოლარებს ბირჟის მაკლერებზე ან ბანკის მოლარეებზე. შემდეგ მან მოსკოვის სახალხო ბანკს მისცა ინსტრუქცია, რომ მის მიერ „მიდლენდს ბანკში" და „ლლოიდს ბანკში" დოლარების გაყიდვით მიღებული ბანკნოტები გადაეცვალათ სახაზინო ნიშნებზე. ეს ოპერაციები სწარმოებდა 1927 წ. 27 ოქტომბრიდან 1928 წლის 15 თებერვლამდე.

ჯოინსონ ხიკსი
ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი

როცა დუნკანმა ანგარიში გახსნა მოსკოვის სახალხო ბანკში, სახაზინო ნიშნებს ის იღებდა ჩეკებზე უშუალოდ გადაცვლით. დუნკანის ოპერაციებმა 1927 წლის ოქტომბრიდან 1928 წლის 20 აპრილამდე საერთოდ მიაღწია 14.202 გირვ. სტერლინგამდე. 20 აპრილს ბანკმა ყურადღება მიაქცია დუნკანის ანგარიშს და დუნკანი მიიწვია ახსნა-განმარტებისათვის. დუნკანმა ვერ შესძლო დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა და დათხოვნილ იქნა. მისი ოპერაციების [illegible] არ შეიძლება შევიტანოთ ეჭვი ვინაიდან სახაზინო ნიშნების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც დუნკანმა მიიღო სახალხო ბანკიდან ან მისი შიკრიკების საშუალებით, როგორც გამოირკვა, რამდენიმე დღის შემდეგ გადავიდა დიდბრიტანეთის კომპარტიის და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციების ხელში.

კველჩის და პრისტლის ოპერაციები მდგომარეობდა შემდეგში: 10 ათასი გირვ. სტერლინგი ინგლისის ბანკის ხუთ გირვანქიანი ბანკნოტების ნიშნებით „ცენტროსოიუზ-ლიმიტედ"-ის მოსამსახურეთა თხოვნით ამ ბანკის მოლარემ გადასცვალა ერთ სტერლინგიან სახაზინო ნიშნებზე. გარდა ამისა, კველჩის და პრისტლის საერთო ანგარიშზე შეტანილ იქნა 1.500 გირვ. სტერლინგი ბანკნოტებით. ჩემს წარმომადგენლებს უთხრეს რომ ეს თანხა შეტანილ იქნა ადგილკომის ანგარიშების მოსაწესრიგებლად. შემდეგ ეს თანხა უკან იქნა გატანილი ერთ სტერლინგიანი სახაზინო ნიშნებით. საერთო თანხა იმ ოპერაციებისა, რომლებიც კველჩმა და პრისტლიმ ჩაატარეს 1927 წლის 5 ივნისიდან 20 ნოემბრამდე აღწევს 13.796 გირვ. სტერლინგამდე. სახაზინო ნიშნების მნიშვნელოვანი თანხა, რომლებიც მათ მიიღეს ამ გზით, რამოდენიმე დღის შემდეგ გადაეცა დიდ ბრიტანეთის კომპარტიას და მის მოკავშირე ორგანიზაციებს. მას შემდეგ, რაც ჩემი წარმომადგენლების გამოკვლევამ დაადასტურა ეს ცნობები, ცენტროსოიუზის გამგეობამ მიიწვია კველჩი და პრისტლი და მოსთხოვა მათ ახსნა-განმარტება ამ ოპერაციების შესახებ. ვინაიდან მათი ახსნა-განმარტება არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, კველჩი და პრისტლი დაითხოვეს. ჩემმა წარმომადგენლებმა, გამოარკვიეს კველჩის და პრისტლის მიერ დახურდავებული ხუთ გირვანქიანი ბანკნოტების (10.730 გირვანქა სტერლინგის) სერიების ნომრები. ეს თანხა შეადგენდა იმ 20.000 გირვ. სტერ. ნაწილს, რომელიც მოსკოვის სახალხო ბანკის მოლარეს თანაშემწემ 1927 წლის 25 მაისს პერსონალურად გადასცა საბჭოთა კავშირის კომერციულ ატაშეს შანინს, აქედან 16.000 გირვ. სტერლინგი ხუთ გირვანქიანი ბანკნოტებით იყო.

მე დავასკვენი, რომ 1927 წ. 5 ივლისიდან 1928 წ. 20 აპრილამდე დუნკანის, კველჩის და პრისტლის საშუალებით არა ნაკლებ 27.998 გირვ. სტერლინგისა იქნა გადაცემული კომუნისტური მიზნებისათვის.

ჩემი გამოკვლევების სრული ანგარიში ეცნობა ბანკის დირექტორებს, რომლებიც ამბობენ, რომ არაფერი არ იცოდნენ ზემოაღნიშნული ოპერაციების შესახებ. მათ დაითხოვეს პერსონალის კიდევ ორი წევრი, რომლებიც ჩარეული იყვნენ ამ საქმეში" (ადს).

---

*) ვათავსებთ უფრო ვრცლად. რედ.

შეკითხვები ხიკსს

ლონდონი, 14 ივნისი. ხიკსის განცხადების გამო საბჭოთა ბანკების მუშაობის შესახებ **მაკდონალდმა** შეიტანა შეკითხვა, აპირებს თუ არა ხიკსი იმ ზომების გახილვას, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს მისი მხილების შემდეგ. ხიკსმა უპასუხა, რომ ამჟამად მას არ შეუძლია მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, განსაკუთრებით დირექტორების ენერგიული განცხადების გამო, რომ მათ პირადათ სრულიად არაფერი არ იციან ამ ოპერაციების შესახებ.

მუშათა პარტიის დეპუტატი **მექსტონი** შეეკითხა: ფიქრობს თუ არა ხიკსი, რომ მის მოხელეებს შეუძლიათ ყოველ მომენტში შეამოწმონ პოლიტიკურ პარტიათა ფულის წყაროები, თუ ეს ხდება მხოლოდ იმ პარტიის მიმართ, რომელიც თემთა პალატაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დეპუტატით. ხიკსმა უპასუხა: „არც ერთი, არც მეორე. მე მხოლოდ მივმართე თხოვნით ინფორმაციის შესახებ, რომელიც მივიღე სრულიად თავისუფლად". **მექსტონი** შეეკითხა: „გაბედავს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი ასეთივე მეთოდებით შეამოწმოს იმ პოლიტიკური პარტიის ფინანსები, რომლის თავმჯდომარეც ვარ მე (ე. ი. „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის").

ხიკსმა უპასუხა: „თუ მე ამას საჭიროდ დავინახავ, მე გავბედავ ყველაფერს, რაც გნებავთ". (სიცილი).

მუშათა პარტიის წევრი **კენვორტი** შეეკითხა: სჩანს თუ არა საბუთებიდან, რომ საქმესთან კავშირი ჰქონდა მოსკოვის სახალხო ბანკს ან რუსეთთან სავაჭრო ბანკს. ხიკსმა უპასუხა: „მე მხედველობაში ვიღებ დირექტორების განცხადებებს, რომ მათ არაფერი იცოდენ მომხდარ ამბების შესახებ".

სნოუდენი შეეკითხა ხიკსს, გამოაქვეყნებს თუ არა ის სრულ ტექსტს გამოძიების შესახებ მოსკოვის სახალხო ბანკის დირექტორების განცხადებებთან ერთად, რაზედაც ხიკსმა დადებითი პასუხი გასცა (ადს).

ლონდონი, 14 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატის სხდომაზე დეპუტატი **ოლივერ ლოკერ ლემპსონი** შეეკითხა ხიკსს—რა ზომების მიღებას აპირებს ის მთავრობის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ინგლისში ბანკების მიერ საბჭოთა ხელისუფლებისაგან ფულის მიღებას კომპარტიისათვის?

ხიკსმა უპასუხა:

„როგორც მე უკვე განვაცხადე ორშაბათს, მე ვღებულობ მოსკოვის სახალხო ბანკების დირექტორების განცხადებას, რომ მათ არაფერი არ იცოდენ ამ საქმის შესახებ, ამიტომ **მე არ მაქვს განზრახული რაიმე ნაბიჯის გადადგმა ბანკის წინააღმდეგ**".

მუშათა პარტიის წევრი **რილი** შეეკითხა: „არის თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ მთელი ეს ფული გადმოგზავნილი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინგლისის კომპარტიისათვის?".

ხიკსმა უპასუხა:

„არა. **სავსებით სამართლიანი და სწორი იქნება თუ მე განვაცხადებ, რომ კავშირი ბანკებსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის არ იქნა აღმოჩენილი,,** (ადს).

პრესის კომენტარიები

ინგლისის პრესა

ლონდონი, 14 ივნისი. „დეილი მეილი" კომენტარიებს უკეთებს ხიკსის გამოსვლას და სწერს: „ხიკსის მოხსენებიდან სჩანს, რომ არსებობდა ზედმიწევნით დამუშავებული შეთქმულება. ინგლისის ხალხი არ დამშვიდდება, სანამ ყველანი, ვინც გარეულია ამ სამარცხვინო საქმეში, არ იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში. ისინი კი, რომელთა ციხეში გაგზავნა, არ შეიძლება, ინგლისის ტერიტორიიდან გაძევებულ უნდა იქნენ დაუყოვნებლივ ყოველგვარ ცერემონიების გარეშე.

„ტაიმს" აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის ბელადები სხვებთან ერთად საჭიროდ სთვლიან კომუნისტების პასუხისგებაში მიცემას.

დუნკანის ოპერაციების შესახებ „დეილი ტელეგრაფ" აღნიშნავს, რომ სწორედ გასაოცარია, თუ როგორ არ იყვნენ გაცნობილი მას მოქმედებასთან დირექტორები. აღნიშნავს რა, რომ **ტომასი** მოითხოვს საქმის გადაცემას სასამართლოსთვის, თუ უკანონო მოქმედებები დამტკიცდება, გაზეთი აცხადებს: „მუშათა პარტიის დამოკიდებულების შეცვლა რუსეთის ოქროსადმი გვიჩვენებს, რომ მისმა მოღვაწეებმა დაბოლოს შეიგნეს, რამდენად საშიშია მათი საკუთარი ავტორიტეტისათვის კომუნისტური საფრთხე, რომელსაც ისინი აქამდის განზრახ ვერ ამჩნევდნენ".

„დეილი ტელეგრაფ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი სწერს:

„პალატამ მოისმინა კარგი დედექტიური მოთხრობა, მაგრამ **ჯერ კიდევ საკითხია, შეიძლება თუ არა მიეცეს მას რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა**". საერთოდ **კონსერვატიული გაზეთების კომენტარიები ჩვეულებრივზე უფრო ზომიერია**

„მანჩესტერ გარდიენ" სწერს:

„**გამოძიების შედეგები არც იმდენად ცუდია ორივე საბჭოთა ბანკისათვის.** ეს ფული მართლაც რომ გამოეგზავნათ ინგლისის კომუნისტურ პარტიისათვის სუბსიდიის სახით, **არც ეს იქნებოდა რაიმე უკანონო მოქმედება, რამდენათაც კომპარტია ლეგალური ორგანიზაციაა. თუ შინაგან საქმეთა მინისტრი ეხლა მოისურვებს სავაჭრო ურთიერთობაში ჩარევას, ამას უაღრესად სერიოზული ეკონომიური შედეგები მოჰყვება**".

„მანჩესტერ გარდიენ"-ის პოლიტიკური მეთვალყურე ხიკსის განცხადებისაგან მოხდენილ შთაბეჭდილებას ადარებს „დანესტიანებული პეტარდის" მოქმედებას.

„დეილი გერალდ"-ის ცნობით, მოსკოვის სახალხო ბანკის გამგეობა მთელს ამ ისტორიაში პირდაპირი ხაზით მოქმედებდა. გაზეთი აცხადებს: „ეხლა **მინისტრმა უნდა აღიაროს, რომ მის მიერ წამოყენებული მძიმე ბრალდებები არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს**".

„დეილი მეილ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი სწერს: „თითქმის დამტკიცებულია, რომ დეპუტატებმა სთხოვეს ჩემბერლენს გააცნოს ეს საკითხი ერთა ლიგას, განსაკუთრებით საკითხის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საბჭოთა ბანკების როლს" (ადს).

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 14 ივნისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი ხიკსის გამოსვლის გამო სწერს:

„თუმცა ხიკსის გამოსვლა არაფერს სენსაციურს არ შეიცავდა, მაგრამ ინგლისის პრესამ დიდი განგაში ასტეხა მის ირგვლივ. მემარჯვენე პრესა ამტკიცებს, რომ გამართლდა მისი ეჭვები რუსების არალეგალური პროპაგანდის შესახებ. იგი მოითხოვს მთავრობისაგან, რომ მან გამოიჩინოს მეტი სიფხიზლე და სათანადო ზომები მიიღოს ინგლისში მყოფი რუსების მიმართ".

შემდეგ კორესპონდენტი სწერს: „აქ დიდის შიშით ადევნებენ თვალყურს აგრეთვე იმ მოქმედებას, რომელსაც ვითომც საბჭოთა კავშირი ანვითარებს ეგვიპტეში. „დეილი ტელეგრაფი"-ს ქაირელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი სცდილობს შექმნას იქ რუსეთ-ეგვიპტის სავაჭრო ბიურო ბამბის შესყიდვის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ნამდვილად კი, როგორც კორესპონდენტი ამტკიცებს, იმისათვის, რომ „შექმნას კომუნისტური პროპაგანდის ცენტრი ამ მეტად მნიშვნელოვან პუნქტში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის". (ადს).

ბერლინი, 14 ივნისი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ხიკსის გამოსვლებს და სწერს:

„მუშათა პარტიის წრეებში სიხარულით შეხვდენ შინაგან საქმეთა მინისტრის ხიკსის განცხადებას ინგლისის კომუნისტების მიერ მოსკოვიდან ფულის მიღების შესახებ. ამ წრეებში იმედი აქვთ, რომ ხიკსის მხილება სამსახურს გაუწევს მუშათა პარტიას კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში". (ადს).

„უაღრესათ სერიოზული თათბირი" ვარშავაში

დიპლომატების მიღება პილსუდსკის მიერ

ვარშავა, 14 ივნისი. ვარშავაში ჩამოვიდა ინგლისის ელჩი ბერლინში ლინდსეი. პრესის ცნობით, ლინდსეი დანიშნული იქნება გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად. დღეს ლინდსეის მიიღებს პილსუდსკი.

„პშეგლონდ ვეჩორნი" ამბობს, რომ პილსუდსკისა და ინგლისის დიპლომატს შორის გაიმართება „უაღრესად სერიოზული თათბირი".

ვარშავა, 14 ივნისი. პილსუდსკიმ მიიღო საფრანგეთის ელჩი პოლონეთში ლაროში.

აყროლებული პეტარდა ანუ დედექტიური მოთხრობა

როგორც ბნელეთის გონება-ჩლუნგი მოციქულები, ისე გაკოტრებული რეფორმისტები მოუთმენლად ელოდენ ჯოინსონ ხიკსის სენსაციურ მხილებას „საბჭოთა ოქროს" შესახებ. ელოდნენ და იმედი ქონდათ, რომ ინგლისის ჟანდარმთა შეფი ეხლა მაინც მისცემდა მათ ხელში დამაჯერებელ და გამანადგურებელ ფაქტებს საშინელი კომუნიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის. ჯოინსონ ხიკსის ყველა მეგობრები, როგორც მემარცხენენი, ისე მარჯვენენი, დაბეჯითებით წინასწარმეტყველობდნენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე დამთავრდებოდა არა ყალბი დოკუმენტის გამოქვეყნებით, როგორც იყო მაგალითად, „ზინოვიევის წერილი" და „თეთრი წიგნი" ფანტასტიური სამხედრო დოკუმენტის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა არკოსზე თავდასხმის შემდეგ, არამედ ნამდვილი ყუმბარის აფეთქებით, რომელიც თავის ძალით შეაძრწუნებდა ყველას. სანატრელი დღე, რომელსაც დიდი ხანი ელოდენ, დადგა. საბჭოთა კავშირის და რევოლიუციონური პროლეტარიატის ყველა მტრები სულგანაბული უსმენდნენ ხიკსის ყოველ სიტყვას.

მაგრამ „ჯიკსის" სიტყვამ საშინელი იმედის გაცრუება გამოიწვია მათ შორის. ყუმბარის მაგივრად მათ მიიღეს დანესტიანებული პეტარდა, რომელიც ამყრალებულ სუნს უშვებს და არა მძლავრ ცეცხლს.

შედარება დანესტიანებულ პეტარდასთან ჩვენ არ გამოგვიგონია. ეს შთაბეჭდილება ხიკსის სიტყვიდან მიიღო არა სხვა ვინმემ, არამედ „პატივცემული" ლიბერალური ორგანოს „მანჩესტერ გარდიენ"-ის პოლიტიკურმა მიმომხილველმა. მაგრამ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს უაღრესად ლოიალური „დეილი ტელეგრაფი"-ც კი იძულებულია აღიაროს, რომ გარკვეული და აშკარა ბრალდებათა ნაცვლად მივიღეთ ერთგვარი „დეტექტიური მოთხრობა"-ო.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ"-ს რასაკვირველია, არ შეუძლია მეტად მკაცრად და სასტიკად გაილაშქროს მინისტრის წინააღმდეგ, რომელიც ამ შემთხვევაში გამოვიდა არა მარტო თავისი სახელით, არამედ მთელი მთავრობის სახელით, მაგრამ „დეილი ტელეგრაფ"-ს, ისე როგორც მთელ რეაქციონერ პრესას, არ ძალუძს დაფაროს თავისი დაბნეულობა. ხიკსის დამარცხების ნამდვილი აზრის გასაგებად აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს მაინც, რომლებიც ამ საქმეს შეეხება. დაახლოებით ორი თვის წინედ, 19 აპრილს, ჯოინსონ ხიკსმა განაცხადა: :

„მე მაქვს საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ინგლისში არსებულ რუსეთის ბანკიდან გამოსული სახაზინო ნიშნების მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაეცა ინგლისის კომუნისტურ პარტიას და მისი საშუალებით დიდბრიტანეთის კომუნისტურ ორგანიზაციებს. რუსეთის ბანკებსა და კომუნისტურ აგიტატორებს შორის განუწყვეტელი ქსელია გაბმული დიდ ბრიტანეთის ყველა დიდ ქალაქებში"-ო.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ჯოინსონ ხიკსმა დაარწმუნა პროფკავშირთა ბელადი დუნკაი გრესემს (რომელიც ებღაუჭება თავის თანამდებობას მიუხედავად იმისა, რომ მემაღაროეთა უმრავლესობამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა), რომ ის, ხიკსი, შესძლებს დაამტკიცოს, რომ ორგანიზაციებს და ცალკე პირებს ინგლისში უცხოეთის წყაროებიდან აძლევენსუბსიდიებს ინგლისში არსებულ დაწესებულებათა და პროფკავშირთა დანგრევის მიზნით.

ჟანდარმთა შეფის დაპირება, ამგვარად, აშკარა და გარკვეულ ხასიათს ატარებდა. თუ ჩვენ ეხლა მივმართავთ დეტექტიურ მოთხრობას, რომელიც ხიკსმა აცნობა ინგლისის დეპუტატთა პალატას, დავინახავთ, რომ მეტად რთული და გაჭიანურებული სიტყვის მთელი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ცალკე კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა დაწესებულებებში მსახურებდნენ ლონდონში, საბჭოთა დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანხმობის მიუღებლად ახურდავებდნენ უცხოეთის ვალიუტას ამ დაწესებულებებში. ხიკსმა ვერ მოიყვანა ვერცერთი ფაქტი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ამტკიცებდეს იმას, რომ ინგლისში არსებული საბჭოთა ბანკიდან კომპარტიას გადაეცა თუნდაც ერთი შილინგი. კიდევ მეტი, ხიკსი იძულებული გახდა შემდეგში აღეარებია, რომ „კავშირი ბანკებსა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არ დამტკიცებულა"-ო. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ხიკსმა თვითონ გასწკეპლა საჯაროდ თავისი თავი, როცა დაამტკიცა, რომ ორი თვის განმავლობაში თავხედურად და უსინდისოდ ცილს სწამებდა საბჭოთა დაწესებულებებს და სცდილობდა სახელი გაეტეხა როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე რევოლიუციონური მოძრაობისათვის თვით ინგლისში.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მტრები ინგლისში ასე არიან გაოცებული ინგლისის მთავრობის თვითმხილებით, მთავრობის, რომელიც დაჰპირდა დინამიტის ყუმბარის აფეთქებას, ნამდვილად კი გამოუშვა აყროლებული პეტარდა.

განსაკუთრებით არიან გაოცებული ინგლისის მუშათა მოძრაობის რეფორმისტული ბელადები. მთელ ამ საზიზღარ ისტორიაში ისინი განსაკუთრებით ბინძურ როლს თამაშობდნენ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ მუშათა პარტიის სკამებიდან გადასძახეს ხიკსს გამოექვეყნებია მთელი „გამანადგურებელი" მასალა საბჭ. კავშირის და კომუნისტების წინააღმდეგ (გრეჰემის შეკითხვა). მუშათა პარტიის ბელადებმა არ მოუცადეს ხიკსის სენსაციურ გამოსვლებს და წინასწარ ეძლეოდნენ სიხარულს საბჭოთა ბანკების „ბოროტმოქმედების" გამომჟღავნების მოლოდინში.

შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მაკდონალდის კაბინეტში რაის დევისმა საჭიროდ სცნო გაელაშქრა ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ის წინააღმდეგ რამოდენიმე სიტყვისათვის, რომლებიც ამ გაზეთმა სთქვა იმ „შემოქმედებითი, დადებითი კონსტრუქტიულ" საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხიკსმა საშინლად გაუცრუა იმედები ინგლისის ბურჟუაზიის უბადრუკ ლაქიებს, რომლებიც იძულებული არიან ჩაებღაუჭონ ხიკსის დეტექტიური მოთხრობის ცალკე მომენტებს, რათა მოითხოვონ მკაცრი ზომები „ბოროტმოქმედთა" წინააღმდეგ.

განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა მთელ რიგ. შავი მოღალატეობის ჩამდენი ტომასი. იგი არ დაკმაყოფილდა მაკდონალდის ბუნდოვანი ფრაზით იმ ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული „მხილებათა" შემდეგ. მან მკვეთრად და გარკვეულად დასვა საკითხი: შეიძლება თუ არა ერთგვარი ზეგავლენა მოვახდინოთ კანონებზე და ფაქტებზე იმისათვის, რომ ვინმე მივსცეთ პასუხისგებაში. ხიკსი სიამოვნებით დაპირდა, რომ შეასწორებდა იურისკონსულტების დასკვნას, რათა ამა თუ იმ ფორმით დაეკმაყოფილებია ინგლისის მუშათა პარტიის უკეთილშობილესი ბელადის კეთილშობილი სურვილები.

მეტად დამახასიათებელია, რომ ტომასის მიერ შედგენილი შეკითხვა ზევრად უახლოვდება უკიდურესი ზუბრის, ჩვენთვის კარგად ცნობილი ოლივერ ლოკერ ლემპსონის შეკითხვას. განსხვავება ლოკერ ლემპსონსა და ტომასს შორის მდგომარეობს, იმაში, რომ პირველი თავხედურად ისვრის მოწამლულ ისრებს, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის კომუნისტების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ტომასი კმაყოფილდება მხოლოდ ინგლისის კომპარტიის წინააღმდეგ ცილისწამებით. ამასთან ერთად მუშათა პარტიის ვერც ერთმა ლიდერმა ვერ გაბედა კომპარტიის წინააღმდეგ გალაშქრებასთან დაკავშირებით გარკვეულად დასვა საკითხი ინგლისის ხელმძღვანელი პარტიების, „დემოკრატიული" პარტიების ფინანსიურ წყაროების შესახებ და პირველ რიგში იმ პარტიის ფინანსიური წყაროების შესახებ, რომლის სახელითაც გამოვიდა ხიკსი. ბავშმაც კი იცის ინგლისში, რომ უდიდეს ფონდებს საარჩევნო კამპანიისათვის, რომელთა საშუალებით პარლამენტის არჩევნები გადაიქცევა ხოლმე ფარსად, გაბატონებული კლასები იღებენ ჩინებისა და ტიტულების უსირცხვილო გაყიდვით. მდიდარი ექსპლოატატორები განსაზღვრული ჯილდოს მიცემით იღებენ ბარონებისა და ლორდების წოდებას და ეს ჯილდო შეადგენს იმ იარაღს, რომლის საშუალებითაც „დემოკრატიული" პარტიები თვალებს უხვევენ მშრომელთა მასებს.

მაკდონალდები და ტომასები ტყუილად კი არ სდუმდენ ამ პატარა დეტალის შესახებ: მაკდონალდს არ შეეძლო დაევიწყა, რომ მასაც მიუძღვის ცოდვები ამ მხრივ. ხელისუფლების სათავეში ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ყოფნის დროს, ბარონეტის პატარა ჩინი მან გაყიდა ავტომობილზე, რომელიც მას პირადი საჩუქრის სახით მიართვეს. მაკდონალდმა და ტომასმა იციან აგრეთვე, რომ პროფკავშირთა მასა განსაკუთრებულ ენტუზიაზმს არ იჩენს პოლიტიკური გამოსაღების გადახდის საქმეში და ამიტომ მათ იმედი აქვთ, რომ მომავალში, როცა კვლავ გახდებიან მისი უდიდებულესობის მინისტრები, გამოიყენებენ „ტრადიციულ" გზებს პოლიტიკური ფონდების შესაგროვებლად. ამ მშვენიერი „დემოკრატიული" საჩუქრების მოლოდინში ისინი ენერგიულად ეწევიან ცილის წამებას კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდება პროლეტარულ მასებს შორის.

რასაკვირველია, წარმოსადგენია: რომ ტომასმა ხიკსის დახმარებით შესძლოს ზოგიერთი ინგლისელი კომუნისტის დასმა საბრალმდებლო სკამზე. ინგლისელი კომუნისტები შეჩვეული არიან „თავისუფალი ინგლისის" ციხეებში ჯდომას, მაგრამ უეჭველია, რომ აყროლებული პეტარდა მაგრად და მძლავრად მოხვდა თავში არა მარტო ინგლისის ეხლანდელ კონსერვატიულ მთავრობას, არამედ ხიკსის მოკავშირეებსაც, მუშათა პარტიის ბელადების სახით, რომლებიც ასე ბეჯითად ეხმარებოდნენ მას ახალი „მამხილებელი საბუთის" აღმოჩენაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთის მხრით და ინგლისის კომუნისტების წინააღმდეგ მეორეს მხრივ.

„პრავდა", 15 ივნისი.

მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ გერმანიაში

რეიხსტაგის პრეზიდიუმი

ბერლინი, 14 ივნისი. სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, რომ რეიხსტაგის პრეზიდიუმში არჩეულ იქნეს დიდი კოალიციის პარტიის წარმომადგენლები, რათა კომუნისტის აურჩევლობა, ასე ვთქვათ, ანაზღაურებულ იქნეს ნაციონალისტის აურჩევლობით. საშუალო ბურჟუაზიულ პარტიების დახმარებით სოციალ-დემოკრატებმა მიაღწიეს იმას, რომ თავმჯდომარის მესამე მოადგილედ კომუნისტის ნაცვლად არჩეულია ნაციონალისტი.

პირველ ორ მოადგილედ არჩეულია ცენტრის პარტიისა და სახალხო პარტიის წარმომადგენლები.

თავმჯდომარის არჩევის შედეგები ასეთია: სოც.-დემოკრატმა **ლებემ** მიიღო 318 ხმა, კომუნისტების კანდიდატმა **ტელმანმა**—46 ხმა, 70 ნაციონალისტმა თავი შეიკავა—მათ ბიულეტენები არ შეუვსიათ.

კომუნისტების წინადადებას—დაპატიმრებულ დეპუტატ **კიპენბერგის** დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ ხმა მისცეს ყველა პარტიებმა ნაციონალისტებისა და სახალხო პარტიის გამოკლებით.

წინადადება ამნისტიის შესახებ განხილულ იქნება ხვალინდელ სხდომაზე.

პრუსიის ლანდტაგში

ბერლინი, 14 ივნისი. პრუსიის ლანდტაგმა 222 ხმის უმრავლესობით 168-ის წინააღმდეგ (სახალხო პარტიის 33 დეპუტატმა თავი შეიკავა) უარჰყო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, რომელიც შეიტანეს კომუნისტებმა.

228 ხმის უმრავლესობით 153-ის წინააღმდეგ უარყოფილია აგრეთვე პრუსიის სახალხო განათლების მინისტრ ბეკერისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, რომელიც შეიტანეს ნაციონალისტებმა. ნაციონალისტების წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს კომფრაქციამ თავი შეიკავა. (ადს).

სახალხო პარტიის მოთხოვნილება

ბერლინი, 14 ივნისი. შესდგა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა, რომელსაც დაესწრო პრუსიის პრემიერი ბრაუნი. სხდომაზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ სახალხო პარტია თანახმაა შევიდეს სრულიად გერმანიის დიდი კოალიციის მთავრობაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ ამავე დროს მოხდება პრუსიის მთავრობის რეორგანიზაცია ასეთივე კოალიციის საფუძველზე.

თათბირის შემდეგ გერმან მიულერი წავიდა შტრეზემანთან მოსალაპარაკებლად შექმნილი მდგომარეობის გარშემო. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

აღმოსავლეთ პროვინციების პირობები

პეკინი, 14 ივნისი. იაპონიის ტოხოს სააგენტოს შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, მუკდენის სამოქალაქო გუბერნატორმა ლიუბან-ცზინმა ნანკინის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ატყობინებს, **რომ აღმოსავლეთის სამი პროვინცია მზადაა მიემხროს სამხრეთელებს, თუ ნანკინი შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას მათ წინააღმდეგ**. (ადს).

ნანკინის მთავრობა ცნობას ითხოვს

შანხაი, 14 ივნისი. „შანხაი ტაიმს"-ის ცნობით, ნანკინის მთავრობამ უცხოეთში მყოფ გამოჩენილ გომინდანელებს დაავალა გამართონ მოლაპარაკება უცხოეთის მთავრობებთან იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა იცნონ ნანკინის მთავრობა.

გაზეთი შემდეგ იუწყება, რომ ნანკინის მთავრობის ყოფილმა საგარეო მინისტრმა, რომელიც ამჟამად ვაშინგტონშია, ნანკინის მთავრობას აცნობა, რომ ის ესაუბრა კელოგს, რომელმაც განაცხადა, რომ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების მთავრობა მზადაა დაუყოვნებლივ გამართოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან უთანასწორო ხელშეკრულებების გადასინჯვის შესახებ. (ადს).

ჩან-ძო-ლინის ბედი

ხარბინი, 14 ივნისი. იაპონელების გაზეთი „უენ-ცზინ-ში-ბაო", რომელიც ჩინურ ენაზე გამოდის მუკდენში, იუწყება: „არაოფიციალურ მოლაპარაკების დროს ირჩეოდა ჩინეთის სამ აღმოსავლეთ პროვინციის ახალი მმართველის და სამხედრო ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი. მანჯურიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამოქალაქო და სამხედრო წრეების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ჩან-ძო-ლინის შვილის ჩან-სუე-ლიანის კანდიდატურას".

ამ ცნობიდან უნდა გამოტანილ იქნას ის დასკვნა, რომ, როგორც სჩანს, ჩან-ძო-ლინის სიკვდილი მომხდარი ფაქტია. ცნობები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ დასტურდება აგრეთვე იაპონური წყაროებიდან. (ადს).

ნობილეს დასახმარებლად

ნობილეს დამხმარე კომიტეტში

მოსკოვი, 15 ივნისი. 14 ივნისს საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოში ამხ. **უნშლიხტის** თავმჯდომარეობით შესდგა თავდაცვა - ავიაქიმთან არსებულ ნობილეს დამხმარე კომიტეტის მორიგი სხდომა.

კომიტეტმა უბრძანა „მალიგინს" შეუჩერებლივ და რაც შეიძლება სწრაფად გასწიოს იმედის კუნძულისაკენ, რათა იქედან აეროპლანით აღმოუჩინოს პირველი დახმარება ნობილეს „კრასინს" წინადადება მიეცა შეავსოს ქვანახშირის მარაგი კინგსბეიში. გადაწყდა აცნობოს იტალიის მთავრობას „კრასინის" სწორი მარშრუტი (ადს).

პირველი რადიო ცნობა „მალიგინიდან"

არხანგელსკი, 15 ივნისი. მიღებულია „მალიგინის" პირველი რადიო-ცნობა.

ყინულის მჭრელი გემი 11 კვანძის სიჩქარით მიდის თეთრი ზღვით ტერის ნაპირის გასწვრივ. 13 ივნისს 15 საათზე გემი გასცდა პოლიარულ წრეს. ამინდი კარგია.

„მალიგინი" მურმანსკში

მურმანსკი, 14 ივნისი. 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე „მალიგინი" ჩავიდა მურმანსკში. ღამით „მალიგინი" წავა ალექსანდროვსკში ქვანახშირის სრული მარაგის აღსადგენად. ღამით 16 ივნისს დანიშნულია პირდაპირი რეისი ფოინის კუნძულსაკენ, აქედან დაიწყება საჰაერო დაზვერვა იუნკერსით. (ადს).

„კრასინის" კაპიტანი

ლენინგრადი, 15 ივნისი. ნობილეს ექსპედიციის საძებრად მიმავალ ყინულის მჭრელ „კრასინის" კაპიტანად საროკინის მაგივრად დაინიშნა **ეგგი**, რომელმაც თავის დროზე იმოგზაურა შპიცბერგენისაკენ და რომელიც კარგად იცნობს კუნძულთან მისავალ გზებს.

ჩრდილო კონცხისაკენ

ოსლო, 14 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გემი „ბრაგანცა" კინგსბეიდან გავიდა ღამით. ხინლოპენის სრუტეში ის შეხვდება ილქნიან გემ „ხობი"-ს; მიიღებს ჰაეროპლანს და გაემართება ჩრდილო კონცხისაკენ. დღეს კარგი ამინდია". (ადს).

ოსლო, 14 ივნისი. იტალიის მთავრობის მიერ ნობილეს დასახმარებლად გაგზავნილი ჰიდროჰაეროპლანი, რომელსაც მართავს მფრინავი მადალენა, მიფრინდა ნავთსადგურ ვაცეში (ნორვეგია). (ადს).

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასი იუწყება:

„ვაჭრობისა და საზღვაო სამინისტრომ გადასწყვიტეს ამუნდსენის განკარგულებაში გამოჰყონ ნობილეს ექსპედიციის დახმარების მოსაწყობად მფრინავი გილბო და ჰიდროჰაეროპლანი, რომელზედაც უნდა მომხდარიყო გადაფრენა ოკეანეზე.

გილბო 16 ივნისს გაფრინდება ბერგენში (ნავთსადგური ნორვეგიის დასავლეთ ნაპირზე).

სტოკჰოლმი, 14 ივნისი. შვეციის მთავრობამ გაგზავნა ნობილეს დასახმარებლად დიდი ჰიდროაეროპლანი, რომელიც შპიცბერგენზე გაფრინდა. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გავაღრმაოთ თვითკრიტიკა

მოსკოვი, 15 ივნისი. „იზვესტია" დღევანდელ მოწინავეში ეხება თვითკრიტიკის გაძლიერების საკითხს და აღნიშნავს:

საკავშირო კომპარტიის ცეკას მოწოდება თვითკრიტიკის გაღრმავების შესახებ მთელი თავისი სიმწვავით სვამს ჩვენს წინაშე საკითხს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საბჭოთა აპარატის გამოუშურების და მეტი თვითმოქმედების გამოჩენის შესახებ.

ბოროტმოქმედებათა მთელი რიგი ფაქტები, რომელნიც აღმოჩენილ იქნენ საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ, როგორც მაგალითად: შახტის კონტრ - რევოლიუციონერების მავნებელი მუშაობა, სმოლენსკისა და არტიომოვსკის პარტორგანიზაციების გახრწნა იმას მოწმობენ, რომ ჩვენი აპარატის ზოგიერთ უჯრედებში ღრმად აქვს გადგმული ფესვები ბიუროკრატიზმის სენს.

საჭიროა შევიგნოთ თვითკრიტიკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. საჭიროა თვითკრიტიკა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შევისწავლოთ საქმეების კულტურულად წაყვანა.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დაზღვეული არ ვიქნებით დაუდევრობისა და ბოროტმოქმედების შემთხვევათა განმეორებისაგან.

შუამდგომლობა გრძელვადიან სესხის ბანკის თბილისის კანტორის შესახებ

მოსკოვი, 15 ივნისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ თბილისში დატოვებულ იქნას გრძელვადიანი სესხის ბანკის განყოფილება.

თამბაქოს დამზადების გეგმა შესრულებული არაა

მოსკოვი, 15 ივნისი, როგორც ამას ნედლეულ თამბაქოს დამზადების მართველობა აღნიშნავს, თამბაქოს დამზადების გეგმა მთელ საბჭოთა კავშირში შესრულებული არაა სათანადო რაოდენობით.

თამბაქოს ყველა რაიონებიდან გეგმის შეუსრულებლობის მხრივ ჩამორჩენილი არიან: შავი ზღვის ნაპირის რაიონები, სოხუმი, ყირიმი, ყუბანი და მაიკოპის მიდამოები.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად დასახელებულია თამბაქოს დამამზადებელ სახელმწიფო აპარატის სუსტი მუშაობა. მომჭირნეობის მიზნით შემცირებულ იქნა თამბაქოს შემსყიდველ პუნქტების რიცხვი, რამაც მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი გეგმის შესრულების შესაძლებლობას იძლეოდა, ხელი შეუშალა ნედლეულ თამბაქოს დამზადებას.

კონტრ - რევოლიუციონერები ლითონ-მადნის ვაჭრობაში

მოსკოვი, 15 ივნისი. იმის გამო, რომ ლითონ - მადნის ვაჭრობამ („რუდმეტალტორგ") დაუშვებელი უთაობა გამოიჩინა საქმეში, დიდათ შეფერხდა მძიმე მრეწველობისათვის რკინის მასალის მიწოდების საქმე. ასეთივე მდგომარეობაშია ტრანსპორტიც.

რკინის მასალის დამზადება - განაწილება სრულიად არ არის მოწესრიგებული.

ლითონ-მადნის ვაჭრობის სამმართველოში მუშაობენ ანტისაბჭოთა ელემენტები, მათ შორის ყოფილი კოლჩაკოველებიც.

მიღებულია ზომები ლითონ-მადანის ვაჭრობის ხელმძღვანელთა შემადგენლობის გადასახალისებლად.

უკანასკნელი ცნობები

სად იმყოფება ნობილეს ექსპედიცია

ოსლო, 15 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: „უკანასკნელი ცნობებით ნობილეს ჯგუფი ქარიშხალმა გაიტაცა ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ კუნძულ ფოუენის გასწვრივ. ჯგუფი იმყოფება კარლის მეთორმეტეს კუნძულიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ნობილეს ჯგუფი ითხოვს თოფებს და ამუნიციას, რადგანაც მათ ხშირათ ხვდებიან თეთრი დათვები.

ამუნდსენი გაფრინდება აეროპლანით შპიცბერგენზე და იქვე მიიწვევს ავიატორს — ლეიტენანტ დიტრიხსენს, რომელიც კარგათაა გაცნობილი არქტიკის პირობებთან (ადს).

დახმარება ნობილეს

მოსკოვი, 15 ივნისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე უნშლიხტმა რადიო-გრამები გაუგზავნა „კრასინისა“ და „მალიგინის“ ექსპედიციების უფროსებს. რადიოგრამაში ნათქვამია:

„კომიტეტი მტკიცეთაა დარწმუნებული, დაეკისრა თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ექსპედიციებს, ექსპედიციის ყველა მონაწილეთა ენერგიული და შეუსუსტებელი მუშაობით ღირსეულათ იქნება დაგვირგვინებული“ (ადს).

ჩინეთის ყოფილი იმპერატორი

შანხაი, 14 ივნისი. დაირენში ჩამოვიდა ჩინეთის ყოფილი იმპერატორი პუი, რომელიც გაიქცა ტიანცზინიდან, სადაც იგი ცხოვრობდა 1911-12 წლის რევოლიუციის შემდეგ.

„შუნ-ბაო“ იუწყება, რომ რუს თეთრგვარდიელებმა დაირენში „ურჩიეს“ პუის ისარგებლოს ეხლანდელი მდგომარეობით და ხელთ იგდოს მანჯურია და მონღოლეთი. გაზეთის სიტყვით, პუიმ უარი განაცხადა და სთქვა: „მოხარული ვარ, რომ ცოცხალი გადავრჩი დინასტიის დამხობის შემდეგო“ (ადს).

ჩან-კაი-შის გამგზავრება

შანხაი, 14 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ ჩან-კაი-ში ნანკინიდან სამხედრო გემით გაემგზავრა გამოურკვეველი მიმართულებით. ფიქრობენ, რომ ჩან-კაი-ში გაემგზავრა თავის სამშობლო — ჩჟეცზიანის პროვინციაში. (ადს).

ჩან-ძო-ლინის მემკვიდრე

პეკინი, 14 ივნისი. იაპონიის „ნიპონ დემპოს“ სააგენტოს მუკდენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინის მემკვიდრედ ასახელებენ ჩან-ცზო-ხიანს, გირინის პროვინციის დუბანს. (ადს).

ბოქსერთა კონტრიბუციის რუსეთის წილი

პეკინი, 14 ივნისი. „ნორტ ჩაინა სტანდარტ“-ის ცნობით ცხრა უნივერსიტეტის მასწავლებელთა კონფერენციამ გადასწყვიტა გაგზავნოს დელეგაცია, რომელმაც უნდა აწარმოოს მოლაპარაკება ენ-სი-შანის საგარეო საქმეთა რწმუნებულთან. დელეგაციას დავალებული აქვს მოაგვაროს საკითხი იმის შესახებ, რომ დატოვებულ იქნას ბოქსერთა კონტრიბუციის რუსეთის წილის გამოყენების არსებული წესი, რომლის თანახმად აღნიშნული წილი ხმარდება უნივერსიტეტების სუბსიდიებს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ პეკინის მთავრობასთან დასდო შეთანხმება, რომ 1901 წლის ბოქსერთა აჯანყებისათვის ჩინეთზე დადებული კონტრიბუციის რუსეთის კუთვნილი წილი მოხმარდეს ჩინეთის სახალხო განათლების საქმეს. (ადს).

იაპონელთა თარეშის შედეგები

შანხაი, 14 ივნისი. ჩინეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციების დელეგაცია, რომელიც შანდუნის პროვინციიდან დაბრუნდა, იუწყება, რომ იაპონია-ჩინეთის პირველი შეტაკების დროიდან ცზინანში იაპონელთა ჯარებმა მოკლეს 3.625 და დასჭრეს 1.455 ჩინელი.

იაპონელ ჯარისკაცთა მოქმედებამ ცზინანში ჩინელ მოქალაქეებს მიაყენა 25 მილ. დოლარის ზარალი (ადს).

ფინ იუი-სიანის ჯარები

პეკინი, 14 ივნისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ფინ იუი-სიანმა გასცა განკარგულება ყველა თავისი ჯარების გაწვევის შესახებ პეკინიდან 54 კილომეტრის მანძილზე.

ფულის გატაცება ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობიდან

ბათომი, 14 ივნისი. ამ დღეებში მიიმალა ქობულეთის საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობის მოლარე მახარაძე, რომელმაც დასტოვა ბარათი, რომ სალაროდან წაიღო 400 მანეთი. მისი გადამალვის შემდეგ ამხანაგობის თავმჯდომარე ბეჟანიძემ განაცხადა, რომ სალაროს აკლია 2.000 მანეთი. ეჭვით დააპატიმრეს ბეჟანიძე და მეორე მოლარე—ემირიძე. რამოდენიმე ხანს შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გამოცხადდა გაქცეული მოლარე მახარაძე, დააბრუნა გატაცებული 400 მანეთი და განაცხადა, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია 2.000 მანეთის გატაცებაში. მახარაძე დაპატიმრებულია. საქმე გადაეცა პროკურატურას. (ადს).

პილსუდსკი ისევ ემუქრება სეიმს

პოლონეთის ბიუჯეტი

ვარშავა, 14 ივნისი. სეიმმა მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო ბიუჯეტი. მთავრობის ყველა წინადადებები სეიმის მიერ შემცირებულ ასიგნობების აღდგენის შესახებ, უარყოფილ იქნა ხმების უმრავლესობით. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შესწორება არმიის რიცხვის 50.000 კაცამდე შემცირების შესახებ უარყოფილ იქნა 185 ხმით, 180 ხმის წინააღმდეგ. უარყოფილ იქნა მთავრობის წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო ხარჯების 60 მილიონიან ფონდის და აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს საიდუმლო ფონდის აღდგენის შესახებ. სეიმმა გამოიტანა დემონსტრატიული რეზოლიუციები მთავრობის ოფიციალური უწყებების წინააღმდეგ, რომელიც არ აქვეყნებს მთავრობისათვის არსებულ ზოგიერთ დადგენილებებს და ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს წინააღმდეგ მის მიერ სატელეფონო საანგარიშოების შემოღების გამო.

თითქმის ყველა საკითხებში მთავრობას ემხრობოდა სულ 140 ხმა, ოპოზიცია კი აგროვებდა 214-დან 245 ხმამდე. მთავრობის წინააღმდეგ ყველა საკითხებში ხმა მისცეს კომუნისტებმა, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, გლეხთა კავშირმა და ნაციონალურმა უმცირესობამ. ებრაელთა კოლო კენჭის ყრის დროს ორად გაიყო.

„კურიერ პორანი“ აცხადებს: „თუ შემოდგომისათვის მდგომარეობა არ შეიცვალა, საჭირო შეიქნება კონსტიტუციის შეცვლა სეიმის სურვილის წინააღმდეგ“. (ადს).

ამერიკა საპრეზიდენტო არჩევნების წინ

კულიჯმა უარი სთქვა თავის კანდიდატურის წამოყენებაზე

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. კულიჯმა აცნობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკანური პარტიის ყრილობაზე გაგზავნილი დელეგაციის ხელმძღვანელებს, რომ ის საბოლოოდ აცხადებს უარს თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამრიგად გუვერის კანდიდატურის წამოყენება კანდიდატად რესპუბლიკანური პარტიის მხრივ უზრუნველყოფილია. (ადს).

გუვერი—საპრეზიდენტო კანდიდატი

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. რესპუბლიკური პარტიის ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით თავის კანდიდატად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში დანიშნა გუვერი.

გუვერის კანდიდატურამ მიიღო 837 ხმა 1.084-დან, დანარჩენმა კანდიდატებმა მიიღეს ხმების უმნიშვნელო რაოდენობა. (ადს).

სიტრინი ომს უცხადებს მემარცხენე მოძრაობას

ლონდონი, 14 ივნისი. მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების ყოველთვიურ ჟურ. „ლეიბორ მაგაზინ“-ის უკანასკნელ ნომერში ტრედიუნიონების მდივანმა სიტრინმა მოათავსა წერილი, რომელშიაც იგი სწერს:

„ვინც ზრუნავს ინგლისის პროფმოძრაობის კეთილდღეობაზე, მისი მოვალეობაა უარი განაცხადოს პასიურ დამოკიდებულებაზე კომუნისტური პროპაგანდის მიმართ“.

სიტრინი ამტკიცებს, რომ ვითომც უმცირესობის მოძრაობის ყველა ბელადები არიან „მოსყიდული კომუნისტები“ და ვითომც ისინი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ „წითელი ინტერნაციონალის სპეციალური ინსტრუქციებით, რომელთა მიხედვით ხელში უნდა ჩაიგდონ ყველა საპასუხისმგებლო პოსტები პროფკავშირთა მოძრაობაში და ეს მოძრაობა შეუთანხმონ კომპარტიის მიერ დაწესებულ პრინციპებს“.

„დეილი ტელეგრაფი“-ს აზრით, სიტრინის წერილი წარმოადგენს მოსკოვის მუშაობის ავტორიტეტულად დაგმობას ინგლისის პროფმოძრაობის წარმომადგენლის მხრივ“. (ადს).

უნგრეთის ყოფილ სახ. კომისართა გადასახლება

ვენა, 14 ივნისი. ვენის პოლიციამ უნგრეთის ემიგრანტებს — კომუნისტ ლუკაჩს და სოკელის (უნგრეთის ყოფილ საბჭოთა მთავრობის წევრები) გადასცა მიწერილობა ავსტრიის ტერიტორიის დატოვების შესახებ ათი დღის განმავლობაში. ლუკაჩმა და სოკელიმ პროტესტი განაცხადეს განკარგულების წინააღმდეგ. (ადს).

სამხედრო აეროპლანების ავარია საფრანგეთში

პარიზი, 14 ივნისი. სამხედრო აეროპლანებს, რომლებიც ნანსიდან მიფრინავდნენ ლებურჟეში, ღამით მოუსწრო ძლიერმა ქარიშხალმა. ოთხმა აეროპლანმა მოახერხა დაშვება ლებურჟეში. მეხუთე დაიმსხვრა დაშვების დროს, მფრინავები უვნებლად გადარჩნენ. მეექვსე აეროპლანი ჩამოვარდა მოს მახლობლად, მფრინავი მსუბუქად დაიჭრა. მეშვიდე აეროპლანი ჩამოვარდა ლიუსაკის მახლობლად, ერთი მფრინავი მოკლულია, მეორე დაიჭრა. ოთხი აეროპლანი დაეშვა ბურჟეს მიდამოებში. ჯერჯერობით გამოურკვეველია, თუ რა ბედი ეწვია დანარჩენ აეროპლანებს. (ადს).

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ავიაციის სამმართველოს ცნობით, იმ სამხედრო ჰაეროპლანებიდან, რომლებიც ღამით აწარმოებდნენ ვარჯიშობას, ქარიშხალმა მოუსწრო მხოლოდ ცხრას. ხუთმა მოახერხა დაშვება აეროდრომზე, ოთხი უკანვე გაფრინდა ნანსისაკენ. ოთხი აეროპლანი იძულებული გახდა დაშვებულიყო. ერთი აეროპლანი დაიმსხვრა, მფრინავი მოკლულია“.

ინგლისის ფლოტის მანევრები ბალტიის ზღვაზე

ჰელსინგფორსი, 14 ივნისი. ჰელსინგფორსში ჩამოვიდა ინგლისის 2 კრეისერი: „კომიუსი“ და „კიურასო“ ვიცე-ადმირალ ლარკენის მეთაურობით.

„ჰილსინგინ სანომატის“ ცნობით, კრეისერები მიდიან ბალტიის ზღვაში დიდ საზღვაო მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. (ადს).

ინგლის-ავღანისტანის

სამეგობრო ხელშეკრულება

ანგორა, 14 ივნისი. ქაირიდან მიღებული ცნობებით, ეგვიპტესა და ავღანისტანს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. ხელშეკრულება, სხვათა შორის, ითვალისწინებს სავაჭრო და ეკონომიური შეთანხმებების დადებას ორივე სახელმწიფოს შორის. (ადს).

დეტერდინგი არ ცხრება

ბერლინი, 14 ივნისი. ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტის „როიალ დეტჩ კომპანი“-ს მეთაურმა დეტერდინგმა „ტელეგრაფში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და კაპიტალისტურ მსოფლიოს მოუწოდებს ფინანსიური ბლოკადა გამოუცხადოს საბჭოთა კავშირს. (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 14 ივნისი. დეპუტატთა პალატამ 342 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 157 ხმისა კამათის შემდეგ უარჰყო სოციალისტების მიერ შეტანილი წინადადება დაპატიმრებული დეპუტატების განთავისუფლების შესახებ. კენჭის ყრის დროს მთავრობამ დასვა ნდობის საკითხი. (ადს).

რეიხსბერგის წერილი

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანიის კალიუმის მრეწველობის ცნობილმა წარმომადგენელმა რეხბერგმა „ფოსიშე ცეიტუნგ“-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ საფრანგეთის სამხედრო წრეებს სავსებით შესაძლოდ მიაჩნიათ საფრანგეთის და გერმანიის არმიების გაერთიანება ერთი სარდლობის ქვეშ, საფრანგეთისა და გერმანიის გენერლების შემადგენლობით. რეხბერგი ამბობს, საფრანგეთ-გერმანიის სამხედრო კავშირის შექმნას უნდა მოჰყვეს რეინის ოლქის დაუყოვნებლივი ევაკუაცია. (ადს).

ჰიდროპლანის დაღუპვა

ბერლინი, 18 ივნისი. კოპენჰაგენში ქალაქზე გაფრენის დროს ჩამოვარდა სამხედრო ჰიდროპლანი. ჰიდროპლანის ჩამოვარდნის დროს მოკვდა სამი სამხედრო მფრინავი და დაიჭრა რამოდენიმე კაცი. (ადს).

ამნისტიას მოითხოვენ

ვენა, 14 ივნისი. ბერლინში „ადამიანის უფლებათა დაცვის“ გერმანულმა საზოგადოებამ რეიხსტაგის და ლანდტაგის ახლად არჩეულ დეპუტატებს მიმართა მოწოდებით. საზოგადოება მოუწოდებს მათ მხარი დაუჭირონ ამნისტიას იმ პოლიტიკურ პატიმართათვის, რომელთაც არა აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. (ადს).

ინგლისის მუშა სპორტსმენები

მოემგზავრებიან საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 14 ივნისი. ბრიტანეთის მუშათა სასპორტო ფედერაციის ნაციონალურმა კომიტეტმა საბჭოთა სასპორტო ორგანიზაციებისაგან მიიღო მოსაწვევი ბარათი მოსკოვის სპარტაკიადაზე დასასწრებლად 12-დან 22 აგვისტომდე. ბრიტანეთის გუნდი საბჭოთა კავშირში გაემგზავრება ივლისის ბოლოში და სპარტაკიადის დაწყებამდე მოივლის საბჭოთა კავშირს. (ადს).

რასპუტინის ქალიშვილის პრეტენზიები

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასი იუწყება:

„ბორის სოლოვიოვის (რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტი) ცოლმა, რასპუტინის ქალიშვილმა, აღძრა საქმე ყოფილ თავად ფელიქს იუსუპოვის და ყოფილ დიდ მთავარ დიმიტრი პავლეს ძის წინააღმდეგ, და ბრალსა სდებს მათ იმაში, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან მისი მამის მკვლელობისათვის, რაც მოხდა 1916 წელს დეკემბერში, პეტროგრადში.

რასპუტინის ქალიშვილი მოითხოვს ანაზღაურებას 25 მილიონი ფრანკის რაოდენობით“. (ადს).

სპარსეთის მეჯლისის

არჩევნები

თეირანი, 13 ივნისი. თეირანში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში დამთავრდა სპარსეთის მეჯლისის არჩევნები. ყველგან მხოლოდ მთავრობის კანდიდატები გავიდნენ. (ადს).

ჟლეტენ გაფიცულებს

ვენა, 13 ივნისი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ მემაღაროეთა გაფიცვა ჟილავში (რუმინეთი) გრძელდება. რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული გაზეთები იუწყებიან, რომ გაფიცულთა და სამხედრო ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოკლულ იქნა შვიდი კაცი, მძიმედ დაიჭრა ორი ქალი, და მსუბუქად დაიჭრა მრავალი მუშა. გაფიცვასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია 300 მუშა. დაპატიმრებულთა უმეტესი ნაწილი სამხედრო სასამართლოს გადაეცა. (ადს).

ა.-კ. რკინის გზის განჯის უბნის მდგომარეობის შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება)

1. აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივები ამიერ-კავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ უბნის შესახებ საკმაოდ არ არის გატარებული, ხოლო ცალკე საკითხებზე სრულებით არ არის გატარებული განჯის უბანში.

აღინიშნოს, რომ განჯის სამაზრო კომიტეტი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა ა.-კ. რკ. გზის განჯის უბანს, რომ სუსტად იყო დაყენებული პარტიული მუშაობა უჯრედებში, სუსტი იყო უჯრედების მდივანთა შემადგენლობა, მეტის მეტად სუსტად იყო დაყენებული პარტიული, მასიური და აღმზრდელობითი მუშაობა.

აგრეთვე აღინიშნოს, რომ პარტუჯრედები გავლენას ვერ ახდენდნენ უპარტიო მუშათა მასაზე.

წინადადება მიეცეს სამაზრო კომიტეტს სერიოზული ყურადღება მიაქციოს პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაობას რკ. გზ. უბნებში და ამ უბნების ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხები დასვას სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებსა და პლენუმებზე.

სამაზრო კომიტეტთან გამოყოფილ იქნას სპეციალური ინსტრუქტორი რკინის გზის უბანში სამუშაოდ.

სადგურ განჯის უჯრედები და სამქროების უჯრედები გაერთიანებულ იქნას ერთ კოლექტივად. კოლექტივის მდივნად წამოყენებულ იქნეს ავტორიტეტის მქონე ნაცადი, პარტიულ მუშაობის მცოდნე ამხანაგი.

ამასთან ერთად სამაზრო კომიტეტმა მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიებები პარტმუშაობის გასაძლიერებლად უბანში.

2. სამაზრკომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აყენებს ნაციონალური უთანხმოების აღმოფხვრას მუშების ცალკე ჯგუფებს შორის. საჭიროა სისტემატიური ახსნა-განმარტებითი კამპანიის წარმოება, რათა მუშები აღზრდილი იქნან ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მიხედვით.

აგრეთვე საჭიროა გამომჟღავნებულ იქნან მუშათა მასის წინაშე ის პირები, რომლებიც შეგნებულად აფერხებენ მუშაობას და სთესენ ნაციონალურ შუღლს მუშებს შორის.

განსაკუთრებით საჭიროა ზომების მიღება ნაციონალურ უთანხმოების სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად კომუნისტებს შორის.

აღნიშნავს რა დიდმპყრობელურ განწყობილებათა სისტემატიურ ფაქტებს ცალკე პირებისა და ჯგუფების მხრივ თურქ მუშათა მასის მიმართ, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს სამაზრო კომიტეტს გამოუცხადოს უსასტიკესი ბრძოლა ამ განწყობილებებს. ამასთან ერთად საჭიროა ბრძოლა ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგაც. ეთანხმება რა ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას რაჯაბლის საქმეზე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა ჩატარებულ იქნას მასიური განმარტებითი კამპანია ხსენებულ გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამაზრო კომიტეტმა არ მიიღო თავის დროზე საკმაოდ გადამჭრელი ზომები ნაციონალური უთანხმოების აღმოსაფხვრელად მუშების შორის. პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება ამ დარგში წარმოადგენს სამაზრო კომიტეტის და უბნის ყველა პარტიულ ორგანიზაციების ერთ-ერთ გადაუდებელ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

3. პარტიულ მუშაობის გაძლიერების საჭიროებასთან ერთად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აყენებს სამაზრო კომიტეტის და აგრეთვე რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის ფრაქციის წინაშე პროფესიონალური, მასიური მუშაობის მაქსიმალურად გაძლიერების ამოცანას საოლქო კომიტეტის მიერ წინად მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე და აგრეთვე საერთო პარტიულ დირექტივების მიხედვით. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ არც პარტიულმა და არც პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა თავის დროზე სერიოზული ყურადღება არ მიაქციეს ყველა იმ იარებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უბანში. ამ საკითხების გარშემო არ იყო შემოკრებილი პარტიულ უჯრედების და პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშათა მასის საზოგადოებრივი აზრი.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს სამაზრო კომიტეტს შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში მიიზიდოს მუშათა მასა უბნის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, როგორც საწარმოო კომისიებისა და თათბირების, ისე მასიური მუშაობის მთელი სისტემის საშუალებით.

საოლქო კომიტეტი აღნიშნავს შრომითი დისციპლინის მეტისმეტ სისუსტეს უბანში, დაბნეულობას, ლოთობას, საქმისადმი უყურადღებობას და წინადადებას აძლევს სამაზრო კომიტეტს მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ მოვლენების წინააღმდეგ, უფრო ენერგიულად გაატაროს ცხოვრებაში საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებები.

4. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ რკინის გზის განჯის უბანში ბევრია უვარგისი, აშკარად ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც აფერხებენ მუშაობას უბანში.

აღნიშნავს რა, რომ დირექტივები განჯის უბნის გაწმენდის შესახებ გატარებული არ არის ცხოვრებაში, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს შეათანხმოს საკითხი პროფორგანიზაციასთან და დაუყოვნებლივ გაატაროს ცხოვრებაში ეს დირექტივა.

საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს გზათა სამმართველოს გადაჭრით აღმოფხვრას მუშა-ხელის მიღების არსებული წესი, რომლის შედეგად ამ უბანში მუშაობენ აშკარად უვარგისი, უცხო, და ზოგჯერ კი პირდაპირ ანტისაბჭოთა ელემენტები, პარტიის სამაზრო კომიტეტმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ კონტროლი მუშა-მოსამსახურეთა მიღებაზე და არ დაუშვან მუშა-მოსამსახურეთა მიღების დროს რაიონის ძირითადი მოსახლეობის ელემენტების უყურადღებოდ დატოვება, მათთვის გვერდის ავლა.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აყენებს გზათა სამმართველოს წინაშე მუშა-თურქების მომზადების ტემპის გაძლიერების ამოცანას. პრეზიდიუმი ავალებს სამდივნოს მოისმინოს ამ.-კავკ. რკინის გზათა სამმართველოს სპეციალური მოხსენება ამ საკითხზე.

აღნიშნავს რა, რომ გზათა სამმართველო და აგრეთვე მისი ქვედა საფეხურის ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით არ ეპყრობიან მუშების კრიტიკას და მათ წინადადებებს, საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ქვედა საფეხურის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნულ დეფექტების გამოსწორება უახლოეს დროში.

5. ვინაიდან განჯის უბანში ადგილი ჰქონდა აშკარა დამაზიანებელ მუშაობას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თითქმის დაუბრკოლებლად ტარდებოდა სამეურნეო, ადმინისტრატიულ, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების თვალისწინ, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ხსენებულ მუშაობის აღმოსაფხვრელად და ამ საკითხის გარშემო პარტიულ ორგანიზაციებისა და მთელი მუშათა მასის საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

6. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიაქცევს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას ყურადღებას იმაზე, რომ საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება განჯის მაზრის ხელმძღვანელ ორგანიზაციების მიმართ.

განჯის სამაზრო კომიტეტზე მიმაგრებულ იქნას ცეკას პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი ერთნახევარი თვის ვადით.

„მუშკორ“ რაჯაბლის საქმის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის დადგენილება)

რაჯაბლიმ „მუშკორობა“ დაიწყო დაახლოებით 1924—25 წ. თავისი ფსიქოლოგიით, თავისი სოციალური მდგომარეობით, თავისი და მის გარშემო მყოფი წრით—ის წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის სრულიად უცხო ელემენტს. ის არის მდიდარი ვაჭრის, ნოხებით მოვაჭრის, შვილი. 1924 წლამდე ის ვაჭრობდა და ეწეოდა სპეკულიაციას ვალიუტით და კავშირი არ გაუწყვეტია წვრილ სპეკულიანტებთან. ამასთანავე ის განაგრძობდა ცხოვრებას საკუთარ სახლში მამასთან და ძმასთან, რომლებიც, როგორც ვაჭრები, მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. მიუხედავათ ამისა, 1925 წლის დასაწყისში ის არაერთხელ შეეცადა შემძვრალიყო პარტიაში, თავისი პირადი კეთილდღეობის მიზნით. მაგრამ ეს ცდები ყოველთვის უშედეგოთ მთავრდებოდა, ვინაიდან ადგილობრივი მუშები, რომლებიც იცნობდნენ მას, როგორც სპეკულიანტს, ილაშქრებდნენ მისი მიღების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი მარცხით უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებული რაჯაბლი მაინც არ დაიბნა. მან გადასწყვიტა შემძვრალიყო პარტიაში სხვა მოხერხებული გზებით, რისთვისაც აირჩია „მუშკორის“ წოდება; თავისი ტენდენციური წერილებით და გოდებით „დევნის“ შესახებ მან შექმნა თავის გარშემო ისეთი ატმოსფერა, თითქოს ის იყო საზოგადოებრივი მუშაკი—მუშკორი, რომელსაც სდევნიდნენ გაბედული „კრიტიკისა“ და „გამომჟღავნებისათვის“. „თბილი“ ადგილის ძიებაში რაჯაბლიმ მოკლე დროში არაერთხელ გამოიცვალა სამუშაო, ხოლო თვითეულ დაწესებულებიდან წასვლის დროს ქმნიდა თავის გარშემო დევნის ატმოსფერას და მოითხოვდა სხვადასხვა ორგანოების (სამაზრო კომიტეტი, რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტი, „ბაკინსკი რაბოჩი“) საშუალებით, რომ მას მისცემოდა შესაფერი (რა თქმა უნდა, უკეთესი) სამუშაო. უკანასკნელად რაჯაბლიმ თავისი სურვილით დასტოვა მეანგარეს მუდმივი ადგილი სადგურ განჯაში და, მიუხედავათ გაფრთხილებისა პროფესიონალურ ორგანოების მხრივ, გადავიდა დროებით სამუშაოზე დეპოში, ვინაიდან დაეხარბა დიდ ხელფასს. სამუშაო ვადის გასვლის შემდეგ ის დაითხოვეს სხვა დროებით მომუშავეებთან ერთად. ძველი ჩვეულების მიხედვით, რაჯაბლიმ ისევ გადასწყვიტა გამოეყვანა თავი „მუშკორული გამომჟღავნებელური მუშაობის“ მსხვერპლად. ამ მიზნით მან დაიწყო განცხადებების დაუსრულებელი შეტანა საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებში. ამ განცხადებებში ის სთხოვდა აღნიშნულ ორგანოებს გამოსარჩლებოდნენ მას, დაესაჯათ მისი „მდევნელები“ და აღედგინად იგი სამუშაოზე. ამგვარად მან ყველა შეცდომაში შეჰყავდა, და ყველას არწმუნებდა თავის მოთხოვნილებათა სამართლიანობაში.

ბუნებით მოხერხებული, რაჯაბელი ფართოდ იყენებდა „მუშკორულ“ საქმიანობაში თურქ მუშების ჩამორჩენილი ნაწილის ავადმყოფურ ნაციონალისტურ ტენდენციებს, თავის წერილებში სახელს უტეხდა მისთვის არასასურველ ცალკე მუშაკებს, უმთავრესად არათურქებს, რითაც ერთის მხრივ იძენდა იაფფასიან ავტორიტეტსა და პოპულიარობას, ხოლო მეორეს მხრივ სისტემატიურად შეჰყავდა შეცდომაში პრესის ორგანოები.

აღნიშნა რა, რომ „მუშკორი“ რაჯაბლი, რომელიც შთამომავლობითაც და ფსიქოლოგიითაც წარმოადგენს სრულიად უცხო ელემენტს, თავისი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად შეძვრა მუშკორთა წრეში ტენდენციური წერილებითა და მოგონილი დევნით ჰქმნიდა ისეთ საზოგადოებრივ აზრს, თითქოს მას სდევნიან, როგორც აქტიურ მუშკორს და ამით ხელს უწყობდა ავადმყოფურ განწყობილებისა და ურთიერთობის გაღვივებას სად. განჯის მუშებისა და მოსამსახურეების ცალკე კატეგორიებს შორის და სისტემატიურად შეჰყავდა შეცდომაში პრესის ორგანოები, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სწორად ჩაითვალოს რაჯაბლის დათხოვნა დროებითი სამუშაოდან სად. განჯის დეპოში და აღინიშნოს, რომ ეს დათხოვნა დაკავშირებული არ იყო მის, როგორც მუშკორის, დევნასთან.

2. მოეხსნას ამხ. აბასოვს, პუნემოვს და პოპოვს ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ისინი სდევნიდნენ მუშკორ რაჯაბლის, და ისინი გამართლებულად ჩაითვალონ.

3. ეცნობოს პრესის ორგანოებს, რომ რაჯაბლი, როგორც სოციალურად უცხო ელემენტი, რომელიც პირადი სარგებლობისათვის იყენებდა მუშკორის სახელს, არ შეიძლება დატოვებულ იქნას მუშკორთა წრეში.

შახტის კონტრ.-რევოლ. გასამართლება

13 ივნისის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ნეკრასოვის დაკითხვა

13 ივნისის საღამოს სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებული ინჟინერი **ივანე ნეკრასოვი**, რომელიც მუშაობდა ბრესტოვსკობოგოდუხოვის მაღაროში. 1918 წლის აპრილში იმ მაღაროში მოვიდა ინჟინერი **შადლუნი**. მაშინ აქ ყველაზე უფრო დიდი იყო მაღარო № 14, რომელიც შემდეგში წყლით ამოავსეს. 1920 წლის იანვარში მაღარო წითლებმა დაიკავეს. წითლების მიერ მაღაროს მოსამსახურეებს, მათ შორის ნეკრასოვსაც. დაკავების წინ შადლუნმა მაღაროში ჩამოიტანა ფული, რომელიც დაურიგდა ზოგიერთ ბრალდებულ **შადლუნის** დაკითხვით, სასამართლო სცდილობს გამოარკვიოს, თუ რისთვის დაურიგდა მაღაროს ყოფილ მეპატრონე რემის სახელით ფული მოსამსახურეებს,—მათ შორის ნეკრასოვსაც. ამხ. **რობინსკის** შეკითხვებით, რომლებიც მისცა მან შადლუნს, ირკვევა, რომ უკანასკნელმა 1922 წ. მიიღო წერილი რემისგან. ბრალდებული აცხადებს, რომ მას არ ახსოვს წერილის შინაარსი. მაგრამ იმ ჩვენების გამოქვეყნებით, რომელიც მოუცია ბრალდებულ შადლუნს წინასწარი გამოძიების დროს, ირკვევა, რომ 1922 წელში მაღარო № 14-დან წყლის ამოქაჩვის შეფერხების შესახებ მიღებულ დავალებებისათვის ნეკრასოვს უნდა მიეღო შადლუნისაგან 1.000 მანეთი ოქროთი, მაგრამ შადლუნმა მისცა ნეკრასოვს მხოლოდ 600 მანეთი, დანარჩენი კი თითონ დაიტოვა.

ბრალდებული შადლუნი არ უარჰყოფს არც წერილის მიღებას რემისგან, არც ფულის მიღებას, მაგრამ ამბობს, რომ ამას ადგილი ჰქონდა არა 1922 წელში, არამედ 1924 წელში.

ნეკრასოვი აღიარებს მხოლოდ იმას, რომ 1922 წელში მას შადლუნის საშუალებით კავშირი ჰქონდა მაღაროების ერთ ერთ მეპატრონე რემისთან. იმ ხანებში ის ფულსაც ღებულობდა რემისგან.

ამით დამთავრდა 13 ივნისის საღამოს სხდომა. (ადს).

14 ივნისის დილის სხდომა

ინჟ. დეტერის დაკითხვა

მოსკოვი, 15 ივნისი. 14 ივნისის დილის სხდომამ მოუნდა ბრალდებულ ინჟინერ დეტერის დაკითხვას. დეტერი არის დამაზიანებელთა მუშაობის ორგანიზატორი ბრიანცევის და სელეზნევის მაღაროების სამმართველოში, დვორჟანჩიკის ერთ-ერთი ენერგიული „კორესპონდენტი“.

დეტერი დამნაშავედ სცნობს თავს მისთვის წაყენებულ ბრალდებებში.

1924 წლის ბოლოს დეტერი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა მაკეევის რაიონს; მან პოლონეთიდან მიიღო წერილი დვორჟანჩიკისაგან. თუ ვინ მოუტანა წერილი, ეს დეტერს აღარ ახსოვს. წერილში დვორჟანჩიკი იტყობინებოდა, რომ ყოფილი მრეწველების ჯგუფს, რომელიც უცხოეთში იმყოფება, აინტერესებს „დონბასის“ მაღაროების მდგომარეობა და რომ „მოსალოდნელია ცვლილებები ქვანახშირის მრეწველობაში“. მრეწველებს სურდათ ჰქონოდათ დაწვრილებითი ცნობები მაღაროების შესახებ და სთხოვდნენ დეტერს ზომების მიღებას, რომ ამ მაღაროების წილი დაცული ყოფილიყო. ამასთანავე წერილში აღნიშნული იყო ის საშუალებები, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს დირექტივები.

1925 წლის დასაწყისში დეტერი შეხვდა მატოვს. მატოვმა უკვე იცოდა, რომ დეტერს მიღებული ჰქონდა წერილი დვორჟანჩიკიდან, და თითონაც მიიღო მისგან წერილი. მათ შორის გაიმართა საუბარი: ლაპარაკობდნენ ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთად-ერთი გამოსავალი მდგომარეობიდან იყო კონცესიის გზა. ეს საუბარი დეტერს მიაჩნია კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის რიგებში მისი შესვლის ძირითად მომენტად. მატოვმა დაუსახელა დეტერს მთელი რიგი პირები, რომლებსაც აგრეთვე მიღებული ჰქონდათ ინსტრუქციები დვორჟანჩიკისაგან და თანხმობა განაცხადეს შეესრულებიათ ეს ინსტრუქციები.

1925 წლის დასაწყისში „დონუგოლში“ შესდგა დამზიანებელთა ჯგუფის წევრთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა დვორჟანჩიკის ინსტრუქციები ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და ლაპარაკი იყო მაღაროების კონცესიის წესით გაცემის შესაძლებლობაზე. ფორმალურად ამ თათბირს უნდა განეხილა ქვანახშირის ამოღების შემცირების საკითხი (ქვანახშირის დიდი მარაგის დაგროვების გამო), ფაქტიურად კი ეს იყო დამზიანებელთა ორგანიზაციის კრება.

შემდეგ დეტერი ამბობს, რომ მან უპასუხა დვორჟანჩიკს პირველსავე წერილზე და მისწერა, რომ თანხმაა „დაიცვას“ წილი და მიაწოდოს საჭირო ცნობები. ეს წერილი მან გადაუგზავნა დვორჟანჩიკს თავის ცოლისძმის —ინჟ. მიანოვსკის საშუალებით, რომელიც პოლონეთში ცხოვრობს. ამ წერილში ის უკვე აძლევდა დვორჟანჩიკს ზოგიერთ ცნობებს, ნაწილობრივ სელეზნევის და ბრიანცევის რაიონების შესახებ. ეს იყო სტატისტიკური ხასიათის ცნობები მაღაროების მდგომარეობის შესახებ. მან უპასუხა დვორჟანჩიკს მეორე წერილზედაც.

ამავე ხნის განმავლობაში ის საჭირო ცნობებს უშუალოდ აძლევდა მატოვს. 1927 წ. დეტერს წინადადება მიეცა გადასულიყო ბერლინში „დონუგოლის“ იმ კომისიის წევრად, რომელიც არსებობდა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობასთან. გზაში დეტერმა შეიარა ვარშავაში, სადაც შეხვდა თავის ცოლისძმა მიანოვსკის. ეს შეხვედრა და საუბარი, როგორც აცხადებს ბრალდებული, ატარებდა სრულიად შემთხვევით ხასიათს.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ დეტერი დაინიშნა „დონუგოლის“ საწარმოო სამმართველოს გამგის თანაშემწედ და ამ მუშაობის დროს ის დააპატიმრეს.

შემდეგ, ბრალდების წარმომადგენლების შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს, დეტერი აღიარებს, რომ მიიღო დვორჟანჩიკისაგან 750 დოლარი და უშუალოდ მატოვისაგან 1.000 მანეთი. ამთავრებს რა ბრალდებულის დაკითხვას, ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ დეტერი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დამზიანებელთა ორგანიზაციაში 1920 წლიდან 1927 წლამდე.

ამით დამთავრდა დილის სხდომა. (ადს).

14 ივნისის საღამოს სხდომა

14 ივნისის საღამოს სხდომა

ბრატანოვსკის დაკითხვა

14 ივნისის საღამოს სხდომაზე სასამართლო გადავიდა სამოსამართლო გამოძიების მეორე პერიოდზე, რომელიც დაკავშირებულია ხარკოვის ცენტრთან.

სასამართლომ დაჰკითხა ბრატანოვსკი, რომელიც დამნაშავედ სცნობს თავს. კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში ბრატანოვსკი შევიდა 1923 წელში. საქმე დაიწყო იმით, რომ სუშჩევსკიმ სთხოვა ბრალდებულს გადაეცა მისთვის ზოგიერთი ცნობები. სუშჩევსკიმ ლაპარაკში სთქვა, რომ არის შესაძლებლობა დახმარება მიეღოთ ძველი მეპატრონეებისაგან. რამოდენიმე ხნის შემდეგ სუშჩევსკიმ ბრატანოვსკის 200 მან. გადასცა ყოფილ მეპატრონეთაგან.

ბრატანოვსკიმ ჯერ კიდევ 1923 წელში მაღაროს ყოფილ მეპატრონე ბუროოსისათვის ინჟენერ შიშკინს გადასცა ზოგიერთი ცნობები მაღაროების შესახებ. შიშკინმა ბუროოსის სახელით ბრატანოვსკის გადასცა 100 დოლარი. 1922 წლის შუა რიცხვებში შიშკინმა ბრატანოვსკის ბუროოსისაგან კიდევ გადასცა ასი დოლარი.

ბრატანოვსკი ჩამოსთვლის თავის საზიანო მუშაობის ფაქტებს: ალმასის მადანის დამუშავების შეჩერების ცდა, მაკეევის გამოუსადეგ მაღაროს დამუშავების გაფართოების ცდა, გამოუსადეგი ახალი პატარა მაღაროების გათხრა იასინის უბანში, რემონტის შეფერხება მაღაროში და სხვა.

1925 წლის დასაწყისში ბრატანოვსკიმ დამზიანებელთა ორგანიზაციისაგან მიიღო სიტყვიერი ინსტრუქცია, რომ ინტერვენციის შემთხვევაში სავსებით შეეჩერებია მუშაობა მაღაროში.

დამზიანებელთა ორგანიზაციის ფული, ბრატანოვსკის ჩვენებით, საზღვარ-გარეთიდან პირველად მოდიოდა მხოლოდ პარიზიდან დვორჟანჩიკის საშუალებით. დვორჟანჩიკი იყო შუამავალი. როცა პარიზის ცენტრში თანხები გამოილია, მან კავშირი დაიჭირა ფრანგ მრეწველებთან და ბუროოსთან და რემისთან.

დამზიანებელთა ორგანიზაცია თავისი მიზნებისათვის იყენებდა აგრეთვე გერმანულ ფირმებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ შეკვეთების მიღებაში საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობისაგან. ბრატანოვსკი ასახელებს ფირმებს, რომელთაგანაც პროცენტების სახით იღებდნენ ფულს. ის ფირმები იყო ელექტრონის საყოველთაო კომპანია, ეიგოფი და კნაპი.

დამზიანებელთა ხარკოვის ორგანიზაციის კავშირი მოსკოვის ცენტრთან გაიბა 1926 წლ. დასაწყისში. ხარკოვის ცენტრი მოსკოვის ორგანიზაციით სარგებლობდა ცნობების გასაგზავნად საზღვარ-გარედ. იყო შემთხვევები, როცა ფული საზღვარ-გარეთიდან მიღებულ იქნა მოსკოვის ცენტრის საშუალებით. ბრატანოვსკი ამბობს, რომ კრებებზე ჩვეულებრივ ის ხედავდა ხოლმე მხოლოდ სამ პირს—რაბინოვიჩს, სკორუტოვს და იმენიტოვს, ეს იყო ერთი კავშირი. მეორე კავშირი იყო ურთიერთობა დამზიანებელთა ასეთივე უჯრედებთან „იუგოსტალში“ და „ქიმუგოლში“.

ბრატანოვსკის დაკითხვა გაგრძელდება 15 ივნისის დილის სხდომაზე. (ადს).

საბჭოთა კავშირში

კატიპის ვოლოსტში

სმოლენსკი, 15 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) საგუბერნიო კომიტეტის და საგუბერნიო აღმასკომის კომისიამ ჩაატარა კატიპის გამოკვლევა. გამოირკვა, რომ სოფელში სისტემატიურად ამრუდებდნენ საბჭოთა ხაზს. გადასახადის უმნიშვნელო ნარჩენებისათვის ღარიბ გლეხებს ართმევდნენ ქონის უკანასკნელ ნაჭრებს, მაშინ როდესაც ვაჭრებს, რომელთაგან თვითეულს გადასახდელი ჰქონდა რამოდენიმე ასეული მანეთი, არაფერს არ ახდევინებდნენ. საბჭოთა და კოოპერატიული აპარატი სავსეა კულაკებით, ხუცებით, ნეპმანებით და სხვ. ვოლოსტის აღმასკომში ღრმად გაიდგა ფესვი ბიუროკრატიზმმა და საქმის გაჭიანურებამ. კომისიამ გადასწყვიტა დაითხოვოს ვოლოსტის აღმასკომი. ვოლოსტის აღმასკომის თავმჯდომარე ტუმარევი მოხსნილია მუშაობიდან. აგრეთვე გადაწყვეტილია ორი კვირის ვადაში ჩატარდეს ვოლოსტის საბჭოთა აპარატის გაწმენდა. (ადს).

გრიგალი ნიჟნი-ნოვგოროდში

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 ივნისი. 13 ივნისს ქალაქზე გადაიარა გრიგალმა. გრიგალმა სამ ნაწილად გასწყვიტა ხიდი მდინარე ოკაზე, რომელიც აერთებს ნიჟნი-ნოვგოროდს კანავინთან. გაწყვეტილია სატელეგრაფო კავშირი ვოლგის გაღმა მხარესთან. ქალაქის დაბლობ ნაწილში შესწყდა ტრამვაის მოძრაობა. ნიაღვრის გამო წყლით დაიფარა ბევრი სახლები. (ადს).

მიწისძვრა კამჩატკაზე

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 15 ივნისი. 14 ივნისს პეტროპავლოვსკში ადგილი ჰქონდა მიწისძვრის ბიძგებს, რომლების ძალა აღემატებოდა ორ ბალს. (ადს).

მაღარო „ამერიკანკა“

ხარკოვი, 15 ივნისი. „დონბასში“ სნეჟიანსკის მაღაროების სამმართველოს ტერიტორიაზე დაწყებულია ახალ სანიმუშო მაღარო „ამერიკანკა“-ს დამუშავება. მუშაობა თითქმის ამერიკული სიჩქარით სწარმოებს. მაღარო „ამერიკანკა“-სთან შენდება აგრეთვე მუშათა უბანი, რომელშიაც იქნება 76 სახლი. (ადს).

უმზგავსოებანი კოშინოს საბჭოთა მეურნეობაში

სმოლენსკი, 15 ივნისი. მუშების მიერ მიღებულ ღონისძიებების წყალობით აღმოჩენილია მთელი რიგი უმზგავსოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კოშინოს საბჭოთა მეურნეობაში და ხუტორ პატიომკინში—სმოლენსკის მაზრაში. დაუდევრობის გამო საბჭოთა მეურნეობას სათესი სივრცის 25 პროცენტი დაუთესავი დარჩა. ხუტორ პოტიომკინში დალპა 20.000 ფუთი კარტოფილი. მუშებს ხელფასი ეძლეოდა „უფროსების შეხედულების“ მიხედვით. ყველაფერი ეს იცოდა ადგილობრივი უჯრედის ბიურომ. მაგრამ არავითარი ზომები არ ღებულობდა. საბჭოთა მეურნეობის გამგე სილენკო და ხუტორის გამგე იაკმოსი მოხსნილი არიან თანამდებობიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში. (ადს).

დაღესტანის რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოხსნა თანამდებობიდან

მახაჩ-კალა, 15 ივნისი. დაღესტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ახუნდოვი, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული ხელისუფლების უმოქმედობისათვის მეღვინეობის კომბინატის საქმესთან დაკავშირებით, მოხსნილია თანამდებობიდან. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 15 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭოს მეოთხე პლენუმის 14 ივნისის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. **გინზბურგისა** და **შმიდტის** მოხსენების გარშემო. თითქმის ყველა ორატორი შეეხო შრომის ბირჟების მდგომარეობას.

ამხ. **მელნიჩანსკიმ** აღნიშნა, რომ დიდ ცენტრებში—ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში და სხ. შრომის ბირჟებზე გამეფებულია პროტექციონიზმი. პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ზომები შრომის ბირჟების ატმოსფერის გასაჯანსაღებლად.

ამხ. გინზბურგისა და შმიდტის საბოლოო სიტყვების შემდეგ პლენუმმა გამოჰყო კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად.

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილის ამხ. **ხინჩუკის** მოხსენება სამრეწველო ცენტრისათვის საქონლისა და სურსათ-სანოვაგის მიწოდების პერსპექტივების შესახებ (ადს).

დეფექტები ექსპორტის დარგში

უკრაინის მარილის ტრასტის გამგეობის მიცემა პასუხისგებაში

ხარკოვი, 15 ივნისი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ესტონეთში აცნობა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, რომ უკრაინის მარილის ტრესტის მიერ ესტონეთისათვის მარილის მიწოდების საქმეში ადგილი იჩენს არანორმალურ მოვლენებს. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დავალებით უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა უკრაინის მარილის ტრესტის მუშაობის გამოკვლევა. გამოირკვა, რომ ტრესტი არ ასრულებს ესტონეთისა და ბალტიის სახელმწიფოების დაკვეთებს მარილის მიწოდებაზე. ხშირად მარილი იგზავნება უსუფთაო ვაგონებით და დიდძალი ნარევით. იყო შემთხვევები, რომ ესტონეთის ფირმები უარს ამბობდნენ მიეღოთ ტრესტისაგან გაგზავნილი მარილი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა ყველა მასალები გადასცეს რესპუბლიკის პროკურატურას უკრაინის მარილის ტრესტის გამგეობის პასუხისგებაში მისაცემად. (ადს).

სატელეფონო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 14 ივნისი. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარმა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა გრძელ-ვადიანი სესხის სახით გაცემულ იქნეს 27 მილიონი მან. სატელეფონო მშენებლობისათვის ხარკოვში, თბილისში, ლენინგრადში, ბაქოში და ოდესში.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა შუამდგომლობა, მიზანშეწონილად სცნო ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის წინადადება სატელეფონო მშენებლობის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ფოსტა ტელეგრ. სახ. კომისარიატს, წარადგინოს მშენებლობის საორიენტაციო გეგმა.

პარტიული ცხოვრება

ანტირელიგიური მუშაობის გამოცოცხლებისათვის

უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ რელიგიური საზოგადოებები უკანასკნელ ხანებში სცდილობენ გააძლიერონ პროპაგანდა და რელიგიის განსამტკიცებლად და მის გასავრცელებლად მასებში.

კომუჯრედები და პარტიული მასა დღემდე არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებს, ისინი ამ მუშაობას სთვლიან რაღაც მეორეხარისხოვან, მცირემნიშვნელობის მქონე საქმედ.

წვრილბურჟუაზიული ზედაფენების ამ რეაქციონურ ტენდენციას უნდა დაუპირდაპირდეს ძლიერი, სისტემატიური ანტი-რელიგიური პროპაგანდა, რისთვისაც საჭიროა „უღმერთოთა“ კავშირმა გააფართოვოს თავისი მუშაობა. თბილისის ორგანიზაციამ ამ დარგში ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა რამ გააკეთა.

კომუჯრედებმა უნდა უკუაგდონ ამ საკითხისადმი უყურადღებო და ხშირად ფორმალური მოპყრობა და უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ანტირელიგიურ მუშაობას.

შობისა და აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ ჩატარებული კამპანიის შედეგებმა მოგვცა იმპულსი „უღმერთოთა“ კავშირის უჯრედის მოწყობისათვის საჭირო ბაზის შესაქმნელად.

„უღმერთოთა“ კავშირის ორგანიზაციების მოწყობა უკვე თავდება. ამჟამად ჩვენ გვაქვს ამ კავშირის 38 უჯრედი და 2 წრე; ამასთანავე არსებული ცნობების მიხედვით, მხოლოდ მე-3 და მე-4 რაიონში ამ უჯრედებში ირიცხება 550 წევრი.

ამას წინედ თბილისის კომიტეტის აგიტპროპ განყოფილებასთან შესდგა თათბირი, რომელმაც დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ანტირელიგიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად და კომპარტიის რაიკომებს მისცა დირექტივები.

20 ივნისს ყველა რაიონებში ჩატარდება, „უღმერთოთა“ კავშირის წევრთა სარაიონო კრებები პარტიული და კომკავშირთა უჯრედების აგიტპროპორგანიზატორების თანდასწრებით. ამ კრებებზე არჩეულ იქნება „უღმერთოთა“ კავშირის სარაიონო საბჭოები.

ივნისის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნება კავშირის საერთო-საქალაქო კონფერენცია.

კომუჯრედების მორიგი ამოცანა აგიტპროპ-მუშაობის დარგში უნდა იყოს „უღმერთოთა“ კავშირის უჯრედების მუშაობის სისტემატიურად გაფართოება და განმტკიცება, რისთვისაც საჭიროა ამ უჯრედების გაძლიერება საუკეთესო მუშაკებით, პარტიული ხელმძღვანელობის მოგვარება და მუშების, პარტიის წევრების, კომკავშირელების და ინტელიგენციის ნებაყოფლობითი ჩაბმა ამ მუშაობაში.

დღემდე არსებული დეფექტები უნდა აღმოიფხვრას. ანტი-რელიგიური მუშაობის განმტკიცების და განვითარების საშუალებით, „უღმერთოთა“ კავშირი უნდა გადავაქციოთ ისეთ მასიურ ორგანიზაციად, რომელიც პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას დაეხმარება რელიგიური ცრუმორწმუნეობის, ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი პროლეტარული კულტურის განვითარების საქმეში.

ბ. ი—ლევი.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა გორის მაზრაში

(წერილი გორიდან)

მიმდინარე წლამდე „მიწა-ტყის“ კავშირს არ ყავდა აღრიცხული მოჯამაგირეები და არც ქონდა შესწავლილი მათი მდგომარეობა. ეს მუშაობა რამდენიმე თვის წინად ჩაატარა გორის სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა.

მოჯამაგირეების აღრიცხვამ მოგვცა შემდეგი სურათი: მთელ მაზრაში იმყოფება 800 მოჯამაგირე. ამ რიცხვში არ შედის სოფლების მიერ დაქირავებული პირები (მეველეები, მენახირეები). მოჯამაგირეების 40 პროცენტი მოკლებულია ყოველგვარ ქონებას, დანარჩენთ კი აქვთ მცირეოდენი კერძო საკუთრება. წერა-კითხვა იცის 35,4 პროც., კავშირის წევრია—7,3 პროც., კომკავშირში ირიცხება 7,3 პროც., საბჭოში და სხვადასხვა თავისუფალ ორგანიზაციებში ჩაბმულია 5.4 პროც.

საინტერესოა დამქირავებელთა ქონებრივი მდგომარეობა. აღწერიდან გამოირკვა, რომ დამქირავებლებში ღარიბები შეადგენენ 2,9 პროც., საშუალო გლეხები—67,3 პროც., კულაკები—29,8 პროც.

გამოირკვა აგრეთვე, რომ სოფლად განვითარებულია ეგრედწოდებული „არალეგალური“ მოჯამაგირეობა. დამქირავებელი მოჯამაგირეს აცხადებს თავის ნათესავად და მალავს მისი დაქირავების ფაქტს.

მოჯამაგირეთა შრომის პირობების გამოკვლევამ დაგვანახა, რომ უკანასკნელთა შრომის დაცვა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე. მოჯამაგირეები განიცდიან აშკარა ექსპლოატაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდია მცირე-წლოვანი მოჯამაგირეების მდგომარეობა.

მოჯამაგირის საშუალო წლიური ხელფასი არ აღემატება 40—53 მანეთს, მისთვის არ არსებობს ნორმალური სამუშაო დღე და არც დასასვენებელი დღეები.

პროფესიონალური კავშირი (მიწა-ტყე) ვერ აწარმოებდა მოჯამაგირეთა მუშაობას, ასევე თითქმის პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებიც. მათ ვერ შესძლეს მოჯამაგირეთა ჩაბმა კავშირში, რის გამოც მოჯამაგირეები მოწყვეტილი იყვნენ ყოველგვარ საზოგადოებრივი საქმიანობიდან.

პროფკავშირები მეტ ყურადღებას აქცევენ აგრონომებს, ტყის მცველებს და სხვა მუშაკებს ვიდრე მოჯამაგირეთა შორის მუშაობას. მართალია ადგილებზე მოწყობილია მოჯამაგირეთა კომიტეტი, მაგრამ ისინი ვერ იცავენ მოჯამაგირეების ეკონომიურ ინტერესებს. ამის შედეგია ის, რომ მოჯამაგირეებს ხშირად აკლიათ სასმელ საჭმელიც, რის გამოც უკანასკნელნი ხშირად იძულებული არიან მიმართონ სურსათ სანოვაგის ქურდობას, ეს კი იწვევს ხშირ კონფლიქტებს დამქირავებლებთან.

მოჯამაგირეთა მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები გაარჩია გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა. მუშაობის გაძლიერების მიზნით პლენუმმა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭიროდ აღიარა მიწა-ტყის კავშირის მუშაკთა შემადგენლობის განახლება, რაც ამჟამად სისრულეშია მოყვანილი.

ამ ზომის შემდეგ კავშირის მუშაობა გამოცოცხლდა, დაიწყო კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადება, მეტი ყურადღება ექცევა მოჯამაგირეთა დაზღვევას, შრომის დაცვის მოწესრიგებას, კულტ-მუშაობის გაძლიერებას და სხვ.

ქ. მ.

მუშაობა მოისუსტებს

(სახ. ბანკის უჯრედი, თბილისი)

როგორც გამოკვლევის მასალიდან სჩანს, სახელმწიფო ბანკის კომუჯრედის მუშაობის გეგმა მტკიცდებოდა მაშინ, როდესაც საგეგმო პერიოდის რამოდენიმე თვე უკვე გასული იყო. იანვრის და თებერვლის გეგმა კი სრულებით არ ყოფილა შედგენილი.

გეგმით გათვალისწინებული საკითხები არ სრულდებოდა დანიშნულ დროზე, მაგალითად: პარტდატვირთვის განაწილება უჯრედის წევრთა შორის უნდა ჩატარებულიყო 1927 წლ. ოქტომბრამდე, ფაქტიურად ეს განაწილება მოხდა მხოლოდ 6 თვის შემდეგ, ე. ი. 1928 წ. მარტში. საერთოდ გეგმა სრულდებოდა მხოლოდ 30—35 პროცენტით. ამა თუ იმ საკითხების ირგვლივ პრაქტიკულ წინადადებათა გამოსამუშავებლად ირჩევდნენ განსაკუთრებულ კომისიებს, რომლებიც ჩვეულებრივად არასოდეს არ იკრიბებოდნენ.

მაღლა მდგომ პარტორგანოების დირექტივები წინასწარ დაუმუშავებლად გადაჰქონდათ უჯრედის საერთო კრებებზე. იყო შემთხვევა, როდესაც კრებამ დაავალა ბიუროს უკანვე წაეღო დღის წესრიგში დასმული საკითხი, დაემუშავებია და შემდეგ გამოეტანა უჯრედზე.

ბანკის უჯრედი 7 დამოუკიდებელ ორგანიზაციას აერთიანებს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის პარტორგანიზატორების საქმიანობას. მიუხედავად ამისა, ბიუროს თავი არ შეუწუხებია პარტორგებზე ზრუნვით და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოუყვია ასეთები.

ბიურო სუსტად მუშაობს სამეურნეო დარგშიც. მთელი საგეგმო პერიოდის განმავლობაში უჯრედს არ მოუსმენია არამც თუ სახ. ბანკის, ან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის, არამედ განყოფილებების გამგეთა მოხსენებაც კი.

ნებაყოფლობით საზოგადოებანი თითქოს არც კი არსებობენ ბანკის უჯრედისათვის. ბიუროს ან უჯრედის ვერც ერთ ოქმში ვერ იპოვით რაიმე კვალს ამ საზოგადოებათა შესახებ.

საერთოდ უჯრედის მუშაობა ძალზე სუსტია. ვნახოთ რას იზამს ახლად არჩეული ბიურო.

ნ. ფ—ძე.

ბიუროს გადარჩევა

(ქუთ. რკ. გზ. სადგურის უჯრედი)

ამ დღეებში შესდგა ქუთაისის სადგურთან არსებული პარტუჯრედის კრება, რომელმაც მოისმინა უჯრედის მდივნისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა საანგარიშო მოხსენებები.

ანგარიშების ირგვლივ გაიმართა მეტად საქმიანი და ცოცხალი კამათი.

რა გამოირკვა კამათში?

— იშვიათად ეწყობოდა უჯრედის ღია კრებები, როცა ეწყობოდა მაშინაც არ იმზადებოდა მათზედ მუშებისათვის საინტერესო საკითხები;

— პარტიული დატვირთვა უთანაბროდ არის განაწილებული, ზოგი მრავალ მოვალეობას ასრულებს, ზოგი კი სულ უსაქმოდ დასეირნობს;

— პიონერ ორგანიზაცია და კომკავშირი მოკლებულია უჯრედის ხელმძღვანელობას, პარტ მიმაგრებულები არ ესწრებიან ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრებებს;

— ადგილკომის ფრაქცია სუსტად მუშაობდა;

— ბიუროკრატიზმს ღრმად აქვს ფესვი გადგმული განსაკუთრებით მოძრაობის 1 უბანში;

— 20 პროცენტიანი შემცირება ადმინისტრაციამ ისე „მოხერხებულად“ ჩაატარა, რომ ხარჯები შემცირების ნაცვლად საგრძნობლად გადიდდა;

— უჯრედმა ხშირად უნდა მოისმინოს დაბალი ადმინისტრატიული პერსონალის მოხსენებებიც, რადგან ეს პერსონალი უფრო ახლოს სდგას წარმოებასთან;

— ხშირად ყოფილა აღნიშნული, რომ გელათისა და რიონის სადგურების უფროსები დაუდევრად ეპყრობიან თავის მოვალეობას, ეს იცის ყველამ, ამის შესახებ იყო დადგენილებაც, მაგრამ ადმინისტრაცია, ყურსაც არ იბერტყავს, შენიშვნასაც არ აძლევს თავგასულ უფროსებს;

— ადმინისტრაცია სიბეცეს იჩენს თანამშრომლების დათხოვნა გადაყვანაშიაც, მიმდინარე წელს იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მოხსნილმა თანამშრომელმა გაასაჩივრა უკანონოდ დათხოვნა და წაიღო რკ. გზ. სალაროდან რამდენიმე ასეული მანეთი.

ორატორები მოითხოვდნენ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

მოხსენების შემდეგ უჯრედი გაიყო ორ უჯრედად და თვითეულმა მათგანმა აირჩია თავისი ბიურო.

ეკალ-ვარდი.

პარტგანათლება ახალქალაქის მაზრაში

1926—27 წელს მთელ მაზრაში არსებობდა მხოლოდ ერთი მოძრავი პოლიტსკოლა, რომელმაც წლის განმავლობაში გამოუშვა 27 მსმენელი.

1927—28 სასწავლო წელში კი მუშაობდა ხუთი მოძრავი და 10 სტაციონალური პოლიტსკოლა. ორივე ტიპის სკოლებში გაიარა სულ 381 მსმენელმა. ამათში პარტიის წევრი იყო—98, კომკავშირელი—120 უპარტიო—153.

მსმენელთა ნაციონალური შემადგენლობა შემდეგია: სომეხი—263, თურქი—20, ქართველი—76, რუსი—22.

შ. მეგენეიშვილი.

კომკავშირში

„მიღებულ იქნეს ცნობად“

დიდი ხანია, რაც კომკავშირმა თავისი მუშაობის ერთ-ერთი მთავარ ამოცანად დასახა წარმოებისა და დაწესებულების ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება. მიუხედავად ამისა ჩვენი უჯრედების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა იმაში, თუ როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა და რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს მონაწილეობა.

მაგალითისთვის ავიღოთ ფაქტი. თბილისის მილიციის ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებულ კრებაზე ისმება სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ანგარიში. მომხსენებელი ვრცლად აშუქებს თავისი დაწესებულების მუშაობას, ეხება მიღწევებს, მაგრამ უფრო დაწვრილებით კი ჩერდება ნაკლოვანებებზე.

შემოდის შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა.

ბოლოს თავმჯდომარე მოუწოდებს ამხანაგებს გამოსთქვან თავისი აზრი საკითხის ირგვლივ. დარბაზი მდუმარებს.

პრაქტიკული მითითებების გამომუშავების ნაცვლად პარტ-მიმაგრებულს შემოაქვს წინადადება, რომ მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად. თავისი წინადადების დასასაბუთებლად მას მოჰყავს ასეთი მოსაზრება: „კომკავშირის უჯრედს უფლება არა აქვს მითითება მისცეს ადმინისტრაციას“-ო. რასაკვირველია, პარტ-მიმაგრებულის აზრი გადამწყვეტ როლს თამაშობს და კრება ღებულობს შემოსულ წინადადებას.

ამ მაგალითიდან აშკარაა, რომ უჯრედმა არ იცის, როგორი გზით შეიტანოს თავისი წვლილი აპარატის რაციონალიზაციის საქმეში.

კომკავშირის მუშაობის გაჯანსაღების ინტერესი მოითხოვს საბოლოოდ აღმოიფხვრას ხსენებული ნაკლი. უჯრედმა საჭიროა შეიგნოს, რომ მოხსენების მოსმენას პრაქტიკული წინადადებების მიუღებლად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ადმინისტრაციის საქმიანობის ზედამხედველობისათვის კი აუცილებელია შემდეგი წინასწარი მუშაობის ჩატარება: ბიურო უჯრედის წევრებს ყოფს რამდენიმე ჯგუფად, თვითეულ მათგანს ავალებს შეისწავლოს დაწესებულების ესა თუ ის ნაკლი და შეიმუშაოს პრაქტიკული მითითება მის გამოსასწორებლად.

ჯგუფების წარმომადგენლები თავიანთ მითითებებს გამოსთქვამენ კამათში, რის შემდეგაც უჯრედის კრებას აღარ უძნელდება საქმიანი რეზოლიუციის მიღება დაწესებულების მოხსენების გამო.

რაც შეეხება პარტ-მიმაგრებულის წინადადებას მოხსენების ცნობად მიღების შესახებ, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პარტ-უჯრედები ხშირად სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ პარტმიმაგრებულთა შერჩევის საქმეს. პარტმიმაგრებული უნდა იცნობდეს კომკავშირის მუშაობის ყველა საკითხებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, დახმარების მაგიერად ხელს შეუშლის კომკავშირელთა თვითმოქმედებას და უარყოფით გავლენას მოახდენს ა. ლ. კ. კ. უჯრედების საქმიანობაზე.

დ—კ.

საფარმაცევტო კურსებთან არსებული უჯრედი

12 ივნისს შესდგა, საფარმაცევტო კურსებთან არსებული ა. ლ. უჯრედის კრება, რომელმაც მოისმინა უჯრედის ბ. მეგრელ მდივნის მოხსენება უჯრედის მუშაობის შესახებ.

შეკითხვებმა და კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებმა გამოამჟღავნეს ნაკლი და მიღწევები.

კრებამ უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და ფარმაცევტული კურსების დამთავრების გამო უჯრედი გაუქმებულად გამოაცხადა.

ჟ. ჭალაგანიძე.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მორიგი ამოცანები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უკანასკნელ პლენუმს, რომელიც მოწვეული იყო მიმდინარე წლის მაისის ბოლო რიცხვებში, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საზოგადოების შემდგომი მუშაობისათვის. პლენუმის მთელი მუშაობა მიმართული იყო საზოგადოების შემდგომი მუშაობისათვის. პლენუკითხების მოგვარებისაკენ, რომელნიც თან სდევენ მათ საქმიანობას და რომელნიც ხელს უშლიან საზოგადოებას გაშალოს და გააფართოოს თავისი მუშაობა.

პლენუმმა განიხილა ყველა ეს საკითხები, გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუციები და მისცა ადგილებს კონკრეტული მითითებები მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

პლენუმმა მთავარი ყურადღება მიაქცია საზოგადოების აქტივის შექმნის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას არ ჰყავს დარაზმული თავის ირგვლივ ძლიერი აქტივი, რომელიც შესძლებს მუშაობის გაძლიერებას და წარმოებას. ეს გარემოება დიდათ აფერხებს მუშაობის წინსვლელობას. პლენუმმა საჭიროდ ხცნო, რომ მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს საზოგადოების რიგებში კომკავშირის და მშრომელი ახალგაზრდობის ჩაბმისა და მათგან აქტივის შექმნისაკენ.

საზოგადოების მუშაობის ერთ-ერთი ნაკლი მდგომარეობდა მასში, რომ საზოგადოების პრეზიდიუმს, რომელიც არის მთელი მუშაობის ხელმძღვანელი, არ ჰქონდა დამყარებული მტკიცე, ცოცხალი კავშირი ადგილებთან, ეს გარემოება, ცხადია, აჩნევდა თავის კვალს მუშაობას. ადგილობრივი ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში, მოკლებული იყვნენ ხელმძღვანელობას, არ ღებულობდნენ დროულად ხელმძღვანელო მასალებს, დირექტივებს, რითაც ფერხდებოდა მუშაობა. პლენუმმა ამ გარემოებას მიაქცია სათანადო ყურადღება და წინადადება მისცა პრეზიდიუმს დაამყაროს მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მთელ საქმიანობაში მთავარი ადგილი უკავიათ სექციებს. სექციები, ამუშავებენ რა დეტალურად გასამხედროების და თავდაცვის საკითხებს, დიდ სამსახურს უწევენ მშრომელებს თავდაცვისათვის მზადების დარგში. სექციების მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს, უმთავრესად მაზრებში.

პლენუმმა საჭიროდ ხცნო, რომ სექციების მუშაობა დაყენებული იქნეს სათანადო სიმაღლეზე. არსებულ სექციების ირგვლივ დარაზმული უნდა იქნენ ორგანიზაციების საუკეთესო ძალები. საჭიროდ იქნა ცნობილი აგრეთვე სექციების დაარსება იმ ადგილებში, სადაც ჯერ-ჯერობით ასეთები არ არსებობენ და სადაც ამისათვის მოიძებნება საჭირო აქტივი.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე საზოგადოების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, როგორც ერთ-ერთ პირობას მუშაობის ნაყოფიერად მსვლელობისათვის. საჭიროდ იქნა ცნობილი იურიდიული წევრობის ცხოვრებაში გატარება და საწევრო ანარიცხების აკრეფის მოგვარება, პრეზიდიუმს დაევალა, რათა მიღებულ იქნეს ზომები საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციების ფინანსიური მხარის მოსაგვარებლად, რადგან მატერიალური უსახსრობა დიდათ აფერხებს მუშაობას.

პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში მთლიანად და მტკიცედ გატარება უზრუნველყოფს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წარმატებით მუშაობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის უნარიანობის გასამტკიცებლად. ეს კი მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც საზოგადოების ყოველი ორგანიზაცია, ყოველი ცალკე წევრი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მუშაობაში და თავისი საქმიანობით შეუწყობს ხელს ხსენებულ ამოცანების განხორციელებას.

ვ. ს—ძე.

არმიის მოტორიზაცია

ინგლისის ჯარების უკანასკნელ წლების მანევრებში დიდ ყურადღებას იპყრობს ის ცვლილებები, რომლებიც შეაქვს ახალი ტაქტიკის ფორმებში შინაგანი წვის ძრავს.

ინგლისის ტექნიკის მიერ შექმნილია მთელი რიგი ახალი მანქანებისა, რომლებიც ბევრ ახალ შესაძლებლობას აძლევენ ჯარის სარდლობას. გამომუშავებულია პატარა ჯავშნიანი ავტომობილის ტიპი, ეგრედ წოდებული „ტანკეტა", რომელიც შეიარაღებულია ერთი ტყვია-მფრქვევით და რომელიც საათში კარგ გზაზე აკეთებს 60 კილომეტრამდე. „ტანკეტები", აღებულნი დიდ რაოდენობით, წარმოადგენენ ძიების საუკეთესო და ძლიერ საშუალებას. მათი მეოხებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის აღმოჩენა, მისი ფრონტის და ფრთების გამორკვევა და მიმართულების აღება თავდასხმისათვის.

„ტანკეტებს" ძიების დროს ეხმარებიან ჯავშანავტომობილები, რომლებსაც შეუძლიანთ მოძრაობა ფრიად ცუდ გზებზე. ეს ჯავშანავტომობილები შეიარაღებულნი არიან რამოდენიმე ტყვიამფრქვევებით და წარმოადგენ მაძიებელთა დასაყრდენ ძალას.

ინგლისის არმიაში უპირატესობა ეძლევა სწრაფმავალ ტანკებს, როგორც მთავარ და მკვრელ ძალას. ეს ტანკები ცუდ გზებზე გადიან საათში 20 კილომ., მინდვრათ კი საათში აკეთებენ 40 კილომეტრს. ასეთ ტანკებზე სდგას რამოდენიმე ტყვიამფრქვევი და 47 მილიმეტრიანი ზარბაზანი.

ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტები წინადადებას იძლევიან სრულიად მოაშორონ ასეთ შეერთებებს ქვეითი ჯარი და დასტოვონ მათთან მხოლოდ ტყვიამფრქვევი ათეულები ყველგან მოძრავ საბარგო ავტომობილებზე.

ბოლოს, არტილერიაც მოწყობილია ავტომობილებზე და შეუძლიან ისეთი სისწრაფით მოძრაობა, როგორც ტანკებს.

ამჟამად ინგლისში სწარმოებს გაცხოველებული მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეჯავშნისა და მოტორიზაციის საკითხების ირგვლივ. ინგლისის მანევრებმა დიდი მასალა მისცა როგორც მოტორიზაციის მომხრეებს, ისე მის მოწინააღმდეგეებსაც.

მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ მოტორიზაციაქმნილი არმია მოძრაობს მეტად ნელა; ამ არმიის სიჩქარე არ აღემატება საათში 4 კილომეტრს. ეს დებულება შეიცავს სიმართლეს. მხოლოდ, მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ ამავე პირობებში (ღამით, მოძრაობის დროს) ქვეითი ჯარი აკეთებს მხოლოდ 1 ან 2 კილომეტრს.

მოტორიზაციის მომხრენი მიუთითებდნენ მანევრების უკანასკნელი დღის შედეგებზე, როდესაც მოტორიზაციაზე გადასულმა ბრიგადამ გაიარა საათში 190 კილომეტრი. მას ეძებდნენ ერთ ადგილას, ჩრდილოეთით, ხოლო იგა უკვე იერიშზე იყო გადასული სამხრეთით. ამ ბრიგადამ თავისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ მოტორიზაციაზე გადასულ არმიას აქვს დიდი უპირატესობა ჩვეულებრივ, ფეხით მოძრავ არმიასთან.

ამ მოსაზრებით, არმიის მოტორიზაციის მომხრეები, ფულერი, კრაფტი და ლიდელ-გარტი—ფიქრობენ, რომ უახლოესი 10—15 წლის განმავლობაში ჩვეულებრივი არმიები ადგილს დაუთმობენ მოტორიზაციაზე გადასულ არმიებს, რომელთა მანევრული შესაძლებლობა გადიდებულ იქნება ხუთჯერ და რომელსაც ექნებათ დიდი შეტევითი ძალა.

ფულერის აზრით 60 ათასიანი ასეთი არმია შესძლებს გაუმკლავდეს ძველი ტიპის მილიონიან არმიას.

ჩვენთვის ადვილი გასაგებია ის, თუ კაპიტალისტური სახელმწიფოები რათ სცდილობენ შექმნან მოტორიზაციაზე გადასული არმია. მოტორიზაცია მათთვის ხელსაყრელია იმ მხრივ, რომ მათ ეშინიათ საყოველთაო სამხედრო ბეგარისა და სცდილობენ შექმნან პატარა, ფაშისტური და თავისი ერთგული არმიები.

საბჭოთა კავშირში არის ისეთი ადგილები, სადაც ასეთ არმიებს გაუჭირდებათ მოქმედება. მაგრამ ჩვენი რაიონების ერთი ნახევარი მაინც ხელსაყრელია ასეთი ნაწილების მოქმედებისათვის. ამიტომ, ჩვენ გვმართებს სერიოზული დაფიქრება იმაზე, თუ რის დაპირდაპირებას შევსძლებთ ასეთი არმიების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი შეუდგა საავტომობილო მრეწველობის შექმნას. მოკლე ხანში ჩვენ გვექნება მრავალი ავტომობილი, რომლებსაც გამოვიყენებთ არმიის მოტორიზაციისათვის.

ის კარგი წამოწყება, რომელიც იკისრა საზოგადოთ „ავტოგზა"-მ („ავტოდორი"), საავტომობილო მრეწველობის შესაქმნელად, მეტად სასარგებლოა და მას ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი.

ძლიერი საავტომობილო ქარხნების მეოხებით, ჩვენ შევიძლიან ვუპასუხოთ ჩვენ მტრებს მათზე არა ნაკლები ხარისხის იარაღით.

ა. ვ.

ცვალებადელნი ყაზარმაში

(№ დივიზიის საკავშირო ასეული)

1905 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება ასეულში დაიწყო მაისის შუა რიცხვებიდან.

ცვალებადელნი შეკრებაზე გამოცხადდნენ უკლებლივ და დროულად, რის გამოც შესაძლებელი გახდა მეცადინეობის ნორმალურად დაწყება და წარმოება.

ასეულის ცვალებადელთა მეტ ნაწილს შეადგენენ მუშა - ახალგაზრდები, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ყველანი იჩენენ დიდ აქტივობას და ინტერესს სამხედრო საქმისადმი.

დილაობით ასეულში სწარმოებს პოლიტმეცადინეობა. ცვალებადელნი ეცნობიან წითელი არმიის ისტორიას, მის სტრუქტურას და აღმშენებლობას. თუ ყაზარმაში მოსვლამდე ცვალებადელნი კარგად ვერ ერკვეოდნენ წითელი არმიის აღმშენებლობის საკითხებში, ეხლა ყველა მათგანმა ზედმიწევნით იცის, რას წარმოადგენს მუშურ - გლეხური წითელი არმია, როგორი ეწყობა იგი და რა მიზნებს ისახავს ის.

ცვალებადელნი გაეცნენ აგრეთვე პარტორგანიზაციების მუშაობას არმიაში, წითელ არმიელთა და მათ ოჯახების შეღავათებს და სხვა. ამჟამად ცვალებადელნი შეუდგნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალების გაცნობას, რომ კარგათ იცოდნენ თუ ვისთან მოუხდებათ ბრძოლა საჭირო დროს.

პოლიტმეცადინეობის დამთავრების შემდეგ ცვალებადელნი იწყებენ საკავშირო საქმის შესწავლას. სპეციალურად მოწყობილ კლასებში და კაბინეტებში თავმოყრილია აუარებელი მასალა და ხელსაწყოები საკავშირო საქმის შესასწავლად.

აქ არის სხვადასხვა სისტემის ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო და სხვა ხელსაწყოები, რომლებიც საჭირონი არიან კავშირისათვის ბრძოლის დროს.

ჯერ - ჯერობით ცვალებადელნი ეცნობიან ტელეგრაფს და ტელეფონს. სწავლობენ აგრეთვე მორზეს ანბანს. ეცნობიან საერთო და სპეციალურ წესდებებსაც, რომ უფრო კარგათ გაერკვენ საკავშირო სამსახურში.

დრო გამოშვებით ცვალებადელნი გადიან ველად პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის. ერთ ამ ვარჯიშობის დროს მათ მიერ გაყვანილი იყო სატელეფონო ხაზი. მალე ცვალებადელნი შეუდგებიან უფრო რთული სამუშაოს შესრულებას ველად.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება შესძენს ცვალებადელებს დიდ ცოდნას და გამოცდილებას, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ როგორც ბრძოლის, ისე მშვიდობიან აღმშენებლობის დროს.

ელ.

სამხედრო ქრონიკა

სამხედრო - საზღვაო წვევამდე მზადება

დაიწყო 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო - საზღვაო წვევამდე მზადება.

მზადების განმავლობაში წვევამდელნი გაეცნობიან საზღვაო სამსახურს და სამხედრო გემების მთავარ სახეებს.

ცვალებადელთა სამსახურის შესახებ

სამხ.-საზღვ. საქმეთა სახ. კომისარიატი განმარტავს, რომ ცვალებადი წითელ არმიელები არ იქნებიან განთავისუფლებულნი სამოსწავლო შეკრებიდან არავითარ შემთხვევაში და არც გაუგრძელდებათ გაწვევის ვადა.

სამხედრო სკოლების შევსება

საბჭოთა კავშირში დაიწყო კანდიდატების გადარჩევა სამხედრო სკოლებში გასაგზავნათ.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გადამრჩევ კომისიებში შემოდის მრავალი განცხადება სკოლებში მიღების შესახებ.

საბანაკო სწავლება

წითელი ჯარის საბანაკო სწავლება მიმდინარეობს გაცხოველებით.

ნაწილები უკვე შეუდგნენ საზაფხულო პროგრამის გავლას სამხედრო და პოლიტიკურ დარგში.

მუშათა ცხოვრება

მუშკორები კულტურულ ფრონტზე

კულტურული რევოლიუციის ერთი მთავარი ამოცანა, ეს არის ის, რომ მუშათა ფართო მასა ჩაბას კულტურულ საქმიანობაში, გამოსტაცოს ბურჟუაზიულ ინტელიგენციას აქტივობა კულტურულ ფრონტზე და თვითონ შექმნას ინიციატორი კულტურული შემოქმედებისა. არ კმარა მარტო საკლუბო მუშაობის გაძლიერება და ამ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი მუშების ჩაბმა.

საჭიროა მუშების ისეთ საქმიანობაში ჩაბმა, როგორიც არის: მხატვრული შემოქმედების განხილვა, ლიტერატურული დისპუტები, გასამართლებები და სხვა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ მხრივ დღემდე ძალიან ცოტა რამ გაკეთებულა. აქ სრულებით არაფერი. მართალია პროლეტარული ძალები ღებულობენ მონაწილეობას, როგორც დისპუტებში, ისე სხვადასხვა მხატვრულ შემოქმედების განხილვაში, მაგრამ კულტურული ფრონტის დასაპყრობად არ კმარა მარტო ეს. საჭიროა რაც შეიძლება დაზგის მეტი მუშები ჩავაბათ ამ საქმეში და გავაქტიურებით მათი მონაწილეობა კულტურულ რევოლიუციისათვის ბრძოლაში. ამას კი შევისძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი კულტურული დაწესებულებები: თეატრები, სახკინმრეწვი და სხვა, გამოვლენ კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და თავიანთ მუშაობას გადაიტანენ მუშათა ფართო მასაში. ე. ი. როდესაც ისინი ამა თუ იმ ნაწარმოებს განიხილავენ და გაარჩევენ მუშათა აქტივთან ერთად. ამით ისინი გარდა იმისა, რომ აღმოფხვრავენ იმ ნაკლს, რომელიც ახასიათებს მათ საქმიანობას, ხელს შეუწყობენ მუშათა მასის გონივრის ცნობიერებას.

საქ. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ ამ მხრივ უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯი. უკანასკნელის წინადადებით, ოთხშაბათს, 13 ივნისს, სახკინმრეწვის შენობაში, გაზ. „კომუნისტი"-სა და „მუშა"-ს მუშკორებმა ერთად მოისმინეს ილია ერენბურგის „კომუნარის ჩიბუხი"-ს კინო-სცენარის წაკითხვა და მისი განხილვა. მუშკორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სცენარის განხილვაში და ზოგიერთი შესწორებაც შეიტანეს მასში. თუ სახკინმრეწვის გამგეობა განაგრძობს ამ გზით სვლას და ყველა კინო-სცენარებს, დადგმამდე განიხილავს მუშათა აქტივთან ერთად, დარწმუნებული ვართ აიცდენს თავიდან იმ ნაკლსა და აუარებელ ზარალს, რომელსაც აქვს ადგილი სახკინმრეწვის საქმიანობაში.

ჩვენ ვესალმებით პოლიტგანის ასეთ ნაბიჯს და ვუსურვებთ სხვა კულტურულ დაწესებულებასაც მიმართონ სახკინმრეწვის მაგალითს. ეს საუკეთესო საშუალება კულტურული ფრონტის დასაპყრობად.

მუშკორი.

სახარატო სამქრო

(მთავარი სახელოსნოები)

რკინისგზის მთავარი სახელოსნოების სამქანიკო სამქროში მზადდება მანქანა-იარაღები მექანიზაციის მხრივ აღნიშნულმა სამქრომ ყველა სამქროებს გაასწრო. დადგმული იქნა შვიდი ახალი უნივერსალური მანქანა, ძველი სახარატო დაზგებიდან კი ოთხი ცალი გაგზავნილ იქნა ხაზზე. წინად აქ ძალიან ცუდად იხარისხებოდა იარაღები. დღეს ასეთ შემთხვევებს ადგილი არა აქვს.

ამჟამად სამქროს განაგებს ამხ. თოფურიძე, რომლის დანიშვნის შემდეგ მუშები უფრო ინტენსიურად მუშაობენ. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნით სამქროში ახალი ცხოვრება დაიწყო; სამქროსთან არსებული საწარმოო კომისია რეგულიარულად იკრიბება და ბევრი ახალი გამოგონება და გაუმჯობესება გაატარა ცხოვრებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოო კომისიას მუშები ხალისიანად ეპყრობიან; ყველა ხელოსანი ცდილობს შეიტანოს გაუმჯობესება თავის მუშაობაში და აწიოს შრომის ნაყოფიერება.

საწარმოო კომისიამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ხარჯების შემცირებას და საზღვარგარეთიდან მიღებულ მანქანებისა და დაზგების რაციონალურად გამოყენებას და სხ. ასწევს შრომის ნაყოფიერებას და წარმოების თვითღირებულებაც საგრძნობლად შემცირდება.

ი. ქანთარია.

შეამოკლეთ შტატი

„ტელასი" აერთიანებს: სამასალო-კომერციულ, დაბალი ძაბვის, მაღალი ძაბვის, საკონტროლო ტექნიკური და საკონტროლო განყოფილებას. ყველა ამ განყოფილებებში მუშაობს 540 მუშა-მოსამსახურე. ამათში მუშები შეადგენენ მხოლოდ 45 პროც. დანარჩენი კანცელარიის მოხელეები არიან. საერთოდ კანცელარიის ასეთი გაბერილი შტატი,—როგორიც არის „ტელასში" არც ერთ წარმოებაში არ იქნება. ტექნიკურ-საკონტროლო განყოფილებაში მსახურობს 33 ტექნიკი, ერთი განყოფილების გამგე და ერთი მისი მოადგილე. გარდა ამისა, აქვე არსებობს ცნობის მაგიდა, სადაც მუშაობს კანცელარიის 8 მოხელე. მიუხედავათ ასეთი გაბერილი შტატისა ცნობის მიღებას მაინც ვერავინ შესძლებს. ელექტრო-შუქის გაყვანის მსურველის განცხადებამ და ხელშეკრულებამ უნდა გაიაროს დაახლოებით 29 ინსტანცია.

საჭიროა ზოგიერთი განყოფილებების შეერთება საერთოდ რაციონალიზაციის გატარება, მაგრამ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხს. საკონტროლო ტექნიკურ განყოფილების და საანგარიშო განყოფილების ერთად შეერთება შეიძლება და უკეთესიც იქნება. ასევე შეიძლება შეერთდეს სამასალო და კომერციული განყოფილებები. რაც დიდ ნაყოფს მოუტანს წარმოებას, მაგრამ ადმინისტრაცია ამაზე თავსაც არ იწუხებს.

სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

კალთ.

—:—

დადგენილება არ ტარდება

რკინის გზის მთავარი სამმართველოს ეკონომ თათბირები მაგალითი უნდა იყოს რკინის გზის სხვა დაწესებულებებისათვის. თათბირებზე დასმული და გადაწყვეტილი საკითხები ცხოვრებაში უმტკივნეულოდ უნდა ტარდებოდეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ადმინისტრაცია ამას ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მართალია თათბირის რომელიმე სხდომაზე გადაწყვეტილი საკითხის შესახებ, ყოველ მეორე სხდომაზე ადმინისტრაცია აცნობს, რომ ესა და ეს საკითხი გატარებულია ცხოვრებაში. მაგრამ ეს ცნობა ზერელეა, ადმინისტრაცია არ აცნობებს იმას, თუ რა ეკონომია მოუტანა ეკონომთათბირის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებამ.

სამმართველოს სტატისტიკური განყოფილების ეკონომ კომისიამ, მრავალი კონკრეტული წინადადებები მისცა ადმინისტრაციას საქმის წარმოების გასამარტივებლად და [illegible] მოსასპობად, რომელსაც ჰქონდა ადგილი აღნიშნულ დარგში. ადმინისტრაციამ ზოგი მათგანი გაატარა ცხოვრებაში, მაგრამ ზოგი კიდევ გაუტარებელი საკითხები, რომლებიც არა ნაკლებ ეკონომიას მისცემს რკინის გზას. მაგალითად სტატისტიკის ტექნიკურ ნაწილში, სადაც გროვდება და მუშავდება ხაზიდან მოსული სტატისტიკური საბუთები, ეკონომ თათბირის დადგენილებით უნდა მოწყობილიყო უჯრედებიანი შკაფი, სადაც ალფაბეტურად იქნებოდა ყველა საბუთი, ახლად დამუშავებული საგზაო ბარათები, ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დიდ ეკონომიას მოგვცემდა, მაგრამ ადმინისტრაციას ჯერ ჯერობით არ მოსვლია მისი ცხოვრებაში გატარება—ამ შკაფის მოწყობა კი სულ 10—15 მანეთის საქმეა.

ხილვა.

—:—

საწარმოო თათბირი

(ხაშური)

ხაშურის საყუდის საწარმოო თათბირმა მოისმინა საყუდის უფროსის მოხსენება, განვლილ საწარმოო თათბირის მიერ მიცემულ საკითხების შესრულების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საწარმოო თათბირის დადგენილებების ნაწილი საყუდის ადმინისტრაციას გაუტარებია ცხოვრებაში, ნაწილი კი ჯერ-ჯერობით არ არის შესრულებული. თათბირმა დაავალა საყუდის უფროსს დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა დადგენილებები.

თათბირმა საყველური გამოუცხადა იმის გამო, რომ დადგენილება ნავთსაქაჩის სხვა ადგილზე გადატანის და მასალის მომარაგების შესახებ, ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული. მუშები მოითხოვენ საწარმოო მასალას, მაგრამ მიუხედავად საყუდის უფროსის მრავალი მოთხოვნილებებისა, მასალა მაინც არ მოდის თავის დროზე, რაც ხელს უშლის საწარმოო პროგრამის შესრულებას და თვით საწარმოო თათბირის მუშაობასაც.

თათბირმა აღნიშნული საკითხების გარდა, გაარჩია და დაამტკიცა საწარმოო კომისიის მიერ წამოყენებული 11 საკითხი. თათბირი უკვე შეუდგა წარმოებაში მუშების ახალ გამოგონებების შესწავლას. ამისათვის გამოყოფილია საექსპერტო კომისია, რომელიც ამჟამად ეცნობა მუშა გოგიტაშვილის ახალ გამოგონებას.

საჭიროა რკ. გზის სამმართველომ ხელი შეუწყოს საწ. თათბირის მიერ წამოყენებულ საკითხების ცხოვრებაში გატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოო თათბირის მუშაობა ნაყოფიერი არ იქნება.

გ. ნ.

—:—

პასუხისგებაში მიეცით

ლენინის უბანში, სოფ. გურმანელების ადგილზე ცხოვრობს ფეხზე მოვაჭრე ვინმე მარტიროსოვი, რომელიც ცნობილია, როგორც კარგი აფერისტი და გლეხების მყვლეფავი. ამ ვაჟბატონმა, აღნიშნულ ადგილზე თავის ნებით დაიკავა ორი ნაკვეთი სამოსახლო მიწა და მოაწყო საქონლის ბაკი,— სადაც აყენებს გამყიდველ-გამომყიდველ მსხვილფეხა საქონელს და ართმევს ტყავს გლეხებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბაკი ქალაქის აღმასკომს აღრიცხვაზე აყვანილი არა ყავს. გარდა ამისა მოქ. მარტიროსოვი ექიმის შეუმოწმებლად ჰკლავს საქონელს და ყიდის, როგორც გამყიდველ-გამომყიდველზე, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

აღმასკომის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ მოქ. მარტიროსოვს ჩამოართვა მიწა და გადასცა რკინის გზის ერთ მუშას, მაგრამ უკვე ორი თვეა და მარტიროსოვი არც კი ფიქრობს მიწის განთავისუფლებას.

უკანასკნელად აფერისტმა მარტიროსოვმა, დაიწყო მუშტრის ძებნა მიწის ნაკვეთის გასასყიდად. ამ მიზნით მან ერთ ღამეს გადაიტანა ხის პატარა ფარდული ჩამორთმეულ ნაკვეთ მიწაში და ასე მოატყუა სოფლიდან ჩამოსული გლეხი, რომელსაც მიყიდა მიწის ერთი ნაკვეთი. უკანასკნელად მოქ. მარტიროსოვმა გაყიდა მიწის მეორე ნაკვეთიც. მოირიგებულია 650 მანეთად. რომელთაგანაც 420 მან. უკვე მიღებული აქვს. კომისიამ შეიტყო მარტიროსოვის ეს გეგმები და გაყიდული მიწაში აღებული ფულის ნაწილი დაბრუნებულ იქნა უკან, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მოქ. მარტიროსოვი პასუხისგებაში მიეცეს.

მონადირე.

დავეხმარეთ საშეფო სოფელს

(ქ. ხაშური)

დიდი ხანი არ არის, რაც ხაშურის საყუდის მემანქანეთა სამქროს საშეფო უჯრედმა აიღო შეფად სოფ. ზემო-ქალის სასწავლებელი. სასწავლებლის მდგომარეობა, მის შეფობის ქვეშ აღებამდე უნუგეშო იყო. სასწავლებელს არც შენობა და არც სასწავლებლის ინვენტარი, არ ჰქონდა შესაფერი.

საშ. ხაშურის საყუდის მემანქანეთა საშეფო საზოგადოება, ჯერ-ჯერობით სასწავლებელს 700 მანეთის ინვენტარის შეძენით დაეხმარა. შეფს გამოძებნილი აგრეთვე გორის მაზრაღმასკომი, ხაშურის პარტკომი და აღმასკომი, რომლებიც მომავალ სასწავლო წლამდე სასწავლებელს აუშენებენ ახალ შენობას, რომლისთვისაც გადადებულია 30.000 მანეთი მაზრაღმასკომის და ქ. ხაშურის აღმასკომის ბიუჯეტიდან.

შეფის დახმარებით სასწავლებელს უკვე აქვს ფიზიკულტურის კაბინეტი, სამკითხველო და მალე მოეწყობა რადიო-მიმღები აპარატი.

ბ. გ.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

შვილად აყვანა

ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია დადგენილება, რომლის ძალით უფლება ეძლევა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფ ყველა უცხოელ მოქალაქეს აიყვანოს შვილათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქის შვილები, მხოლოდ ადგილობრივ მთავრობის ნებართვით.

საგზაო ბეგარის გაფართოება

დღემდე არსებული ინსტრუქცია საგზაო ბეგარის შესახებ, გამოცემული საქ. ცაკის მიერ, ანთავისუფლებდა სავალდებულო საგზაო ბეგარისაგან ყველა იმ პირს, რომელიც მუდმივ მსახურობდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებაში და საწარმოში, მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა მას სოფლის მეურნეობასთან რაიმე კავშირი. დღეიდან კი ხსენებულ ინსტრუქციაში ცაკის პრეზიდიუმის მიერ შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის ძალით ვალდებულია ყველა მუშა-მოსამსახურე, რა დაწესებულება-საწარმოშიც არ უნდა მსახურობდეს ის, თუ კი მას აქვს კავშირი სასოფლო მეურნეობასთან, მოიხადოს სავალდებულო საგზაო ბეგარა საერთო წესის მიხედვით.

განთვისების ზოლის დაწესება გზატკეცილებზე

იმ მიზნით, რათა რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზატკეცილები სათანადოთ იქნეს დაცული, ცაკის პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ცაკის წინაშე, რათა ნება მიეცეს საქ. ცაკს რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზა-ტკეცილებზე დააწესოს განთვისების ზოლი 15 მეტრიდან 30 მეტრამდე.

მონადირეთა კავშირის შუამდგომლობა

მონადირეთა კავშირის შუამდგომლობა მონადირეთა კავშირის წევრებზე სახელმწიფო სამონადირო გადასახადის 50 პროც. ზედნართის გაუქმების შესახებ, ცაკის პრეზიდიუმის მიერ უარყოფილ იქნა. ადგილებს ნება მიეცათ ხსენებული ზედნართები გადარიცხონ ადგილობრივ ბიუჯეტში.

კურსების დაარსება

საბჭოების წევრ ქალთა კვალიფიკაციის ასაწევად ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, პირველ ივლისიდან გახსნილი იქნება გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც მოწვეული იქნება ადგილებიდან 45 მსმენელი. ამ რიცხვიდან 80 პროცენტი დაეთმობა სათემო და სოფლის საბჭოებს, 20 პროცენტი კი ქალაქის საბჭოებს. გამოყოფილია საორგანიზაციო და ტექნიკური კომისია ამხ. ჩირქეზიშვილის, ვ კვირიკაშვილის და განათლების კომისარიატის წარმომადგენლის შემადგენლობით.

ამხ. მათიკაშვილი მივლინებაში

სახკომსაბჭოს და ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ცაკის მდივნის ამხ. შ. მათიკაშვილის სიღნაღ-თელავის მაზრების გამაერთიანებელ კომისიის თავმჯდომარეთ დანიშვნის გამო, ცაკის მდივნის მოვალეობის ასრულება დროებით, ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა ცაკის პრეზიდიუმის წევრ ამხ. ი. ვარძიელს.

შრომის გმირები

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, შრომის გმირების სახელწოდება მიენიჭება შემდეგ პირებს: მუშა ილია ჭინჭარაულს, რომელსაც 38 წლის მუშაობის სტაჟი აქვს. თავის წარმოების დარგში შემოიღო მთელი რიგი გაუმჯობესებანი, მაგალითად, ტრამვაის ვაგონის განმაცალკევებელი მოაჯირი, რომელიც იცავს ვაგონს ხიფათისაგან, აგრეთვე მან შეადგინა პროექტი ორთაჭალის წყალდიდობისაგან დასაცავად, რომელიც მოწონებულ იქნა. მანვე გამოიგონა ხრახნილების გამაღრმავებელი და გამაფართოვებელი ბურღი, რომელიც ადიდებს შრომის ნაყოფიერებას 100 პროც.

მალატი პეტროსიანი, პროფესიით მუშა, აქვს 42 წლის შრომის სტაჟი, აქედან 32 წელი გაატარა ქალაქის წყალსადენში მექანიკოსად. იქ მუშაობის დროს მან შემოიღო მთელი რიგი გაუმჯობესებანი.

სერგო მამალაძე, მასწავლებელი, 40 წლის შრომის სტაჟით.

როგორ უნდა სწარმოებდეს მდინარეთა ნაპირების გამაგრება

თოვლი წელს საგრძნობლად დიდი და უეცარი იყო. თბილ ამინდების დადგომასთან ერთად მოსალოდნელი იყო მდინარეების ჩვეულებრივზე მეტად ადიდება. იმ ზარალის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უთუოდ მოჰყვებოდა წყალდიდობას, ჩატარებულ იქნა დიდი სამუშაოები. მაგრამ ეს მუშაობა მეტად ნაჩქარევად სწარმოებდა.

ტექნიკოს-ინჟინერის თვალსაზრისით კოლად დაუშვებელია მომავალში ამგვარ ნაჩქარები წესით და უგეგმოთ სწარმოებდეს წყალდიდობის წინააღმდეგ მიმართული სამუშაოები, რომელიც თხოულობს დიდ დაკვირვებას, შესწავლას და გამოკვლევას.

თვითეული მდინარის ბუნება განსხვავდება მეორე მდინარის ბუნებისაგან. თუ რომელიმე მდინარეს ახლავს მაგარი ნაპირები,—მეორეზე ნაპირების ნიადაგი რბილია; თუ ერთის აუზში ვერტიკალური დაფენება სჭარბობს, რაც კოკისპირულ წვიმაში იწვევს ერთბაშათ მდინარის ადიდებას—მეორე აუზს მცირე დაფენება აქვს; თუ ერთის აუზის მიწის ზედაპირი მეტ წყალს იღონავს, მეორე არ იღონებს და სხ. და სხ. როდესაც ზემო ნახსენები განსხვავებები შესწავლილია და მდინარე სავსებით დახასიათებულია, მხოლოდ მაშინ შეიძლება მდინარესთან გეგმიანი ბრძოლის წარმოება. ამით მე ახალს, რასაკვირველია, არაფერს ვამბობ, საერთოდ მშენებლობაში ეს ასე ხდება, მაგრამ მდინარების შესწავლის საკითხი და მათთან რაციონალური ბრძოლა ჩვენში ეხლაც უყურადღებოთ არის მიტოვებული.

მთელ საქართველოში ორი თვის განმავლობაში შესრულდა დიდი სამუშაოები: გაკეთებულია დაახლოვებით 40.000 კუბ. მეტ. ქვაწნულის ჯებირი; დახარჯულია 50.000 კუბ. მეტ. წნელი და 1.000 კუბ. მ. სარი.

თითო ჰექტარ ტყეზე იჩეხება 80 კუბ. მეტ. წნელი და ამდენივე სარი, მაშასადამე, სულ გაჩეხილია 7.000 ჰექტარი ტყე. ჩვენ ვიცით თუ რა კავშირი აქვს ტყეების განადგურებას წყალდიდობასთან, ამაზე ბევრი დაწერილა და ბევრი თქმულა, ყოველ შემთხვევაში აქაც უნდა ავღნიშნოთ, რომ მდინარეების ადიდების გამომწვევ მიზეზებში მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ტყეების განადგურებით ჩვენ თვით უკაფავთ გზას წყალს და მით მომავალში უფრო მეტ საფრთხის წინ ვაყენებთ მცხოვრებლებს.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი წელს დიდია, მხოლოდ ჩატარებულ მუშაობას აქვს დროებითი ხასიათი (თვით მასალა, რომლისგანაც აგებულია ჯებირები მალე ლპება და იშლება). წელს გადავრჩით. მომავალ წლებში, თუ ასე დაუკვირვებლად ვიარეთ, კიდევ გაიჩეხება ტყეები, კიდევ უფრო მეტად შევუწყობთ ხელს წყალდიდობის ზრდას მაშასადამე, მდინარეების შესწავლასთან ერთად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჯებირების იმგვარ მასალებიდან გაკეთებაზე, რომელიც ათეული წლებით გასძლებენ. რასაკვირველია, საუკეთესო მასალებათ ითვლება ბეტონი, კლდის ქვა და ტიხოზი, მაგრამ მათი სიძვირის გამო, ამგვარ მასალით უნდა ვისარგებლოთ იქ, სადაც წლის დენა სწრაფია, რაც შეეხება ვიწრო ხეობიდან გამოსულ მდინარეებს, აქ დიდ სამსახურს გაგვიწევს „პალეტიის გაბიონები" (გალვანიზებული სინა უჯრედებიდან შემდგარი და შემდეგ რიყის ქვით ამოვსებული. გაბიონები 50—60 პროცენტით იაფი დაჯდება, ვიდრე ქვის და ტიხოზის ჯებირები. გარდა ამისა, გაბიონებით მუშაობა ძლიერ სწრაფად სწარმოებს.

თუ მელიორაციის ფართო მასშტაბით მოქმედება წინ და უვარგის მიწებს ვაუმჯობესებთ, უფლება არა გვაქვს ამავე დროს ნოყიერი და დიდ მოსავლიანი მიწები სტიქის ანაბარა დავტოვოთ და მით მიწის ისედაც მცირე ფონდი, კიდევ უფრო შევამციროთ.

საქართველოს წყალთა მეურნეობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ინჟ. ა. ჯაფარიძე.

საბჭოთა საქართველო

გავაცხოველოთ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

კულტურული მუშაობის ცენტრს სოფლად წარმოადგენს კლუბი. მაგრამ ყველა თემებში ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკლუბო შენობები და ასეთ თემში კულტმუშაობის ცენტრად უნდა გახდეს სამკითხველო. დღევანდელ სამკითხველოს როლი მარტო იმით კი არ ამოიწურება, რომ იქ იკითხებოდეს მხოლოდ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ისეთ თემებსა და სოფლებში, სადაც კლუბები არა გვაქვს, სამკითხველო უნდა ასრულებდეს კლუბის მაგიერობასაც. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სამკითხველოში შესაძლებელია წარმოდგენებისა და საღამოების გამართვა, მაგრამ სამკითხველოს ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს თემის კულტურული ძალები, დაარსდეს სხვადასხვა წრეები, უნდა მოეწყოს სამკითხველოში გაზეთების ხმა მაღლა კითხვა, დროგამოშვებით გაიმართოს საუბრები გლეხობისათვის საჭირბოროტო საკითხებზე და სხვ.

ამ მუშაობის ხელმძღვანელი და ინიციატორი უნდა იყოს პოლიტგანის საბჭო, ხოლო მისი ცხოვრებაში გამტარებელი სამკითხველოს გამგე.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამკითხველოების უმრავლესობა თემებში ამ მუშაობას ვერ უძღვება საფუძვლიანად. ზოგიერთ სამკითხველოებთან არ არსებობს არათუ წრეები, პრამოდ მასში არ მოიპოვება ყოველდღიური გაზეთებიც კი, ხოლო ზოგიერთი სამკითხველო მთელი თვეობით არის გამოკეტილი, როგორც მაგალითად შემოქმედის თემში (გურია).

ამის მიზეზი უნდა პირველყოვლისა ვეძიოთ თანხების უქონლობაში. თემაღმასკომები ძალიან მცირე თანხებს იღებენ თემში კულტ-მუშაობის საქმის სათანადო დონეზე დაყენებისთვის. სამკითხველოებს არ მოეპოვებათ საჭირო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, ძალზე მცირე ხელფასი ეძლევა სამკითხველოს გამგეს და ხშირად იმასაც ვერ იღებენ თავის დროზე. ამიტომ სამკითხველოში მუშაობას გაურბის სათანადოდ ცოდნით აღჭურვილი პირი. ასეთ პირობებში სოფლად კულტმუშაობის გაძლიერებაზე ლაპარაკი მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება.

დღეს, როდესაც კულტურული რევოლიუციის საკითხებს დათმობილი აქვს პარტიის და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება, ჩვენი მოვალეობაა ყოველგვარი ზომები მივიღოთ, რათა დავეხმაროთ ხელისუფლებას ამ მიზნის განხორციელებაში. სათემო აღმასკომებმა აუცილებლად უნდა გამოძებნონ საჭირო თანხები სამკითხველოების შესანახად, ხოლო საბჭოს კულტგანმანათლებელ სექციას მართებს მეტი თვითმოქმედების გამოჩენა კულტურულ ფრონტზე.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე კერძო ინიციატივაც. თვითმპყრობელობის დროს სამკითხველოები არსებობდნენ თემის კულტურული ძალების მიერ კერძო ინიციატივით. ზედმეტი არ იქნება, რომ თვითმოქმედებას დღესაც მიეკუთვნოს შესაფერი ადგილი.

გურული.

მნიშვნელოვანი მიღწევა

(წერილი ოზურგეთიდან)

7 აპრილს, ქ. ოზურგეთში საფუძველი ჩაეყარა საპატიმრო სახლის ჩაის პლანტაციას, რომლის ინიციატივა და ხელმძღვანელობა ეკუთვნის ოზურგეთის გამასწორებელ სახლის უფროსს ამხ. ბ. მენაბდეს. გამასწორებელ სახლის მიერ აღებული მიწა, რომელზედაც ჩაის პლანტაცია უნდა გაშენდეს, შეიცავს 16 დესეტინას. წელს მოასწრეს ორი დესეტინა მიწის გადაბრუნება და ჩაის დათესვა, ხოლო სამ დესეტინაზე დათესილია სიმინდი. აქვე აგებულია თავშესაფარი მომუშავე პატიმრებისათვის, რომელიც იტევს 30 კაცს. მომავალი წლიდან შეუდგებიან დანარჩენი მიწის დამუშავებასაც.

ჩაის პლანტაციის მოშენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც გამასწორებელ სახლს, ისე საერთოდ მეურნეობის განვითარებასაც. ამავე დროს გამასწორებელ სახლში მოთავსებული პატიმრები შეეჩვევიან სოფლის შრომას და აქედან განთავისუფლების შემდეგ ხელს მიჰყოფენ ენერგიულ შრომას როგორც პირადი, ისე საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

პატიმარი.

ვინ მისცა ამის უფლება?

სოფ. ყვავილი, დუშეთის მაზრა

სოფელ ყვავილისა და აბის გლეხობა დიდ უხერხულობას განიცდიდით იმის გამო, რომ სათემო აღმასკომი ამ სოფლებიდან დაშორებულია 9 კილომეტრით. 1925 წელში თემაღმასკომი მოთავსებული იყო სოფელი ამილახვრიანთკარში, მაგრამ 1926 წელს აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სოფ. ბაზალეთში მცხოვრები დურგლიშვილი, რომელმაც აღმასკომი გადაიტანა თავის სოფელში. ამის გამო გლეხობას უხდება 9 კილომეტრის გავლა აღმასკომში რამე საქმის მოსაგვარებლად და ხცდება თავის სამუშაოს.

საჭიროა თემაღმასკომის კვლავ ძველ ადგილზე გადმოტანა, რაზედაც მივაქცევთ დუშეთის სამაზრო ხელისუფლების ყურადღებას.

ვ. სიმართლის მთქმელი.

კოლექტივების ჩამოყალიბება

დარჩელის რაიონი, ზუგდიდის მაზრა

დარჩელის რაიონი თავისი თემებით მეტად მდიდარი კუთხეა. აქაური ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობს განსაკუთრებით მემინდვრეობის აღორძინებას. საკმარისია გლეხობამ ხელი მიჰყოს კულტურული მცენარეების მოშენებას, რომ მან მალე მიიღოს შესაფერი ნაყოფი.

მიუხედავად ასეთი ბუნებრივი პირობებისა, გლეხობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბეს განიცდის. სიღარიბის თავიდან აცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გვესახალებთ კოლექტიურ მეურნეობას. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია როგორც მაზრის, ისე სათემო ორგანიზაციებმა და შეუდგა კოლექტივების ჩამოყალიბებას. დარჩელის რაიონში ამჟამად ჩამოყალიბებულია 8 კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 92 წევრი. კოლექტივებს შორის აღსანიშნავია ქალების ორი ამხანაგობა, რომლების მუშაობა სამაგალითოა. ამხანაგობანი ავრცელებენ კენაფის კულტურას და მით ხელს უწყობენ მრეწველობის განვითარებას. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კოკისა და ერგეთის ამხანაგობებს. ამ ამხანაგობებმა დიდი ნდობა მოიპოვეს მშრომელ გლეხობაში. მომავალისთვის უნდა ვეცადოთ, რათა ღარიბი გლეხობის უფრო მეტი რიცხვი ჩავაბათ კოლექტიურ მეურნეობაში.

რ. გვახალია.

გლეხკორთა წერილებიდან

ასეთი მოქმედება მიზანშეუწონელია

წითელქალაქის თემი, გორის მაზრა

წითელქალაქის კოოპერატ. გამგეობა არა წევრ გლეხებზე არ ყიდის ნავთს კოოპერატივიდან. ნავთი არც კერძო მოვაჭრეებს აქვთ და ამის გამო გლეხობას უხდება ბნელაში ყოფნა. ნუ თუ ასეთი ზომებით ფიქრობს კოოპერატივის გამგეობა წევრთა რიცხვის გადიდებას? ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, რასაც ცეკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

იქაური.

თემაღმასკომი ყურადღებას არ აქცევს

ქარელის თემი, გორის მაზრა

გასულ წელს აქ მთავარ პოლიტგანმა მოაწყო რადიო-მიმღები აპარატი, რომელიც პირველ ხანებში კარგად მუშაობდა, მაგრამ უკანასკნელ დროს ქარიშხალმა დააზიანა ანძა და აპარატიც დადუმდა. მიუხედავად იმისა, რომ სათემო ბიუჯეტში რადიოსთვის გათვალისწინებულია 151 მანეთი, აღმასკომის თავმჯდომარე თავს არ იცხელებს მისი შეკეთებისთვის. ნუთუ როდის ეღირსება რადიოს შეკეთება?

რადიო[illegible]არული.

დაგვიარსეთ აგრონომიული პუნქტი

ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

წინად ამ სოფლის გლეხობა მისდევდა მხოლოდ ხვნა-თესვას, მაგრამ ამჟამად ხელი მიჰყვეს მევენახეობასაც. ამ მიმართულებით დღეს გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ გაგვიხსნას აგრონომიული პუნქტი, რითაც გლეხობას საშუალება მიეცემა უფრო ნაყოფიერად აწარმოოს მეურნეობის განვითარება.

ს. კიზიყურაშვილი.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

(ა.-კ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს მასალების მიხედვით)

მაისის მეორე ნახევარის მეტეოროლოგიური პირობები ხასიათდებოდა ტემპერატურის არათანაბრობით. ამ პერიოდის უკანასკნელ დღეებში ტემპერატურა ძალზე დაეცა, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოში და სომხეთში სითბო მაინც ნორმაზე მეტი იყო, მაშინ როდესაც აზერბეიჯანში სითბოს ნაკლებობას განიცდიდა. უკანასკნელ დღეებში გახშირდა წვიმები, რასაც საქართველოს ზოგიერთ ადგილებში ზიანი მოაქვს ნათესებისათვის. სალიანის რაიონში და ლენქორანის დაბლობზე გვალვა იყო. საქართველოში და სომხეთში ამინდი საერთოდ საშუალო აღმოჩნდა პურეულის და ბაღების ამოსვლისათვის

პირველი ივნისისათვის ნათესების მდგომარეობა გამოიხატებოდა შემდეგ ნიშნებში:

საქართველოში: შემოდგომის პურეული—3,2, გაზაფხულის—2,9, შემოდგომის ქერი—3,2, გაზაფხულის—2.9; სიმინდი—3.5, მთავარი პურეული—3.3.

აზერბეიჯანში: შემოდგომის პურეული 3,6, გაზაფხულის—3,3 შემოდგომის ქერი—3,7, გაზაფხულის—3.8, მთავარი პურეული—3,6.

სომხეთში: შემოდგომის პურეული—3,1 გაზაფხულის—3,4 შემოდგომის ქერი—2,6 გაზაფხულის—3,3 მთავარი პურეული—3,3; ამიერ-კავკასიაში მთავარი პურეულის მდგომარეობა ხასიათდება 3.4 ნიშნით.

გასულ წელთან შედარებით მთავარი კულტურების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში უკეთესია: აზერბეიჯანში—12,5 პროცენტით, სომხეთში და საქართველოში 10,0 პროც.

ბამბის ნათესების მდგომარეობა ხასიათდება: აზერბეიჯანში—3,1 ნიშნით, სომხეთში—3,3 და საქართველოში—3,0.

ვენახები და ხილის ბაღები: აზერბეიჯანში—ბაღები 3,1, ვენახები—3,2; სომხეთში: ბაღები—2,2, ვენახები—3,5; საქართველოში—ბაღები—3,0, ვენახები—3,7.

თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა აფხაზეთში ხასიათდება 2,3 ნიშნით; მთლიანად საქართველოში თამბაქოს ნათესების მდგომარეობა ხასიათდება 3,1 ნიშნით.

საერთოდ, ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში პირველ ივნისისათვის საშუალოზე უკეთესია.

როგორ ჩატარდება თავდაცვის კვირეული

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ხირაძემ განაცხადა შემდეგი:

მიმდინარე წელს თავდაცვის კვირეული მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდება 15 ან 22 ივლისამდე.

კვირეულის ჩასატარებლად საქართველოში გამოყოფილია ცენტრალური კომისია ამხ. ს. ჯულელის თავმჯდომარეობით. კომისიამ უკვე შეიმუშავა კვირეულის ჩატარების გეგმა, რომელიც დაეგზავნა ადგილებს.

ადგილებს მიეცათ წინადადება, რათა კვირეულის ჩასატარებლად დაუკავშირდნენ პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირების, წითელი ჯარის და წითელი ჯვარის ორგანიზაციებს.

კვირეულის დროს ყურადღება მიექცევა ახალი წევრების ჩაბმას საზოგადოების რიგებში და საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რისთვისაც იწარმოებს ყულაბებით ფულის შეგროვება და ფასიანი გასართობების მოწყობა,

პირველად საქართველოში კვირეულის დროს მოეწყობა აეროპლანების საგიტაციო გაფრენა მაზრებში. ამით შესაძლებლობა მიეცემა სამაზრო ქალაქებში და სოფლებში მცხოვრებთ გაეცნონ თვითმფრინავებს და მათ მოქმედებას. საგიტაციო გაფრენის დროს გაკეთებულ იქნება მოხსენებები თავდაცვის საკითხების შესახებ.

საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში ავიაქიმის ორგანიზაციები მოაწყობენ ომის ინსცენირებებს, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ ავიაქიმელები, პირველი დახმარების და სანიტარული წრეები, რადიო-მოყვარულები და სხვ.

კვირეულის დროს მოეწყობა ფართე შეჯიბრი სროლაში, იმის გამოსარკვევად, თუ როგორი მიღწევები აქვთ სროლაში წრეებს.

მოჯამაგირეთა დაზღვევა

სოცდაზღვევის მთავარ კომიტეტმა შეიმუშავა მოჯამაგირეთა დაზღვევის ახალი წესი. ამ წესის მიხედვით დაზღვეულ მოჯამაგირეებს გაეწევათ შემდეგი სახის დახმარება: მოჯამაგირე ქალს, რომელსაც უკანასკნელ ორ წელში აქვს 6 თვის დაქირავების სტაჟი მშობიარობის დროს ერთდროულად მიეცემა 10 მან.

დაზღვეულ მოჯამაგირეს ინვალიდობის შემთხვევაში მიეცემა პენსია შემდეგ განრიგებით: იმ მოჯამაგირეს რომლებსაც თვეში ეძლევა ხელფასი 13 მანეთამდე, დამზღვევ სალაროდან პენსიის სახით მიეცემა 5 მ. 50 კ., ის ვინც იღებს 18 მანეთამდე—7 მ. 50 კ., 22 მანეთამდე—10 მ., 27 მანეთამდე—12 მ. 50 კ.; 32 მანეთამდე—14 მ. 50 კ.; 40 მანეთამდე—17 მ., 40 მანეთის ზევით—20 მ. 50 კ.

გარდა ამისა დასახიჩრების გამო გარდაცვლილ მოჯამაგირის ოჯახის წევრებს: შვილებს, ძმებს, დებს—15 წლის ასაკამდე, შრომის უნარ დაკარგულ მშობლებს და მეუღლეს დასახიჩრების გამო გარდაცვლილი იმ მოჯამაგირის ოჯახს, რომელიც თვეში იღებდა 13 მანეთს, პენსია მიეცემა 1 სულზე—2 მან., 2 სულზე—2 მან. 75 კ., 3 სულზე და ზევით—4 მან. 25 კ.

18 მანეთამდე ჯამაგირის მქონე მოჯამაგირის ოჯახს—1 სულზე—2 მან. 50 კ.; 2 სულზე—2 მან. 75 კ.; 3 სულზე და ზევით—5 მან. 75 კაპ.

იმის ოჯახს, რომელიც ღებულობდა 22 მანეთამდე, მიეცემა: 1 სულზე—3 მან. 50 კ., 2 სულზე—5 მ., 3 სულზე და ზევით—7 მ. 50 კ.

27 მანეთამდე: 1 სულზე—4 მ. 25 კ., 2—6 მან. 25 კ., 3 სულზე და ზევით—9 მან. 25 კ.

32 მანეთამდე: 1 სულზე—4 მ. 75 კ., 2 სულზე—8 მან. 50 კ., 3 სულზე და ზევით—12 მან. 75 კ.

40 მანეთამდე: 1 სულზე—5 მ. 75 კაპ., 2 სულზე—8 მან. 50 კ., 3 სულზე და ზევით—12 მან. 75 კ.

ხოლო დასახიჩრებისაგან გარდაცვლილ იმ მოჯამაგირის ოჯახს, რომელიც თვეში იღებდა 40 მანეთს და მეტს: 1 სულზე მიეცემა—7 მან., 2 სულზე—10 მან. 25 კ. და 3 სულზე და ზევით—15 მ. 50 კ.

გარდა პენსიისა, გარდაცვლილ დაზღვეულ მოჯამაგირის დასამარხავად ოჯახის წევრები ერთდროული დახმარების სახით მიიღებენ 10 მანეთს.

ჩამოთვლილ დახმარებების გარდა, დაზღვეულ მოჯამაგირეებს, რომელთათვისაც დამქირავებელნი იხდიან 10 პროცენტს, უმუშევრობის დროსაც ეძლევათ დახმარება დამზღვევ სალაროდან. მოჯამაგირეს, რომელიც დაქირავებული იყო ერთი წლით, უმუშევრობის შემთხვევაში დახმარება ეძლევა 3 თვეს ერთი წლის განმავლობაში, და არა უმეტეს 6 თვისა ორი წლის განმავლობაში.

სასეზონოთ დაქირავებულ მოჯამაგირეს უმუშევრობისას დამზღვევი სალარო დაეხმარება 2 თვეს. თვიური დახმარება განისაზღვრება 4 მანეთით.

მოჯამაგირეს, რომელსაც სოფლად აქვს მეურნეობა, დახმარება უმუშევრობისას არ მიეცემა.

დანარჩენი სახის დახმარებები, როგორიცაა საექიმო და სხ. მოჯამაგირეებს მიეცემათ საერთო წესით.

საკავშირო სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს განრიგებით, ამიერ-კავკასიაში წელს დაზღვეული უნდა იქნას 15.000 მოჯამაგირე, აქედან საქართველოში—7.000, აზერბეიჯანში—6.500 და სომხეთში—1.500 მოჯამაგირე-მწყემსი. ამჟამად საქართველოში დაზღვეულ მოჯამაგირეთა რაოდენობა აღემატება 8700 კაცს, აღნიშნულ განრიგების განხორციელების შემდეგ საქართველოში იქნება 15—16 ათასი დაზღვეული მოჯამაგირე.

ვაჭრობა თურქეთთან

თათბირი „ზაკგოსტორგში"

„ზაკგოსტორგის" (ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა) გამგეობასთან შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა თურქეთში „ზაკგოსტორგის" მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, თათბირს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კონსული ტრაპიზონში ამხ. ეტინგოფი და აზერბეიჯანის კონსული ამხ. ბროტმანი.

ამხ. ბროტმანმა აღნიშნა, რომ აზრუმის ვაჭრები თანდათან მეტ ინტერესს იჩენენ „ზაკგოსტორგის" საქმიანობისადმი. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ფართლის, ცემენტის, საპონის და სხ. საქონლის გატანა თურქეთის ბაზარზე. ვაჭრები გამოსთქვამენ „ზაკგოსტორგთან" თანამშრომლობის სურვილს კონტრაგენტობის საფუძველზე, რაც ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის.

ამის შემდეგ ამხ. ბროტმანი შეეხო თურქეთის ბაზრის მდგომარეობას, იმ საექსპორტო საქონლის ასორტიმენტს, რომელიც ა.-კავკასიიდან უნდა იქნეს გატანილი თურქეთში და თათბირს გააცნო საექსპორტო საქონლის რეალიზაციის პერსპექტივები.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ბუგუშვილმა აღნიშნა, რომ ა.-კ. სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა საგრძნობლად აფართოებს თავის მოქმედებას თურქეთის ბაზარზე. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ფართლეულის ბაზარს. აღმოსავლეთ-ანატოლიის ვაჭრები თანდათან აფართოებენ მოთხოვნილებას საბჭოთა საქონელზე, როგორიც არის შაქარი, ხილიკატები და სხვ.

საბჭოთა კავშირის კონსულმა (ტრაპიზონში) ამხ. ეტინგოფმა, აღნიშნა რომ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა თურქეთის ბაზარზე იწყებს ჯანსაღ-პრაქტიკულ საქმიანობას და ამ საქმიანობას უთანხმებს საკონსულოს და თურქეთის ვაჭრების მოთხოვნილებებს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ გზით,—ამბობს ამხ. ბექზადიანი,—ჩვენ გამოვუზრუნველყოფთ საბჭოთა კავშირის და თურქეთის ბაზრების უფრო მეტ დაახლოვებას.

დასასრულ თათბირის თავმჯდომარემ—ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. ბექზადიანმა აღნიშნა თათბირის დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან თათბირზე გამოირკვა ის პირობები, რომლებშიაც მიმდინარეობს „ზაკგოსტორგის" საქმიანობა თურქეთის ბაზარზე. მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნეს წარსული მუშაობის ნაკლი და მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ასეთებს აღარ ექნეს ადგილი. ამ გზით,—ამბობს ამხ. ბექზადიანი,—ჩვენ გამოვნახავთ თანამშრომლობის უკეთეს გზას და უზრუნველვყოფთ საბჭოთა კავშირის და თურქეთის ბაზრების დაახლოვებას.

თათბირზე გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები თურქეთთან ვაჭრობის გასაფართოებლად.

საფრანგეთის რკინის გზელების წარმომადგენელი თბილისში

15 ივნისს თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის წარმომადგენელი **ლეო მარტუ**, რომელიც გამოგზავნილი იყო საბჭოთა კავშირში რკინისგზელთა მე-9 ყრილობაზე დასასწრებათ. ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ ლ. მარტუ ესტუმრა ლენინგრადს, ხარკოვს და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებს. ყველა ქალაქებში იგი ეცნობოდა ტრანსპორტის მუშაკთა მდგომარეობას და საერთოდ პროფკავშირების სტრუქტურას და საქმიანობას.

ლ. მარტუ თბილისში დარჩება 2 დღე და დაათვალიერებს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებს და გაეცნობა ტრანსპორტის მუშაკთა ორგანიზაციებს.

თბილისიდან იგი გაემგზავრება უკან—მოსკოვში და შემდეგ საფრანგეთში.

კოოპერაციის საპაიო კამპანია

კოოპერაციის საპაიო კამპანია [illegible]

კოოპერაციის საპაიო კამპანიასთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა და საქ. პროფკავშირთა საბჭომ თბილისის ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაუგზავნეს ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია:

გაზ. „კოოპერატივნაია ჟიზნ"-ის თაოსნობით მთელს საბჭოთა კავშირში ტარდება მიტინგი გამოძახება ცენტრალ. მუშკოოპებსა და ქალაქის მუშკოოპებს შორის, მიტინგი-გამოძახების მიზანია კოოპერაციაში მშრომელი მასების ჩაბმის გაძლიერება, საპაიო კაპიტალის აკრეფა და პაის მქონე წევრთა დაზოგვილ თანხების მოზიდვის მოწესრიგება.

მიტინგ-გამოძახება პირველი ცდაა მიეცეს აღნიშნულ საკითხებს მასიური ხასიათი და დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში დაინტერესებული იქნეს ფართო მასები. მიტინგი-გამოძახება ტარდება შეჯიბრების მეთოდით, როგორც ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა შორის.

მუშკოოპი შეჯიბრში გამოიწვია როსტოვ-ნახიჩევანის სამომხმარებლო კოოპერაციამ. მუშკოოპის გამგეობამ მიიღო გამოძახება და შეიმუშავა კამპანიის ჩატარების გეგმა, რომელიც დაამტკიცა მუშკოოპის რწმუნებულთა მე-13 კრებამ.

გეგმის მიხედვით გადაწყვეტილია კოოპერაციაში ჩაბმულ იქნას 2.000 ახალი წევრი. შეგროვდეს 80.000 მან. საპაიო თანხა და პაის მქონე წევრებისაგან მიღებულ იქნეს მონაზოგი თანხების სახით 10.000 მანეთამდე.

მიტინგ-გამოძახების ჩატარებისათვის შექმნილია საქალაქო კომისია, რომელშიაც შედიან ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის, რაიკომების, ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის, ქალთა განყოფილებათა, საქ. პროფსაბჭოს, ცეკავშირის, მუშკოოპის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის, პრესის და თბილისის აღმასკომის წარმომადგენლები.

გათვალისწინებულია ახლო ხანში მოწვეულ იქნას საქალაქო კრება მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მუშკოოპის რწმუნებულები, საფაბრიკო კომისიის, კოოპერატიულ კომისიების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ეკონომიური კომისიების, ქალ ორგანიზაციების, მუშკორების, პრესის წარმომადგენლები და მდივნები.

საქალაქო კრების შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში მოწვეულ იქნება ადგილობრივი კრებები-მიტინგები, სადაც ჩატარდება მოხსენებები მიტინგ-გამოძახებათა ამოცანების შესახებ.

პროფკავშირული მასის კოოპერაციაში ჩაბმა და მუშკოოპში პაის დაგროვება ასეთ სურათს იძლევა:

ა. წ. პირველი ივნისისათვის მუშკოოპს ყავდა 40.600 წევრი და ქონდა 293.000 საპაიო თანხა. გასული წლის პირველ ოქტომბრიდან წევრთა რიცხვი გაიზარდა 16.600 კაცით, ანუ 68,6 პროცენტით, ხოლო საშუალო საპაიო გადასახადი 5 მან. 13 კაპ. გაიზარდა 7 მანეთამდე. ასეთი შეუსაბამობა წევრთა რიცხვისა და საშუალო პაის ზრდის შორის წარმოიშვა პაის ანარიცხების არა წესიერად შეტანით. გარდა ამისა, თბილისის კომიტეტი აღნიშნავს რომ ზოგიერთ კავშირების (სახ. კვების, მეშალაროეთა, განათლების, ხელოვნების, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირები) წევრების მონაწილეობა კოოპერაციაში მცირეა.

ეძლევა რა დიდი მნიშვნელობა აღნიშნულ კამპანიას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მუშკოოპის ფინანსიურად და ორგანიზაციულად გაუმჯობესებას და კოოპერაციაში ჩაბმულ მასებთან კავშირის გაძლიერებას, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი, საქ. პროფსაბჭო და მუშკოოპის გამგეობა წინადადებას აძლევენ პარტიის, პროფკავშირებისა, კოოპერაციისა და მათი ორგანიზაციების ყველა წევრთ:

აქტიური და უშუალო მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კამპანიის ჩატარებაში და ხელი შეუწყონ კამპანიის წარმოებას.

კავშირების ცენტრალურ გამგეობებმა მუშკოოპთან ერთად უნდა შეიმუშაონ მიტინგ-გამოძახების ჩატარების პერიოდში კავშირის წევრთა კოოპერაციაში ჩაბმის გეგმა და წესი, აგრეთვე უნდა მიიღონ ზომები აღნიშნული გეგმის სრული განხორციელებისათვის.

კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა უნდა მისცენ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს სათანადო განმარტებანი და ინსტრუქციები, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული კამპანიის ჩატარებაში.

კოოპერატიულ კომისიებმა უნდა გააძლიერონ საპაიო გადასახადის შეკრება, ახალ წევრთა შეგროვება და მათ მიერ გაერთიანებულ წევრებს მიაწოდონ ცნობები მიტინგ-გამოძახების მიმდინარეობის შესახებ.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საგლეხო სესხის ტირაჟი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა გათამაშების მეორე დღეს სატირაჟო კომისიის სხდომას უამინდობის გამო გლეხების სასურველი რაოდენობით ვერ ესწრებიან, მაგრამ სამაგიეროდ მრავლად არიან პროფკავშირების წევრები—მუშა-მოსამსახურეები და წითელარმიელები.

14 ივნისს საღამოს და 15 ივნისს დილით გათამაშებულ იქნა 350 ორმოცდაათ მანეთიანი მოგება.

თუ გამოიდარა, კვირას ქალაქის ბაღში მოეწყობა საზეიმო კრება მაზრებიდან ჩამოსულ გლეხების მონაწილეობით.

კოლექტიური მეურნეობა

მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს კოლექტიურ-მეურნეობათა ჩამოყალიბება. სულ დღემდე დაარსებულია 22 კოლმეურნეობა. ამ დღეებში ჩამოყალიბდება ორი კოლექტიური მეურნეობა: ოფიჩხეთის და გოდოგნის თემებში.

მიწადმოწყობა

სასიზონო მუშაობა მიწადმოწყობის დარგში უკვე დაიწყო. ადგილობრივ ირკვევენ საფონდო მიწების რაოდენობას, დაქუცმაცებულ ნაკვეთებს აერთიანებენ და თუ ვინმეს ნორმაზე მეტი მიწა აღმოაჩნდა, ზედმეტს ართმევენ.

შაბიამანი

მაზრის სოფლის მეურნენი სავსებით უზრუნველყოფილი არიან შაბიამანით. წარსულ წელსავით ადგილი არა აქვს გლეხების საყვედურებს რუსული შაბიამანის უვარგისობაზე, რადგან გლეხობამ აგროპუნქტების საშუალებით შეისწავლა ბორდოს სითხის ნეიტრალურად დამზადება, რაც ხელს შეუწყობს შაბიამანის რაციონალურად გამოყენებას.

„სოფლის კავშირმა" 14 საკრედიტო ერთეულის საშუალებით გლეხებს შორის განაწილა 359 ტონა შაბიამანი.

აზარტული სათამაშოები

სამაზრო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ამხ. მამრიკიშვილის სიტყვით, სავსებით მიზანშეწონილი იქნება ქალაქსა და მაზრაში არსებულ ყველა ლოტოების, პატიშვოების და ლატარიების მოსპობა, რადგან ისინი ხელს უწყობენ ახალგაზრდობის გახრწნას. შემოსავალი კი მათგან არც ისე დიდია: მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში მათგან შემოვიდა სულ 3.566 მანეთი.

კომკავშირელთა კრება

13 ივნისს ქალაქის თეატრში გაიმართა კომკავშირელთა დიდი კრება, უმთავრესად არდადეგების გამო სოფლად მიმავალ კომკავშირელ მოსწავლეობის მონაწილეობით. სოფლად მუშაობის ამოცანების შესახებ კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. სევერიან მინდიაძემ.

დახმარება ხანძრისაგან დაზარალებულებს

— დღემდე დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა შემოწირულებების სახით მიიღო 46.164 მან. და 42 კაპ.

— ადგილობრივმა შრომის ინსპექციამ დაზარალებულთა შორის კოლექტივების მოსაწყობად მიიღო 8 ათასამდე.

— დაზარალებულთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შრომის კომისარიატის წინაშე, რომ დაზარალებულთათვის საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად უკვე გადმოგზავნილ 27 ათას მანეთს გარდა. დამატებით იქნას გაღებული კიდევ 27 ათასი მანეთი.

— ვინაიდან გამოირკვა, რომ ყოვლად შეუძლებელია ებრაელთა დამწვარი სალოცავის აღდგენა, გადაწყვეტილია მისი დანგრევა. გადარჩენილი მასალა და სალოცავის დასაზღვევი თანხა გადაცემული იქნება კოლმეურნეობის განკარგულებაში.

— კომუნალურ მეურნეობას გადაეცა 2.000 მან. დამწვარ უბანში გასანათებელი ქსელის აღსადგენად.

სახანძრო რაზმი

სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები სახანძრო საქმის გასაჯანსაღებლად. სახანძრო რაზმისათვის პირველყოვლისა შეძენილი იქნება 5 სპეციალური ავტო-მანქანა, რისთვისაც გადადებულია 40.000 მან.

ნათესების მდგომარეობა

ნათესების და ბაღ-ბოსტნების და ვენახების მდგომარეობა მთელს მაზრაში საშუალოზე უკეთესია.

სას.-სამ. კურსები

მიმდინარე წელს მაზრაში არსებობდა 4 სასოფლო-სამეურნეო მოკლევადიანი კურსები. სამეცადინო საგნები შერჩეული იყო რაიონების ადგილმდებარეობის მიხედვით. სულ ყველა კურსებზე მეცადინეობდა 109 კაცი. გამოცდები ჩაბარა 67-მა.

ბრძოლა მავნებლებთან

მაზრაში ამჟამად სწარმოებს ენერგიული ბრძოლა მავნებლებთან: მახრახთან, მგრელთან და სხვა.

მდინარეების ადიდება

გამუდმებული წვიმების გამო ადიდდა მდ. რიონი, ხონთან კავშირი შეწყვეტილია. წყალმა წაიღო ბორანი მდ. გუბის წყალზე.

სასამართლოს გაქურდვა

13 ივნისს ხრესილის სახალხო სასამართლოდან მოიპარეს წიგნები და საქმეები.

—:—

რიონში ბანაობის დროს დამხრჩვალი კაცი (იხ. „კომუნისტი"-ს 12 ივნისის №) არ აღმოჩნდა კოწია კაკაბაძე. დამხრჩვალის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული.

ქრონიკა

ამხ. გ. ოჩკანოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ტრანსპორტის მუშაკთა პროპაგანდის და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **გ. ოჩკანოვი.**

ამხ. ოჩკანოვი თბილისში დარჩება ორი დღე და გაეცნობა ტრანსპორტის მუშაკთა ორგანიზაციების მუშაობას.

პალესტინელი მრეწველის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა პალესტინელი მრეწველი **ბენციონ მარგოლინი,** რომელმაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში შეიძინა დიდძალი ხე-ტყის მასალა. საქართველოში ის ფიქრობს ხე-ტყის ახალი პარტიების შეძენას.

საბჭოთა კავშირში შეძენილი ხე-ტყე გატანილი იქნება ქალ. იერუსალიმისა და მისი რაიონის საჭიროებისათვის.

სამხედრო სკოლებში

საქართველოს ცაკთან დაარსდა ცენტრალური კომისია, რომელიც აწარმოებს რუსეთის სამხედრო სკოლებში კურსანტების გაგზავნის საქმეს.

განცხადებები მიიღება ცაკის კანცელარიაში. კურსანტები გაიგზავნება ცხენოსანთა, არტილერიის და ფეხოსანთა სკოლებში.

სამხედრო სკოლებში საქართველოდან გაიგზავნება: ფეხოსანთა სკოლაში—180 კურსანტი, ცხენოსანთა—125, არტილერიის—65.

რადიო ინსტრუქტორთა გადასამზადებელი კურსები

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველობა ა. წ. 1-ლ ივლისისათვის თბილისში ხსნის რადიო ინსტრუქტორთა (მაზრების) მაღალი ტიპის გადასამზადებელ ერთ თვიან კურსებს. განათლების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა მაზრპოლიტგანებს გამოგზავნონ თავიანთი ინსტრუქტორები აღნიშნულ კურსებზე. კურსებზე მოწვეული იქნება აგრეთვე თითო კაცი ავტონომიურ რესპუბლიკებიდან.

თავდაცვა - ავიაქიმის მეორე ლატარიის მოგებანი

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გაანაღდა თავდაცვა-ავიაქიმის მეორე ლატარიის 23 მოგება.

გუშინ სახ. ბანკის თბილისის კანტორას წარუდგინეს თავდაცვა-ავიაქიმის მეორე ლატარიის ბილეთი სერია 024, № 8.366, რომელსაც ხვდა გადაფრენა მოსკოვი-ნიჟნი ნოვგოროდი—მოსკოვი; გადაფრენის ნაცვლად მომგებს შეუძლია მიიღოს 300 მანეთი. ბილეთი ეკუთვნის სამხედრო უწყების მოსამსახურეს, რომელმაც არ მოისურვა თავისი ვინაობის გამომჟღავნება.

პურის ქარხანა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს სამშენებლო ტეხნიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა თბილისში პურის ქარხნის აგების გეგმა.

ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდება 300.000 მანეთი. ქარხანა იმუშავებს მექანიკურად.

პირველ ხანებში ქარხანა ყოველდღიურათ დაამზადებს 1500 ფუთ პურს, შემდეგ კი—2000 ფუთს.

ქარხანაში იმუშავებს 48 კაცი. მუშაობა იწარმოებს 3 ცვლათ. ქარხნის აგება განზრახულია მიმდინარე წლის ბოლომდე.

ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი ქუთაისში

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობით, ქუთაისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის მოწყობას. ინსტიტუტი მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

ხარჯთაღრიცხვით ინსტიტუტის მოწყობა დაჯდება 20.000 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატმა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებას ინსტიტუტის საჭიროებისათვის გაუგზავნა 6000 მანეთი. ამას გარდა კომისარიატმა გადაგზავნა რენტგენის კაბინეტი, რომლის ღირებულება უდრის 15.000 მანეთს.

სას. სამ. კრედიტის ძირითად ქსელის გამოკვლევა

ახლო მომავალში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგება სასოფლო სამეურნეო კრედიტის ძირითად ქსელის გამოკვლევას.

გამოკვლეული იქნება სოფლის მოსახლეობის ტემპი, რამდენათ არის შესრულებული უმაღლეს საბჭოთა და პარტიული ორგანოების დირექტივები, ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება და სხ.

გამომკვლევ კომისიაში შევლენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საქ. სას. სამეურნეო ბანკის, „სოფლის კავშირი"-ს, საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები. გამოკვლევა დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში.

მრეწველობის მოწყობილობა

ამ დღეებში ბათომში მოვიდა გემი „ვოიკოვი", რომელმაც ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააიო ამხანაგობის სახელზე მოიტანა მთელი რიგი საიმპორტო საქონელი. სხვათა შორის ამ გემით მოტანილია: აზერბეიჯანის სატყეო მრეწველობის ტრესტისთვის შეძენილი ხეტყის დამმუშავებელი ჩარხები, სათადარიგო ნაწილებით: „სომხეთის სპილენძი"-სთვის შეძენილი ლაბორატორიის ხელსაწყოები; „სომხეთის „რძისა და ყველის ცენტრი"-სთვის შეძენილი სარძე ხელსაწყო, ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველოსათვის შეძენილი მანქანების ნაწილები; თაუზის ცემენტის ქარხნის ელექტრო-მოტორებისთვის საჭირო ნაწილები, კინო-აპარატები, კინოს მოწყობილობა და სხ.

მიწის ძვრა თბილისში

გუშინ დილის 7 საათსა და 48 წუთზე თბილისში ადგილი ჰქონდა მიწის ძვრას, რომლის ძალაც ქალაქის ზოგიერთ უბნებში უდრიდა 5 ბალს.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფიული სადგურის ცნობით, მიწისძვრის კერა თბილისიდან დაშორებული 30 კილომეტრის მანძილით. მიწის ძვრა მიმართული იყო ჩრდილოეთ სამხრეთიდან—სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.

სხვადასხვა

◆ **დამცველთა კოლეგიაში.** კვირას, 17 ივნისს დილის 10 ს. დანიშნულია საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** 18 ივნისს საღამოს ექვს საათზე შესდგება შორეულ ექსკურსიებში მონაწილე ექსკურსანტების საერთო კრება.

მნათობი № 5—6

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „მნათობი". ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: (მხატვრული ლიტერატურა) **არ. ჭუმბაძე**—მოსისხლე, **ა. აბაშელი**—პოეტის გული, **გიორგი წერეთელი**—გულქან გალ. **ტაბიძე**—ეპოქა, **ნ. თარიშვილი**—მორიდან, **ბანოვანი**—სამართალს სისხლით მოვძებნი, **ი. გაჯილი**—ლექსი თბილისზე, **ნ. ზომლეთელი**—ოქტომბრის ვეფხი და ქარიშხალა, **მ. გორკი**—არტამანოვების საქმე. (კრიტიკა): **მ. გორკი**—გინდ დებულთა და „დამწყებთა" შესახებ, **ვ. ბახტაძე**—კრიტიკული შენიშვნები, **ვ. ხუროძე**—სტილი, **გრ. რობაქიძე**—ევროპის თანამედროვე ლიტერატურიდან, **შ. ნუცუბიძე**—მარქსიზმი და ემპირიომონიზმი, **კ. ორაგველიძე**—ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, **გ. ლეონიძე**—ივანე მაჩაბელი. ბიბლიოგრაფიები.

სახელგამის ახალი გამოცემები

გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემები: **პროფ. ა. მაჭავარიანი**—კიდურთა ქირურგია, ტ. 3. წიგნი 2. (სახელმძღვანელო მკურნალთა და სტუდენტთათვის) —426 გვ., ფასი 12 მანეთი; **რინდიჩი**—მეცადინეობა პოლიტცოდნისა და საღამოს საპარტსკოლებში—164 გვ., ფასი—1 მან. 30 კაპ.; ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის შედეგები (ამხ. **ი. სტალინის** მოხსენება და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის რეზოლიუცია—94 გვ., ფასი 40 კაპ.; პიონერკოლექტივის საგაზაფხულო და საზაფხულო მუშაობა, 114 გვ., ფასი—60 კაპ.

ხელოვნება

ვ. მჭედლიშვილის ხსოვნის საღამო

18 ივნისს ხელოვანთა სასახლეში მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის რეჟ. ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შესრულების გამო, გაიმართება მისი ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. საღამოზე წაკითხულ იქნება ვ. მჭედლიშვილის გამოუქვეყნებელი შრომა „ჩემი იმპროვიზაციის მეთოდი თეატრში". მოგონებებს ვ. მჭედლიშვილის შესახებ დამსწრეთ გაუზიარებენ შ. დადიანი, ა. წუწუნავა, ა. ფაღავა, კ. მარჯანიშვილი, შ. ახსაბაძე, არსენიშვილი და სულიაშვილი.

— **მედსანშრომის მუშაკთა კლუბში** დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

— **„ლეილა".** საბჭოთა მუშაკების კლუბში კვირას წარმოდგენილი იქნება ვ. დოლიძის ოპერა: „ლეილა".

◆ **ვახტანგ მჭედლიშვილის ხსოვნის საღამო.** ორშაბათს, 18 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვ. მჭედლიშვილის ხსოვნის საღამო, გარდაცვალებიდან 4 წლის შესრულების გამო.

◆ **სიმფონიური ორკესტრი ბორჯომში.** ბორჯომში გაემგზავრა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა ორკესტრი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში იქ გამართავს კონცერტებს ი ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

◆ **შ. ქიქოძის სურათების გამოფენა.** დაიხურება დღეს. ხვალ გაიხსნება ახალგაზრდა მხატვართა ერთი ჯგუფის გამოფენა.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში** დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **შაბათს, 17 ივნისს,** საღ. სრულ 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. **ლ. ავერბახი** შემდეგ თემაზე: კლასობრივი ბრძოლა თანამედროვე ლიტერატურაში. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: **სუტირინი, კირშონი, რონდელი, ეული, კრეიტანი, ელენტი, სულავა; ჩიქოვანი; მაგერი; სიტკოვსკი; ტ. ტაბიძე** და სხვები. შესვლა უფასოა.

შემთხვევები

ჯიბგირების დაპატიმრება

ამას წინად თბილისში ჩამოსულ სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს—ნავერიანის ვიღაც უცნობმა პირმა რუსთაველის პროსპექტზე ჯიბიდან ამოაცალა 880 მანეთი სახაზინო ფული. თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ბ. გრგოლია და ა. ბერეჟნოი.

გაჩხრეკისას გრიგოლიას ბინაზე იპოვნეს 210 მანეთი და 150 მანეთის მანუფაქტურა.

ორივე ჯიბგირი გამოტყდა დანაშაულში.

გამფლანგველი ფურცელაძე

თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მდივანათ ირიცხებოდა ნიკ. ფურცელაძე. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მიჰყო სახელმწიფო ფულების გაფლანგვას.

რევიზიით გაფლანგვის ფაქტი დადასტურდა. გამოირკვა, რომ ფურცელაძეს გაუფლანგავს 1000 მანეთზე მეტი.

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა. საქმე გადაეცა პროკურორს.

თვითმკვლელობა

გუშინწინ, ღამით „ნაგანის" რევოლვერით თავი მოიკლა გაბრიელ იაგორაშვილმა (მცხ. ს. პეროვსკაის ქუჩა № 4). თავის მოკვლის მიზეზი —ოჯახური უსიამოვნებაა.

ჯიბის ამოჭრის „სპეცი"

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დ. ბლიუმი. გამოირკვა, რომ ბლიუმი დახელოვნებული სისხლის სამართლის დამნაშავეა. რომელიც „საგასტროლოთ ჩამოვიდა თბილისში. გაჩხრეკისას ბლიუმს აღმოაჩნდა სამართებელი, რომლითაც იგი ჯიბეს აჭრიდა მოქალაქეებს ფულის ამოცლის მიზნით.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამხედრო მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: გრიგოლ ალექსანდრესძე სოჭნიძე, ამაიკ ალექსანდრესძე ჯანგულოვი და გასან მამედ-ოღლი.

დახრჩობა

გუშინ, დღისით, უცაბედათ მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ამეიაკ ისაკისძე ფარაჯანოვი (მცხ. რიყის ქ. № 45).

ვის ჩამოერთვა სახლები

(12-დან 14 ივნისამდე)

გულულოვს და სხვ., სულხანიშვილს, მაკაკიანცს; კარაპეტიანცებს; საინოვს; ნეპოგოიჩინსკის და სხვ., ჩივარდოვს; მიკირტიჩ მაკირტუმოვს; შიოშვილს და სხვ.; ვეფხვაძეს, ბუჟაშვილს; კიტეიშვილს; კოვალიოვს; მაჭარავარიძეს; ესაიანცს; ალექსანდრე ონანოვს; ხოპერიოვებს; დიმიტრი ჩიქოვანს; გასპაროვს; მამედ-იუსუფოვს; ზალიკაშვილს; ივანე ისაევს; სერგეი ლუარსაბოვს; ტარუმოვს და სხვ.; სეხნიაშვილს; ვართაპეტიანცს; ი. აბაშიძეს; გაბაევს; დინო სვიმონიშვილს; იოსებ მენაბდეს, ს. არლუთინსკი-დოლგორუკოვს; ნ. სამოილოვს, ეგიშ ისაკოვს, ნინა მაჭარაშვილს; გ. მახვილაძეს; თ. ჯაფარიძეს; ევგ. კოგიშვილს; ნ. კასუმოვს და სხ.; ე. ვარტუნიანს; ა. ქუტათელაძეს და სხ.; ე. ელგაროვს; კონსტანტინე კორგანოვს; პეტრე მატოშიანს; თეიმურაზ გოგიაშვილს და სხვ.; ალექსანდრე ქუთათელაძეს; ვეზიროვს; კ. ნალოიოშინს; ზადიშვილს; ოლღა ფლორინსკაიას; მაჩიბანს; დანციანცს და მაკირტუმიანცს; კარ. აკოფოვს; ანა მოსესიანცს; ნანიკოვს; ელ. აკოფოვს; მღებროვს და სხვ.; ერვანდ დადამიანს; ა. მოლოლებკინს; ზარაბაძეს; ივანე ტერ-სტეფანიანს; ბიკოვს; ვარდენ კაკაბაძეს; ნიკ. მასტუკიანს; სტეფანოვებს; ერასტი ჭავჭანიძეს; ნინა აგაბოვას; ალექსა ფარსადანოვს; რიზარდ კატრინს; ევგენია გაბლიაკას; გიორგი, იოსებ და სხვ. დუდუშაურებს; ნადარეიშვილს; მღებრიანცს; გრიგოლ ვართანოვს; ალექსანდრე აპოლოვს; იმნაძეს და სხვ.; ვასილ შაგუშკინს; კიკნაძეს და სხვ.; ბენიევს და სხვ.; ანა ლიტოევას; მალუმოვს; ადამიან.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

სასამართლო ორგანოების რევიზია

დამთავრდა თბილისის მაზრის სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების რევიზია. უკვე დაიწყო გორის და ქუთაისის მაზრების სასამართლოების რევიზია.

სამაზრო პროკურორების თათბირი

ახლო მომავალში მოწვეულ იქნება სამაზრო პროკურორების თათბირი. თათბირმა უნდა შეამოწმოს, როგორ ატარებენ პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები მე-15-ე პარტყრილობის გადაწყვეტილებებს რევოლიუციონური კანონიერების და სოფლად მუშაობის დარგში. თათბირზე სათანადო ინსტრუქციები მიეცემათ ადგილობრივ ორგანოებს.

სპეციალური საგადასახადო კამერა

იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოეწყო და უკვე მუშაობს სახალხო სასამართლოს სპეციალური კამერა, რომელიც არჩევს იმათ საქმეებს, ვინც განზრახ გაურბის სახელმწიფო გადასახადების გადახდას. ამ კამერაში საქმეები შემოდის ფინანსკომიდან და ბრალდებულები უმთავრესად ვაჭრები არიან.

სამხრეთ-ოსეთის სასამართლო ორგანოების გამოკვლევა

იუსტკომმა დაამთავრა სამხრეთ-ოსეთის სასამართლო ორგანოების გამოკვლევა. სათანადო დასკვნები და ღონისძიებები ამ ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად წარედგინება საქ. ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

გლეხთა სასახლეში

გლეხთა ცენტრალურ სახლის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე სასახლეში ჩატარებულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სახლის გამგემ ამხ. **ი. მჭედლიშვილმა.** მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 ივნისამდე მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან სასახლეში ჩამოსულა 11.073 გლეხი. ეროვნების მიხედვით ჩამოსულ გლეხებს შორის იყო 8.318 ქართველი, 1046 რუსი, 766 სომეხი, 575 მუსლიმანი და 368 სხვადასხვა ეროვნების.

აქედან პირად საქმეებზე ჩამოსული იყო 9.161 გლეხი, საექიმოთ—528, წარმომადგენლებათ და დელეგატებათ კონფერენციებზე და ყრილობებზე—1384 გლეხი.

უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში უღარიბეს გლეხებს გლეხის სასახლის სასადილოდან მიეცათ 2060 უფასო სადილი, შეღავათიან პირობებში 805 სადილი.

ამავე ხნის განმავლობაში უფასო ამბულატორიული საექიმო დახმარება აღმოეჩინა 918 გლეხს, საავადმყოფოებში მოთავსებული იქნა—322 გლეხი, იურიდიული რჩევა-დარიგება მიეცა 380 გლეხს, ფულადი დახმარება აღმოეჩინა 78 გლეხს და სასახლეში უფასოთ ღამე გაათია 4.922 გლეხმა.

8 თვის განმავლობაში სახლმა ჩამოსულ გლეხებისაგან თბილისის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დასათვალიერებლად მოაწყო 37 ექსკურსია 1756 კაცის მონაწილეობით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ სხდომამ გლეხის სასახლის 8 თვის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და შეიმუშავა ღონისძიებები სასახლის მუშაობის გასაფართოებლად.

ავიაქიმში

თავდაცვის მუზეუმი

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე სცნო საჭიროდ სცნო თავდაცვის მუზეუმის დაარსება თბილისში.

არჩეულია კომისია ამხ. **ეგიკოვის, სირაძის, ქებურიას** და **ბორკინის** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მუზეუმის გეგმის და საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

რადიო-მოყვარულთა გასამხედროების კურსები

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი მოკლე ხანში აწყობს თბილისში კურსებს რადიო-მოყვარულთა გასამხედროების მიზნით.

კურსებზე რადიო-მოყვარულნი გაეცნობიან რადიოს გამოყენებას ომის და თავდაცვის დროს.

კურსების საჭიროებისათვის საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადასდო 400 მანეთი.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ჯილდო

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა დააწესა „საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრიზი" კავკ. წით. დრ. არმიის საჰაერო რაზმის მფრინავთათვის.

სასამართლო

ბოხვაურელი მევახშე

ქიშვარდი გირკელიძეს, როგორც ლაპარაკობდნენ, ფული დაუგროვდა დიაკვნად ყოფნის დროს. საიდან დაუგროვდა ეს ფული, ადვილი გასაგებია. ქიშვარდის შესახებ გლეხები ასე ლაპარაკობდნენ:

— რა უჭირს! მკვდრებსაც ტყავს აძრობს და ცოცხლებსაც, შემოწირულებათა მეტი ნაწილი მის ჯიბეში გადადის.

ეს იყო წინად, თვითმპყრობელობის დროს. ქიშვარდი არხეინად ცხოვრობდა, უხვად ჰქონდა საკურთხიც, სახარჯო ფულიც და „უფლისა მიმართ", რასაკვირველია „ილოცავდა".

როცა შეუდგა წყალი დიაკვან გირკელაძეს, როცა ეკლესია დაცალიერდა, როცა უსუსტმრევლმა, ქიშვარდი კიდევ უფრო გაწუწკა. ეკლესიაში შემოსულ კაპეიკებს ეთამანეთზე აწებებდა და ინახავდა შავი-დღისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც ქიშვარდი გირკელიძე ცნობილი მევახშე იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უმრევლოდ დარჩენილმა დიაკვანმა ერთად-ერთ სარჩებო წყაროდ გაიხადა ეკლესიიდან დაკანცილულ ფულის „გაპროცენტება".

მასწავლებელ გრიგოლ დოლიძეს, რომელიც ძალიან გაჭირვებაში იყო, გირკელიძემ „ხელი გაუმართა" და ასესხა 1924 წ. 15 მანეთი, არ დაადგა საშველი გირკელიძის გასტუმრებას. 80 მანეთამდე მარტო პროცენტი ავიდა 15 მანეთიდან. ესეც რომ გასტუმრა მასწავლებელმა დოლიძემ, ქიშვარდიმ პროცენტის პროცენტი მოსთხოვა და დაავალა კიდევ 57 მანეთის გადახდა.

ბოხვაურის სახალხო სახლის სააღმშენებლო კომისიასაც ასესხა გირკელიძემ ფული ერთი თვით. ეს ერთგვარ „ქველმოქმედობად" გაასაღა გირკელიძემ.

როცა მისი კუთვნილი გადასახადი შეაწერეს გირკელიძეს; მან პროცენტებზე გადაიყვანა ეს თანხა და შეირჩინა.

ქიშვარდი გირკელიძე სისტემატიური მევახშეობისათვის გაასამართლა ქ. ოზურგეთის სამაზრო სასამართლომ.

ქიშვარდი გირკელიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით.

ბერ.

განმარტება. ჩვენი გაზეთის 12 ივნისის ნომერში მოთავსებული სასამართლოს ანგარიში ილია ბოჭორიშვილის და სხ. აფიორების შესახებ არ ეხება ილია გიორგის ძე ბოჭორიშვილს; მცხ. რაჭის მაზრ. სოფელ ჯვარში.

ფიზკულტურა

ვინ ჩამოვა აზერბეიჯანიდან ა.-კავ. ფიზკულტურის დღესასწაულზე

საბოლოოდ ჩამოყალიბებულია აზერბეიჯანის კოლექტივის შემადგენლობა ფიზკულტურის ყველა დარგებიდან, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულზე.

ფეხბურთის შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს აზერბეიჯანის პროფკავშირთა პირველი ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიან: **იოანნიკოვი, მარატხანოვი, კოსენკოვი, პანცევი, ივანოვი, სარქისოვი, კომაროვი, ხოროკინი, კუზნეცოვი, ვ. თურქია** და **ელისეევი.**

ფეხბურთის შეჯიბრებაზე მოდის რკინისგზელთა ვაჟების გუნდი და ქალთა გუნდი შემდეგი შემადგენლობით: **ლევაშოვა, გორიაჩევა, ოგანოვა, დავიდიუკ ჩერნოვა** და **შაშკოვა.**

კალათბურთი—რკინისგზელთა ვაჟების გუნდი და ქალთა გუნდი „დინამო". სროლაში—დინამოელთა გუნდის ძირითადი შემადგენლობა. მოდიან აგრეთვე გუნდები ფიზკულტურის სხვა დარგებიდანაც.

კარგად არის შერჩეული მძლეოსნობის, ძალოსნების და გიმნასტების ჯგუფი. მცურავებიდან მოდის 20 კაცი, რადგან ჯერ-ჯერობით ჩატარებული იქნება მხოლოდ წყალზე შეჯიბრების საველებულო ნაწილი. წყალზე შეჯიბრი ჩატარებული იქნება ზაჰესის ტბაზე.

ტენისტებიდან დღესასწაულზე ჩამოვა 7 კაცი: **ნიკოლაევი, ბენკენდორფი, მოსტმანი, დანილოვი, შკიპარევი, შიშენკო** და **ფრანკენბერგი.**

აზერბეიჯანის კოლექტივი თბილისში ჩამოვა 22 ივნისს.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 16 ივნისი

დღეს, 16 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გლეხთა რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე.

ბაზრის მდგომარეობა საქართველოში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მშრომელთა ყოფა-ცხოვრებიდან უნდა განიდევნოს სიმთვრალე—მოხსენება ქართულ ენაზე.

ახალგაზრდობა და რელიგია—მოხსენება ქართულ ენაზე.

გაზ. „ენიკენდ"—თურქულ ენაზე.

ქეცის მკურნალობა სოფლად—რუსულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კვირეული ცხრილის გადაცემა.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

გამოვდივარ „არიფიონი"-ს ჯგუფიდან

(წერილი რედაქციის მიმართ)

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს განცხადებას: დღეიდან ვტოვებ „არიფიონი"-ს ლიტერატურულ ჯგუფს და ვრჩები საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრად.

კონსტანტინე კაპანელი.

14 ივნისი 1928 წ.

მეცნიერება და ტექნიკა

მათემატიკოსების საერთაშორისო ყრილობა

მათემატიკოსთა საერთაშორისო ყრილობა შესდგება 3-დან 10 სექტემბრამდე ბოლონიაში (იტალია)— ეს იქნება მათემატიკოსთა ნამდვილი საერთაშორისო კონგრესი. რადგან ომის შემდეგ გამართულ კონგრესებში (სტრასბურგში—1920 წ. და ტორონტოში—1924 წ.) მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მოკავშირეთა და ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლნი. კონგრესის ორგანიზატორია—პროფ. პასკალე სფამენი—ბოლონიის უნივერსიტეტის რექტორი.

ბრძოლა ძილის ავადმყოფობასთან

პარიზის პასტერის ინსტიტუტი ძილის ავადმყოფობის შესასწავლათ და მასთან ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად ექსპედიციას გზავნის ეკვატორიალურ აფრიკაში. ექსპედიცია აფრიკაში დაჰყოფს ხუთ წელიწადს.

ედისონის ახალი გამოგონება

ედისონის უკანასკნელი გამოგონება—ელექტრონის უშიშარი ლამპა მემაღაროეთათვის. ლამპა ენერგიას ღებულობს ბატარეიდან, რომელსაც მემაღაროე თან ატარებს. ბატარეა დიდძალ ენერგიას შეიცავს და პრაქტიკულად დაუშრეტელია. საინტერესოა ის გარემოება, რომ ედისონმა 50000 ცდა მოახდინა, სანამ პრაქტიკულ შედეგს მიაღწევდა.

ედისონი ახლა 82 წლის არის.

ახალი ავტომობილები

ამერიკის საავტომობილო ქარხნები უკანასკნელ ხანებში უშვებენ ახალი ტიპის ავტომობილებს, რომლებსაც ის თავისებურობა ახასიათებს, რომ შესაძლებელია მათი მოტორის გამოცვლა რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოტორიანი ტრანსპორტი ამერიკაში იმდენად განვითარებულია, რომ გარაჟები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოიპოება. ყოველ გარაჟში მარაგში მოიპოება რამდენიმე მოტორი. მოტორის გაფუჭების შემთხვევაში მოფერი მიმართავს უახლოეს გარაჟს, რამდენიმე წუთის განმავლობაში ხსნის უვარგის მოტორს, მის მაგიერ დგამს ახალს და განაგრძობს გზას. ამ დროს გარაჟში სწარმოებს დაზიანებული მოტორის შეკეთება. გარაჟი დაზიანებული მოტორის შეკეთებისა და ახალი მოტორის თხოვნებისათვის იღებს შესაფერ გასამრჯელოს.

აშკარაა, რომ ასეთი წესი გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე კვირეებით ლოდინი იმის, თუ როდის შეაკეთებენ დაზიანებულ მოტორს.

ნარევი

„მწერების ბაღი"

ამ რამოდენიმე ხნის წინად პარიზში გაიხსნა მსოფლიოში პირველი „მწერების ბაღი", მოწყობილი ზოოლოგიურ ბაღების მსგავსად. ამ „ბაღის" მნახველებს შეუძლიათ გაეცნონ ცხოვრებას და ჩვეულებებს რამდენიმე ათასი მწერისას, რომლებიც შუშის ყუთებშია მოთავსებული. მწერებისათვის შექმნილია პირობები, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში უახლოვდება მათი ნორმალური ცხოვრების პირობებს. ამ მიზნით ყუთებს შიგნით დარგულია შესაფერი მცენარეები, ბალახი, მოყრილია შესაფერი მიწა, მოწყობილია გათბობა და სხვ. ცოცხალი მუზეუმის ზოგიერთ განყოფილებებს განუწყვეტლივ ანათებენ ლამპებით, რომლებმაც მზის სხივების მაგიერობა უნდა გასწიონ.

გარდა წმინდა განმანათლებელი მნიშვნელობისა, „მწერების ბაღს" დიდი სამეცნიერო მნიშვნელობაც აქვს. მეცნიერს, რომელსაც სურს რომელიმე, მისთვის საინტერესო მწერის ცხოვრების შესწავლა, შეუძლია ბიბლიოთეკებთან მუზეუმებთან კავშირის გაუწყვეტლად ექსპედიციების მოწყობაზე დროსა და ფულების დაუკარგავად განახორციელოს თავისი განზრახვა.

პირველად „მწერების ბაღის" მოწყობის იდეა წამოაყენა ფრანგმა მეცნიერმა **ანრი ფაბრმა,** მაგრამ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შესძლო დ-რმა **ჟუანელმა.**

1.111 „მკვდარი წრე"

ფრანგმა მფრინავმა აზფრედ ფრონვალმა ახალი რეკორდი დაამყარა უმაღლესი პილოტაჟის დარგში. ფრონვალმა ზედი-ზედ გააკეთა 1.111 „მკვდარი წრე" (ყირამალა ფრენა) რასაც ხუთი საათი მოანდომა. წინად პირველობა ამ დარგში ეკუთვნოდა ამერიკელ მფრინავ ხოლმანს, რომელმაც ზედიზედ 1.093 „მკვდარი წრე" გააკეთა.

უძველესი წერილი

მიმდინარე თვეში ლონდონში გაიმართება ინგლისის ანტიკვართა (ძველი და იშვიათი საგნების მოვაჭრეთა) საზოგადოების გამოფენა, რომელზედაც გამოფენილი იქნება მსოფლიოში უძველესი წერილი. იგი დაწერილია თიხის დაფაზე და ეკუთვნის ხანას, რომელსაც ჩვენ 7.000 წელიწადი გვაშორებს. ამ წერილის ავტორი, რომელიც ბაბილონში ცხოვრობდა, იუწყება მიწის ყიდვის შესახებ. როგორც სჩანს, ძველათ კონვერტებიც ყოფილა (თიხის), რადგან წერილი იპოვეს ჩადებული თიხის კოლოფში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 21

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ყრილობის, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარვლინებო სარგოს შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ყრილობის, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთათვის საწარვლინებო სარგოს მიცემის შესახებ" 1927 წ. ოქტომბრის 25-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და საბჭოთა ადგილობრივი ყრილობისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესიების მონაწილენი გზაში ყოფნის დროს, როდესაც იმ ქალაქში მიდიან ან უკან ბრუნდებიან, სადაც საბჭოთა ყრილობაა მოწვეული ან დანიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესია, მიიღებენ დღიურ სარგოს არა უმეტეს მათი თვიური ჯამაგირის ერთი მეოცედათედისა; ყრილობის და კომიტეტის სესიის იმ მონაწილეთ, რომელნიც მუდმივ ჯამაგირს არ იღებენ, დღიური სარგო მიეცემათ მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა თვიური ჯამაგირის ერთი მეოცედაათედის ანგარიშით.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და საბჭოთა ადგილობრივ ყრილობის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მონაწილენი მიიღებენ კმაყოფას და ბინას ნატურით ან ფულად. კმაყოფის ნაცვლად შეიძლება მიეცეს დღიური სარგო წინა მუხლში განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო ბინის ნაცვლად—ფული იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია ს. ს. რ. კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. იანვრის 14-ის დადგენილებით „ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1927 წლ. მე-4 №-რი, მუხ. 42).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს სასყიდელი სესიების განმავლობაში მიეცემათ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულებით განსაზღვრული წესისამებრ.

4. საუწყებო ყრილობისა, კონფერენციისა, თათბირისა და სხვ. წევრები კმაყოფას მიიღებენ ს. ს. რ. კ. ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომ. საბჭოს მიერ, „ს.ს. რ. კ. ფარგლებში სამსახურის გამო წარვლინებათა შესახებ" 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მიხედვით. (ს. ს. რ. კავშირის კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42).

5. სრულიად საქართველოს და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობის და აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრს სათანადო ყრილობაზე და აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე წასვლა-მოსვლისათვის საჭირო სამგზავრო ფული მიეცემა რბილი ვაგონის ტარიფით.

6. საუწყებო ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის მუშა-წევრებს, რომელნიც გზაში და ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის ადგილას ყოფნის დროს საწარმოსაგან ჯამაგირს არ იღებენ, სათანადო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული კმაყოფის გარდა, უნდა მისცეს დღიური მათი საშუალო სამუშაო საშოვრის ერთი მეოცედათედის რაოდენობით.

7. დღიური სარგო გზაში ყოფნის დროს (მუხ. 1)—წინასწარ, აგრეთვე საგზაო ხარჯი (მუხ. 5) გაიცემა იმ ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს მიერ, რომელიც ჰგზავნის დელეგატს ყრილობაზე, კონფერენციაზე და თათბირზე.

კმაყოფას და ბინას ნატურით ყრილობისა, კონფერენციის ან თათბირის მოწვევის ადგილზე ან ამის ნაცვლად ფულს გასცემს ის ორგანო, დაწესებულება და საწარმო, რომელიც იწვევს ყრილობას, კონფერენციას ან თათბირს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. დ. აფციაური.

1928 წ. აპრილის 18

თბილისი—სასახლე

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 16 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიცირ მუშაკთა პირველ სექციიდან: ეკატერინე ბახტაძე, ლიუბა ჩხეიძე, ნიკოლოზ ფუტკარაძე, იოსებ რაფაელოვი, ასატურ სარქისოვი, პადვაკან მარტიროსოვი, ნიკოლოზ შარუმოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლილი ლეონიძე, ანნა ხანგანეზოვა, ვერა მხეიძე, ელენე მეჯაუროვა, სოფიო გვასალია, ელისაბედ მირიანაშვილი-გელაშვილისა, ელენე კიკნაძე და ანნა მიქელაძე. საჭიროა აგრეთვე ორი ავეჯეულობის გამყიდველი ნოქარი. მსურველებმა უნდა მიმართონ მეორე სექციაში ამხ. ნიკოლაიშვილს.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: [illegible] სამადუროვი, ვასილ შუქრუკო, გიორგი ვარდანოვი, ივანე [illegible], სარქის ალექსანდ[illegible] ლობჟანიძე, ივანე პონომარიოვი და გიორგი ერმუხოვი.

მედსექციაში მიღებულია მოთხოვნილება, 2 ბებია ექიმის თანაშემწეზე. თბილისის მაზრაში გასაგზავნათ. ამასთან საჭიროა ექიმი თერაპევტი, ორი თვის ვადით თბილისში მეორე უბნის რაიონულ ექიმად (5 წლის სტაჟით) დაწვრილებითი პირობების გასაგებათ მსურველებმა უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. ბოგვაშვილს.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: იოსებ ვაზანაშვილი და გიორგი ბურჯანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 16 ივნისს, დღის 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. **ყურულიშვილის** კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხ.: **სიმონ ჟულელი, დავით კანდელაკი, ასრიბეკოვი, ტოროშელიძე, სალუქვაძე, მარიამ ორახელაშვილი, გეგენავა** (პროლეტ. სტუდ. ბიურო), **სამოხვალოვი** და **ზახაროვი** (ლენინის სახ. პ. ტ. ინსტიტუტი), **მიქაძე** (განათლების მუშაკთა კავშირი).

ამხანაგებს სთხოვენ გამოცხადდნენ დაუგვიანებლად.

—:—

ამხ. მ. კახიანის სახ. ქართული მუშფაკის ბიურო-კოლექტივი აცხადებს იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც არ მიდიან სოფლად ზაფხულის პერიოდში, გატარდენ აღრიცხვაზე ბიურო-კოლექტივში ამხ. კვინტრაძესთან 20 ივნისამდე საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-8-მე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 16 ივნისს, საღამოს 5 საათზე მესამე რაიკომის შენობაში შესდგება ამავე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ბორის იაკოვლევი („ხლებოპროდუკტი"), ცოლაკ მხითაროვი, იოსებ ბარაბაიანი, არტაშეს უნდიანი, მარტინ ბაღდასარიანი, სამსონ მიქაელიანი, არუთინ კაზარიანი, ვართან ბადიანი, კეროპ გასპარიანი, სედრაკ შანნაზარიანი, არამ ოსიპოვი, არტავაზდ ზაქარიანი, სიმონ ივანოვი, პავლე პარტნოვი, გიორგი კაკაბაძე, როზა მარტიროსოვა, პარმენ შოიანი, პავლე გუტმანი, სერგო მედოევი, ალექსანდრე ჩუბულაშვილი, ირადიონ კანანაძე, არტემ იაშაკაშვილი, ალექსი ჯაბაშვილი, სუმბათ ზადიკიანი, ევსტაფი ციხისელი. მიხეილ იაროვი, ივანე ტოსუნოვი, გევორქ გეორქიანი. ვასილ ბერეჟნაშვილი, გიორგი მარტიროზოვი, მაკარი კონიავა, მარიამ აზარბეკოვა, ოლღა შულგა, მიხეილ კრუპკო, დავით ჩიხლაძე, შალვა ჭეიშნაძე, დიანოს ერაძე, ახმედ მიროზოვი, ქ. ავანათანოვა, ბენამ სოგომონოვი, ო. ეზინაშვილი, ალექსანდრა მანსანა, მიხეილ ბარხუდაროვი, შოთა კალანდაძე, ვალერიან გორგასანიძე, გრიგოლ კახაძე, თამარა კუტუბიძე, ფირუზა რაგიმოვა, ნიკოლოზ პანიაშვილი, ლიდია თურქაძე, ივანე სიმონიანი, ნატალია ოგანეზოვა ტატიანა ჟურული ილია ლანდიშევი ანდრია კაზარ კსოვრელი. ილია ლანდიშევი, ანდრია ლომთათიძე, ლევან კარაპეტიანი, გერასიმე ავოიანი. ამაიაკ ანისონიანი, ვერა მიკირტუმოვა, ეფემია ტყეშელაშვილი, ვაროს კაზაროვი, ერვანდ მკრტიჩიანი, გარეგინ მარტიროზოვი, აირაპეტ ასრატოვი. ვარსენიკ მუსოიანი, ვლადიმერ ვასილჩენკო და არმენაკ მაზმანოვი.

თავზარდაცემული მეუღლე ანეტა როსტომის ასული, შვილები: ტასო, დათიკო, ნინო და რუსუდანი, სიძე ანდრო სამსონის-ძე დუმბაძე შვილებით მედია და დევით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 17 ივნისს, დღის 1 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავას

(ხომლელი)

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: გერასიმე, ალექსი და ოლღა, რძალი მარიამ ალექსანდრეს ასული არდიშვილისა, შვილიშვილები: ალექსანდრე, თამარი, ტატიანა ნაზარიშვილები და ალექსი არდიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ზესტაფონში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თედორე ალექსის-ძე არდიშვილი

დაკრძალვა ქ. ზესტაფონში კვირას, 17 ივნისს, ნაშუადღევს 4 საათზე. (შ)

უღრესად დამწუხრებულნი ეპი და ვასო კულულაშვილები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 14 ივნისს, გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ნათლული სამეურნეო ტეხნიკუმის მოწაფე

გრიშა პავლეს ძე ლოთვაძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 17 ივნისს, სოფელ ბარში (რაჭა) 2749

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე რუსუდან ილარიონის ასული ცოლის და ანა კაშიაშვილისა თავისი ვაჟით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 14 ივნისს დილის 10 საათზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გაგო იაგორაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 17 ივნისს 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება გრიბოედოვის ქ. № 24. (ე)

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ ცაგარეიშვილისა თავის შვილებით აუწყებს ნაცნობთ, ნათესავებსა და მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე კვირას, 17 ივნისს, დღის 12 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ

გერასიმე მათეს-ძე ცაგარეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 2739

კვირას, 17 ივნისს, 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

თამარა სანოვის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას გარდაცვალებულის მშობლები. 2741

თავზარდაცემული დედა ნინო და მამა ექიმი დავით ანტონის-ძე ფაღავა, ბებიები დესპინე ფარსადანოვისა და ქრისტინე ფაღავასი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს

პატარა **გიას**

უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 17 ივნისს, დღის 12 საათზე, (პლეხანოვის გამზირი № 183). 2740

სახკინმრეწვის კინოები	**განთიადი** (ნაძალადევში)	დღეს გახსნა ეკრანზე მხატვრული სურათი **„მიწა ტყვეობაში"**
	საზაფხულო **ეთერი**	მხატვრული სურათი **კენიგსმარკ** პიერ ბენუას რომანის მიხედვით პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
	მინიონი	არაჩვეულებრივი ფილმი **„დიადი გზა"** ესფირ შუბის ნამუშევარი.
	აპოლო	
	საზაფხულო **დარბაზი**	კარმენ ბონი და ვალტერ სლეზაკ სურათში **მშვიდობით ახალგაზრდობავ** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
	საზაფხულო **პალასი**	მხატვრული სურათი **ბედნიერების ძიებაში** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
	სოლეი	უკანასკნელი 5 და 6 სერია **საიდუმლოებათა კუნძული**
	ოდეონი	ორი სურათი თვითეულ სეანსში **„სისხლი და ქვიშა" და „ივეტა"** ვალენტინოს და პ. ნეგრის მონაწ.
	პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ **საიდუმლოებათა კუნძული** 1 და 2 სერია ვ. დესმონდის მონაწილეობით

0—14

მუშათა ცენტრალური კლუბი (პლეხანოვის პროსპ. 123).

დღეს, 16 ივნისს,

სიმფონიური კონცერტი

სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით

მსახიობ ქალის ა. ა. ნარიმანოვა-ლუცენკოს მონაწილეობით.

შესრულებულ იქნება გრიგის ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის

ხვალ 17 ივნისს, კონცერტი მედსანშრომის ბაღში (ყოფ. სტელა). ნ. 1268

კინო

პალასი

მალე

მხატვრული სურათი

„მეჩეთის თალებ ქვეშ"

რეჟისორი — ბერტელ

მთავარ როლებში:

ოლღა სპიროვა

(სურათ „პოეტი და მეფე"-ს გმირი)

პიმენოვა, დენსკაია და სხვ.

თვალყური ადევნეთ დადგმას.

ნ. 1272

მიღებულია მხატვრული სურათი

„ცოლი"

თანამედროვე დრამა

რეჟისორი—**დორონინი**

მთავარ როლებში:

ხოვანსკაია

პოპოვა

გატალოვი

თვალყური ადევნეთ რეკლამას.

ნ. 1272

დღეს

საქართველოს სახკინმრეწვი **ხსნის**

პირველ ხარისხოვან კინო-თეატრს

„განთიადი" (ნაძალადევში)

ეკრანზე მხატვრული სურათი

„მიწა ტყვეობაში"

ანა სტენის და კოვალ სამბორსკის მონაწილ.

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი

იაკიმენკოს მონაწილეობით.

ნ. 1272

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი (ყ. სტელა)

დღეს, შაბათს 16 ივნისს

განსაკუთრებული კონცერტი

მონაწილეობენ სახ.ოპერის ცნობილი მომღერალნი: **ბარონკინა, სანდრო ინაშვილი, მესხიევი ჭუმბურიძე, სკრიპკა შიუკაშვილი** მომღერალი **სკვირსკაია** და სხვა. საღამოს ხელმძღვანელობს **ესკინი.** როიალთან **საზინგუსი.** საღამოს 7 საათიდან ბაღში დაუკრავს ქართ. ცხენოსან ლეგიონის სასულე ორკესტ. **ლარიბოვის** ხელმძღვანელობით. ფასები ჩვეულებრივია. **გამგეობა** ნ. 1269

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 32 გორის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივ. აბაშიძის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, ბუფეტის შკაფს, კამოდს და სხვ. შეფასებულს 170 მანეთად სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 მაისის 1928 წ. თარიღით, № 1811 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1271

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 ივნისს 1928 წ. სახლში № 1 კახეთის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თედორე ნიკოლეიშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, საყინულეებს და სასადილოს სხვადასხვა მოწყობილობას შეფასებულს 232 მანეთად, ნასყიდაშვილის, გრიქუროვის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 2092 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1271

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. კილაძე

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 ივნისს დღით შაბათს ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** დაბა საჩხერეში ვლადიმერ იგივე ლადო თოდაძის მოძრავ ქონებისა: 1) ერთი შკაფისა, 2) ერთი საწოლისა, 3) ერთი ხალიჩისა, 4) ერთი მაგიდისა, 5) ერთი ლამფისა, 6) ერთი საზარგისა, 7) ერთი ხელით საკერავ მანქანისა, 8) ერთი სპილენძის ტაშტისა, 9) ერთი კუშეტკისა, 10) ასი (100) წყვილი რეზინის წაღებისა, 11) ორი „ლეიკისა", 12) სამი ცალი ტაფისა და 13) სამასი (300) ცალი აგურისა—შეფასებული სულ 235 მანეთად დასაკმაყოფილებლად ნადეჟდა კომლაძის 426 მანეთისა, თანახმად გაპროტესტებული თამასუქებისა ჭიათურის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 27 აპრილის 1928 წ. თარიღით №№ 94, 95, 96 და 97. 2748

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 57, ირინე ენუქიძის სახელზე, ჩ. გ. 2746

დაიკარგა მსხვილფეხა საქონლის ვაჭრობის პატენტი № 194 მარდახ ხახიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2746

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი

კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 19 ივნისს 1928 წ. დღის 1 საათზე პეტრიწის ქ. № 18 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალიმ აგიშევის მოძრავ ქონებას. ეტლს შეფასებულს 400 მან. დასაკმაყოფილებლად ბალდასარ მირზაიანცისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2742

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8

ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5

მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. **სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

დაიკარგა: პირადობის მოწმობა წელისის თემ-აღმასკომის მიერ მოცემული და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი მოცემული რაჭის მაზრიდან ალექსი სვიმონის ძე ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2743

დაიკარგა: რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 10693 მიხეილ არაბიძის სახელზე, ჩ. გ. 2746

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68